



ღაბკღაბკეთი

\* \* \*

მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი — ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგობთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა ამინ.

### სადიდებელი ღვთისა

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღგვაღვინე დაცემულნი და კვლავ მოგვანიჭე ძადლი შენი; მოგვმადლე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; მოგვეც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთგულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჯანის სიმართელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფის სიუხვე, ამადლებული სიყვარული, სასოება შეურყვნელი, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.

\* \* \*

. . . და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველო(მ)სათა წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედა(მ)ჩემი გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისო(მ)თა წინაშემდგომარეობითა და დაუდუმებელითა კითხვითა წმინდისა სახარებისა(მ)თა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრებისა ჩემისა.

აბუსერიისკმ ტბელი

საქართველოს გაბრწყინება აჭარიდან დაიწყება

# ლაკლაკეთი

№5  
2015 წელი

სალიტერატურო - სამხატვრო, სამეცნიერო - პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი

---

---

მთავარი რედაქტორი და დამფუძნებელი

**შალვა ველიამი**

სარედაქციო საბჭო:

ოთარ გოგოლიშვილი, ვაჟა დავითაძე, ზვიად ველიამი,  
ნაზი (ქეთევან) ველიამი, გურამ თურმანიძე,  
გიორგი სარაჯიშვილი, შუშანა ფუტყარაძე,  
ოთარ ცინარიძე,

ჟურნალი გამოდის მთავარი რედაქტორის და დამფუძნებლის ხარჯით

**ძვირფასო მკითხველო!**

გთხოვთ სათუთად მოეპყრათ და გაუფრთხილდეთ ჟურნალს მასში დაბეჭდილი ხატისა და შესაბამისი ტექსტების გამო.

**ავტორთა საყურადღებოდ:**

საავტორო უფლებები დაცულია. გამოქვეყნებული წერილების მეცნიერულ და დოკუმენტურ სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს. რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sulfaen, 12 pt (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)). შემოსული მასალა ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.





სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს - პატრიარქი ილია II

ადამიანის ცხოვრება, ჯვარს უნდა ემსგავსებოდეს, უნდა შევქმნათ სულიერი ჯვარი, რომელიც ვერტიკალურად ღვთისკენ, ჰორიზონტალურად კი მოყვასისკენ უნდა იყოს მიმართული და დავეხმაროთ ერთმანეთს ამ ჯვარის ტარებაში. ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ღვთისა და მოყვარისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

ამინ!



**ჩვენი ქვეყნის მომავალი  
ჩვენს მიერ განხორციელებულ ქმედებებით  
განისაზღვრება**

**უფალი - ალაში ჩემი  
ბიბლია**

საქართველო მარადიული და უწყვეტი კლასიკური კულტურის ქვეყანაა. ჩვენ, ქართველმა ერმა სახელდობრ, კი ყოველმა ქართველმა ყოველთვის და ყველა ეპოქაში მუდმივად სიახლე და სიხარული უნდა ვეძიოთ ჩვენს სულიერ ცხოვრებაში, ქრისტიანულ მოძღვრებაში, ქრისტიანულ აზროვნებაში: ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქრისტეს აზროვნება, სულიერი აზროვნება. მას უნდა ჩავეჭიდოთ, ის უნდა მოვიქციოთ ჩვენი ცხოვრების დამცველ ჯავშნად, საიდანაც სიკეთე უწყვეტ მირონად მოედინება. ის, რაც მარადიულად არის მოცემული და განსაზღვრული ქართველი ერისთვის - მართლმადიდებლური ქრისტიანობა - სწორედაც და ჭეშმარიტად მასშია ჩვენი ხსნა და ბედნიერი მომავალი. უფალი ღმერთი = დედა ღვთისმშობელია ჩვენი შემწე და სიხარულის მომნიჭებელი. **გავფრთხილდეთ უნდა ქართველობა ჩვენს მიერ ნებით თუ უნებლიედ ჩადენილი ქმედებების გამო. ვინაიდან სამყაროში ყველაფერზე ვართ პასუხისმგებელნი.** უნდა ვისწავლოთ და უნდა ვიცოდეთ ქრისტიანული მოძღვრება, ვინაიდან ამოსავალი = საზომი ჩვენი სავსე ცხოვრებისა არის და ხელთუქმნელად იქნება მართლმადიდებლური ქრისტიანობა. მის მიერ განსაზღვრული ზნეობრივი მცნებები და იდეალები. ყოველივე აღნიშნული კარგად იცოდნენ ჩვენმა დიდმა წინაპრებმა. ყოველთვის იცავდნენ უფლის მცნებებს, მათ კარგად ჰქონდათ ათვისებული ბიბლიური მოძღვრება, ქართული სულიერება, ქართული აზროვნება. ქართული

სახელმწიფოებრიობა მუდმივად დაფუძნებული იყო ქრისტიანულ მოძღვრებაზე. ბიბლია იყო ჩვენი გმირი წინაპრების, სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილების მთავარი წიგნი და ცხოვრების საზომი, მათ მიერ წარმოებულ ქვეყნის სასიკეთო საქმეში, როცა მათ ქვეყნის მართვის სადავეები ხელთ ეპყრათ.

ქართველი ერის ისტორიის განზომილებათა ღირებული ფასეულობა მის ჭეშმარიტ ცოდნაშია. იქიდან გამოსჭვივის ბედნიერ მომავლისთვის განსაზღვრულობის დიადი ნება: ვახტანგ გორგასალი, პეტრე იბერიელი, გრიგოლ ხანძთელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დემეტრე თავდადებული, აბუსერიძე ტბელი, გიორგი ბრწყინვალე, ქეთევან წამებული, გიორგი სააკაძე, ერეკლე II, სელიმ ხიმშიაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გურამ შარაძე და სხვა ღირსეულ მეფეთა და მამულიშვილთა მოღვაწეობა ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულით იყო ნასაზრდოები. მათი აზროვნება და მოქმედება ბიბლიის მსოფლმხედველობიდან - ქრისტიანული მოძღვრებიდან იყო ნაშედეგები. მართლმადიდებლური ქრისტიანობით ჯავშანშემორტყმულმა მრწამსმა და სიმტკიცემ განსაზღვრა მათი მაღალი სულიერება და ერისთვის თავდადება.

**ხალხო შეისმინე უფლის ხმა, ირწმუნე ღმერთი!**

**“ხმა ღვთისა ხმა ერისა“** ყოველთვის იყო განმსაზღვრელი მცნება ჩვენი

ცხოვრების: „თქვა: თუ გაიგონებ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურს დაუგდებ მის ბრძანებებს და დაიცავ ყველა მის წესს, არ შეგყრი არცერთ სენს, ეგვიპტეს რომ შეგყარე, რადგან მე ვარ უფალი, შენი გამკურნებელი“ (ბიბლია, 1989, 71). წარსული ცხოვრების გამოცდილება, მამა-პაპათა განვლილი გზა ნათელ მაგალითს იძლევა იმის, თუ როგორ უნდა გააგრძელოს ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველმა ერმა მსოფლიო გლობალიზაციისა და ანტიქრისტეს მიერ დაგებული მახეების პერიოდში. ცხოვრების საცდური მრავალგვარია და ყოველ ეპოქაში ის სხვადასხვანაირად ვლინდება. მისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ქრისტეს გზაა და მის მცნებების უპირობოდ დაცვა შეგვიქმნის მხოლოდ სასურველ ცხოვრებისეულ ვითარებას. ჩვენი დიდი წინაპრები კარგად ერკვეოდნენ საკაცობრიო პრობლემატიკაში. გამოსავალს და დასაყრდენ ძალას ღმერთში - უფლის სიყვარულში ჰპოვებდნენ მხოლოდ. მათ კარგად ჰქონდათ ათვისებული საღვთო წიგნი - ბიბლია, ყოველთვის იცავდნენ უფლის მცნებებს. ჩვენი სარწმუნოება ყველაზე ხანდაზმულია, ბიბლია უძველესი წიგნია. ქართველი ერი ღვთისგან კურთხეული საზნებურ ერია, ამიტომ „უფალი - ალაში ჩემი“, ქართველი ერისთვის ცხოვრების გზა და ხილია. ჩვენი ეროვნული სულიერების, ჩვენი ეროვნული კულტურის ფენომენის გათანაბრება რაიმესთან ან რაღაცასთან ეს ცოდვად დაცემაა ამა სოფლის ძლიერთა. ხმა უნდა ავიმალლოთ და ვამხილოთ ისინი უკუღმართ ქმედებებში.

„განა ხალხის რწმენას შეარყევს მიწაზე ზოოლოგიური სამოთხის შესახებ ფუჭი დაპირებები?! დაპირებები იმ უბედურთა, რომელნიც საკუთარი ხალხის უდიდეს სულს მოწყვეტილნი, გაემგზავრნენ დასავლეთში, რათა უსულოთაგან სული ეყიდათ? მათ იგი იყიდეს, ოღონდ - მკვდარი. ნუთუ ცოცხლები შეუშინდებით მკვდრებს? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ თურქებს არ მივეყ-

იდეთ და ნუთუ ამერიკელ მეღუქნეებს მივეყიდებით?! საფლავში სარწმუნოების გაცვლა ჩვენს წეს-ჩვეულებებში არ შედის“- წმ. ნიკოლოზ სერბი.

ყველაზე აღმატებული ღირსება ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს არის ადამიანის მიერ ჭეშმარიტების შეცნობა, ჭეშმარიტების დამოწმება და ჭეშმარიტების დაცვა. ქართველი ერისთვის უფლისგან განსაზღვრული, ისტორიულად დამოწმებული და შენარჩუნებული მართლმადიდებლური ქრისტიანობისა და მისგან მომდინარე ღირებულ ფასეულობების უცილობელი დაცვა და განმტკიცებაა მთავარი. საქართველოში სიცოცხლისა და მარადიულობის აკვანი ქრისტიანული მოძღვრების აღიარებასა და მის დაცვაშია დავანებული. ამ გზიდან გადახვევა იწვევს ძალიან დიდ განსაცდელს ქართველი ერისთვის. გავფრთხილდეთ უნდა ქართველობა ქრისტიანულ მოძღვრებასა და უფლის სიყვარულში. „თუ დაუჯერებ და ყველაფერს ადასრულებ, რასაც გეუბნები, მტრად მოვეკიდები შენს მტრებს და შევაფიწროებ შენს შემავიწროებლებს“ . (ბიბლია, 1989, 78)

ბიბლიის მოძღვრება მარადიულია ყველა ეპოქისთვის და ყველა ეპოქის ქართველისთვის: „ემსახურეთ უფალს, თქვენ ღმერთს გიკურთხებთ იგი პურსა და წყალს. არ გავაჭაჭანებ სნეულებას თქვენ შორის;

არ იქნება შენს ქვეყანაში მუცელმომწყდარი და ბერწი; ავაგებ შენი სიცოცხლის ღლეებს“ (ბიბლია, 1989, 78).

ღმერთი მოწყალეა და მიმტვევებელი, ამასთანავე ჩვენი ცოდვების გამკითხველი: „შემნახავო სიყვარულისა ათასთა მიმართ, დანაშაულთა, ცოდვათა და ბრალთა მიმტვევებელი და შურისმგებელი, მამათა ცოდვის მომკითხავო, შვილთაგან და შვილთაშვილთაგან მესამე და მეოთხე თაობაში (ბიბლია, 1989, 88).

„საღმრთო საქმეთა“ დალატის გამო - „შეუხდათ ეშმაკის მანქანებანი“, ჩვენი ერი მრავალგზის დასჯილა უფლის მიერ. საქა-

რთველოს ეროვნულ სხეულს ძალიან დიდ ტკივილს აყენებენ ისტორიის არ ცოდნითა და გაუმაძღრობით“. ისტორია იმისთვის არის დაწერილი, რომ წარსული ცხოვრების გამოცდილებიდან გამოძინარე სწორად ვიმოქმედოთ. უპირველესად ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქრისტეს აზროვნება, სულიერი აზროვნება. გავფრთხილდეთ უნდა ქართველები ჩვენს ქმედებებში, ვინაიდან ცოდვის საზღვარი არის სიკვდილი, გამოსავალი კი სინანული.

**გარდამოიხილე ზეცით ღმერთო!**

**მშვიდობა დაამკვიდრე, აღადგინე და გაამთლიანე სრულიად საქართველო!**

პეტრე იბერიელი (მურვანოსი) იძლევა ღვაწლისთვის შეგნებულ მისაბამ მაგალითს, თვით ვახტანგ გორგასალი მთელი ღამე ლოცულობდა ერისა და მამულისათვის: „**ჰე, უფალო, დაძაბებულო ყოვლისაო და შემმატებულო კეთილთაო, აღმამაღლებულო მოსავთა შენთაო, შენ იყავ შემწე ჩემდა, მოავლინე ანგელოზი შენი ძალად ჩემდა და დაეც უსჯულოი ესდ და არცხუნე მემობართა შენთა, რამეთუ არა ძალსა ჩემსა მინდობილ ვარ, არამედ მოწყალებასა შენსა“.**

ქვეყანა ღვას პიროვნების პირად მაგალითზე - რომელიც იძლევა საზოგადოებისთვის ცხოვრებისა და მოქმედების მაგალითს. როგორც წმინდა მამა გაბრიელი გვმოდვრავს: „**ილოცეთ ყველასთვის, ამას გიტოვებთ ანდერძად, ლოცვა მთებს დაძრავს“.**

**ყოველივე ჯვრის ძალით გავაკეთოთ - ჯვარსვე ვუტოვებ ჩემს ქვეყანას!**

დავით აღმაშენებლის ანდერძად დატოვებული ეს შეგონება ჩვენთვის - ქართველი ერისთვის უცილებელ აღსრულებასა და დაცვას ექვემდებარება. დავით აღმაშენებელმა იოანე კათალიკოსის ნება აღასრულა, მთელი მთავრობა ეკლესიას დაუქვემდებარა - ეკლესია გავხადე დომინირებადი სახელმწიფოში. მთელი მთავრობა დაუმორჩილა ეკლესიას.

**ყოველი მართლმადიდებელი იყოს კურთხეული! აღადგინე ზნეობრივი ცხოვრება საქართველო!** სულიერ ფასეულობების წინ

წამოწვევით ჩვენი ცხოვრება მაღლის მდინარებით წარიმართება და საქართველო უფლის წყალობით გაბრწყინდება.

ქართული აზროვნების და ეროვნული სულისკვეთების ადამიანები გაბედულად უნდა გამოვიდეთ ჩვენი სამშობლოს - საქართველოსთვის სამოღვაწეოდ. აქტიურად და მიზანმიმართულად უნდა ჩაერთოს ყველა ავტორიტეტული პიროვნება ქვეყნის სასიკეთო ქმედებებში. ხალხში უნდა გაჩნდეს მათი მთავარი დასაყრდენი. ერის ავტორიტეტულმა ადამიანებმა უნდა იზრუნონ ერის სულიერი გაჯანსაღებისთვის. ტრადიციულ რელიგიური, ეროვნულ-კულტურული ფენომენის ქართველ კაცში გაღვიძებას აქტიურად უნდა შეეწყოს ხელი. მთავარი დასაყრდენი ღერძი საერო და სასულიერო ხელისუფლების შეთანხმებული მოქმედება უნდა იყოს. ამოსავალი ღედა აზრი კი ქრისტიანული მოძღვრებაა, ვინაიდან ქრისტიანულმა მოძღვრებამ ღვთიურ ზნეობას ჩაუყარა საფუძველი. „**მართლმადიდებლობა ქრისტეს ჭეშმარიტი მოძღვრებაა, ჩვენი სინდისისა და ზნეობის საფუძველია. ამავე დროს, ის უნდა იყოს საზოგადოებრივი ყოფის და მეცნიერების საფუძველი“** (თეოდორე დოსტოვესკი). მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი გლობალური ინტეგრაციის წნეხის ქვეშ იმყოფება, საკაცობრიო ცივილიზაცია ერის უნივერსალურ, ზნეობრივ განვითარებაზე დამოკიდებული.

ერის სულიერი ფასეულობების წინ წამოწვევით ქვეყანა დაადგება სწორი განვითარებისა და აღმშენებლობის გზას. **ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია. ქართველი კაცი გენეტიკურად, ბუნებით ქრისტიანია. საღვთო ტახტი - იესოს ტახტი საქართველოშია.** ეს მარადიული განსაზღვრულობა ქართველი ერის ეროვნული არსია. ჩვენი ცხოვრების მარადიული სიკეთე ქრისტიანობის არსის აღიარებასა, დაცვასა და განმტკიცებაშია დავანებული. **მართლმადიდებლური ქრისტიანობა და ქართული ეკლესია საქართველოში დომინირებადი უნდა გახდეს.**

ისტორიულად ქრისტიანულობა - ქრისტიანული სარწმუნოება იყო დომინანტი რელიგია ჩვენი ქვეყნისთვის. ამის არ დაცვა და გათანაბრება სხვასთან ცოდვით დაცემას ნიშნავს. ეს უკუღმართად ჩადენილი ქმედება უნდა გასწორდეს და ისტორიულ ნიშნულს დაუბრუნდეს.

**„მიწა არ გაყიდო, ეს მიწა ჩემია - ბრძანა უფალმა“.** ქართული მიწის გამყიდველი უფლის მიერ მკაცრად დაისჯება, იგი უმიწაწყლოდ და უსამშობლოდ მონობაში აღესრულება. **გამოფხიზლდი ქართველო!** ნუ ყიდი უფლის მიწას, ვინაიდან მიწა და ღმერთი საშინელი გამკითხველია - სასჯელი მკაცრი იქნება მათთვის. ვინც დაარღვევს უფლის მიერ განსაზღვრულობას უმჯობესია დოლაბის ქვა დაიკიდოს და ზღვაში დაიხშვას.

ჩვენი დიდი წინაპრების სააზროვნო სივრცის გამოცდილება ჩვენ გვაძლევს საშუალებას გლობალური ინტეგრაციის ეპოქაში ავიცდინოთ „ემმაკის კანონები და სანქციები“. საქართველო უნდა გაემიჯნოს ანტიქრისტეს ბოროტ განზრახულობას.

**„ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველო დაეცემა, რომ საქართველო დანაწევრდება! წმინდა გიორგი, თავისი ღვაწლით, ანდრია მოციქული, წმინდა ნინო, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მფარველობენ ჩვენს ქვეყანას და ღმერთი ამთლიანებს საქართველოს!... (ილია II).**

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე ბრძანებდა: „როგორც არის ჩვენი ლოცვა და მარხვა - ისეთია ჩვენი ცხოვრება“.

მადლობა უფალს სხეულში სულისთვის და მაგიდაზე პურისთვის, მადლობა უფალს თვალეში სინათლისთვის და აზრებში სიკეთისთვის. მადლობა უფალს ფიქრებში სიბრძნისთვის - გვალვაში წვიმისთვის. მადლობა უფალს კითხვაზე პასუხისთვის... და ბრძოლაში გამარჯვებისთვის. მადლობა უფალს დღევანდელი დღისთვის და ხვალინდელი იმედისთვის, მადლობა უფალს ყველაფრისთვის.

ქართველი ერის სააზროვნო სივრცეში საქართველო და ქართველი - ფასეუ-

ლი ღირებულების დედა აზრად გასდევს მთელს ჩვენს ისტორიას. ჩვენს ცნობიერებაში შემოჭრილი ეს ცნებები ყოველთვის იწვევდა ჩვენში ქართული აზროვნების ჩამოყალიბებას და ქართულად აზროვნებას. ეს კი აღძრავდა მამულისთვის, მოყვასისთვის ერთგული სიყვარულით თავდადებას. ქართველი ერი უნდა დაუბრუნდეს ქართულად აზროვნებას, სულიერ აზროვნებას, დედა სამშობლოსთვის ერთგულად მოღვაწეობას.

**ნამდვილი ქართველობა ქრისტიანულ მორალზეა დაფუძნებული.** ეს არის უპირველესი მცნება ქართველობისთვის. ქრისტეს სიყვარულისთვის, სამშობლოს სიყვარულისთვის, მოყვასის ერთგულებისთვის უნდა შევძლოთ თავგანწირვით თავდადება. მხოლოდ მაშინ აღდგება ჩვენში მიძინებული ეროვნული სულიერება და ნამდვილი ძველი ქართველობა... რომელიც არის სწორი რწმენაში, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულში. უფლის სადიდებლად დედა ღვთისმშობლის მეოხებით უნდა შეუდგეთ ქართველებო ქრისტეს გზას.

ქართველმა ერმა საღმრთო მადლი რომ დავიბრუნოთ, უნდა მივალწიოთ სრულყოფილ ცხოვრებას. **აღდგენა სრულყოფილი ცხოვრებისა შესაძლებელია მხოლოდ, როგორც პავლე მოციქული გვასწავლის: „სარწმუნოების, იმედისა და სიყვარულის მეშვეობით“.**

საღმრთო მადლის დაბრუნებისკენ მიმავალი გზა არის ქრისტეს გზა: „**მამ, იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორიც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი (ბიბლია, 1989, 963).**

**გამოფხიზლდი ქართველო!** ირწმუნე ღმერთი, დაემორჩილე უფლის მცნებებს... ღვთისმშობლის სულიერ სამანებში ღვთიკურთხეულია ქართველი ერი და საქართველო. იზრუნე ქართველო მიიღო ღვთიური მადლი, ვინაიდან სულიერი კანონი მოქმედებაშია.

**ღმერთო შენ კეთილად წარმართე ორ მიჯნურთა სული, ამენ!**





### სელიმ ხიმშიაშვილი

#### სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გათავისუფლებისთვის ბრძოლის წინამძღოლი

მე-18 საუკუნის დასასრულის და მე-19 საუკუნის დასაწყისის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია სელიმ ხიმშიაშვილს. ის იყო გამჭრიახი პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც მოხერხებულად გამოიყენა ოსმალეთის იმპერიაში დაწყებული მწვავე სეპარატისტული მოძრაობა, აქტიურად ჩაება მასში და პატარა პროვინციის აჭარის მმართველი ახალციხის საფაშოს ტახტს ორჯერ დაეუფლა: 1802-1809 და 1812-1815 წლებში.

სელიმის ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებს ვხვდებით რუსულ და ოსმალურ წყაროებში, საარქივო მასალებში და ოფიციალურ დოკუმენტებში. მის შესახებ მეცნიერთა ყურადღება განსაკუთრებით გაცხოველდა აჭარაში ქართველ მეცნიერთა და მოგზაურთა ექსპედიციების დროს (ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, ვიორგი ყაზბეგი, გრიგოლ გურიელი, ზაქარია ჭიჭინაძე, თეოდოსიო სანოკია, მოგვიანებით ხარიტონ ახვლედიანი, გიორგი ტივაძე და სხვ.). მათი ჩანაწერები და დღიურები საკმაოდ ობიექტურად ასახავს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მეთაურის ცხოვრებას, იდეებსა და მისწრაფებებს.

საბჭოთა პერიოდში, სხვა დიდგვაროვანთა მსგავსად, სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიაც ერთგვარად გამრუდდა, რისი ანარეკლები დღესაც იჩენს ხოლმე თავს ჩვენი დროის ნარკვევებში.

ცნობილი ისტორიკოსებიც კი, როცა ეხებიან ქართველ მთავრებს, რომელი კუთხის შვილიც არ უნდა ყოფილიყო (სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, მესხეთი), მიაჩნდა, რომ ისინი „საქართველოს გაერ-

თიანების მტრები, გაერთიანებული საქართველოს დაშლის მოღვაწენი იყვნენ“.

რაც შეეხება კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებიც მუსლიმანურ სამყაროში მოხვდნენ, მათზე ნათქვამია: „ქელაიშ-ბეგი ისეთივე „გმირია,“ როგორი „გმირებიც“ იყვნენ სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი ან შერიფ-ფაშა ჯაყელი, მიხრწნილი ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეს რომ გრძნობდნენ და სხვა, უფრო მწყალობელ „პატრონს“ ეძებდნენ.“<sup>1</sup> (ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი. 1966. გვ. 282, 283).

ასეთი რადიკალური დასკვნა ერთგვარად პასუხობს საბჭოთა პოლიტიკურ კონიუქტურას, რომლის მიხედვით რუსეთში გახიზნული ყველა გენერალი გმირი, ხოლო ისინი, ვინც სპარსეთსა და ოსმალეთში ტყვედ გაყიდეს, ან მათ ამ ქვეყნებში გაქცევით საკუთარი და ოჯახის წევრთა სიცოცხლე გადაარჩინეს, მოღალატე და ქვეყნის დამაქცევარია. ბუნებრივია, ასეთი შეფასების თავიდა თავი რწმენის შეცვლაა. თუმცა მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ესეც იძულებითი ნაბიჯი იყო და ბევრი რჯულშეცვლილი ბოლომდე თავისი ქვეყნის და ერის მსახურად დარჩა (ფარულად მაინც). თუ მაგალითები გვინდა, დიდ ქართველებს დავასახელებ: სიმონ დიდმა იძულებით აღიარა ისლამი, მაგრამ ქართველობისთვის არ უღალატნია. დიდმა მოურავმა ორჯერ მიიღო უცხო რჯული, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე საქართველოზე ფიქრობდა.

მას შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა, ძალიან ბევრი ქართველი მოღვაწის ბიოგრაფიას მოეფინა ნათელი, დღეს სრულიად

ახლებურად ვაფასებთ ჩვენი სვეგამწარებუ-  
ლი წინაპრების ცხოვრებას. ზემოთქმულის  
ავტორები დღეს რომ ცოცხალი ყოფილი-  
ყვნენ, დარწმუნებული ვარ, ახლადგამოვლენ-  
ილი მასალების შესწავლით, მათს ცხოვრე-  
ბა-მოღვაწეობაზე სრულიად განსხვავებული  
შეფასებები ექნებოდათ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი სელიმში და-  
მოუკიდებლობისთვის თავდადებულ მებრძოლს,  
ოსმალთა ბატონობისგან სამხრეთ-საქართ-  
ველოს გათავისუფლების მებაირახტრეს  
ხელავს, მაგრამ ამავე დროს მიაჩნიათ, რომ  
„იგი ამ ბრძოლას, ხალხის პატრიოტულ  
მისწრაფებას პირადი ინტერესებისთვისაც  
იყენებდა და მისი პოლიტიკური სფერო  
„ვიწრო ფეოდალურ ჩარჩოებს არ სცილდე-  
ბოდა.“<sup>2</sup> (**შაშვე მეგრელიძე**. სამხრეთ-დასავ-  
ლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბილისი.  
1963. გვ. 42).

საკითხავია, რომელი ქართველი ფეო-  
დალი, გნებავთ, მეფე არ იბრძოდა თავისი  
პირადი ინტერესებისთვის, ანდა ფეოდალური  
პრესტიჟის შესანარჩუნებლად? „რუსეთთან  
სამცხე-საათაბაგოს შეერთების შემთხვევაში  
მის იდეალს წარმოადგენდა, აღჭურვილიყო  
ისეთივე ავტონომიური უფლებებით, როგო-  
რი უფლებაც ჰქონდა სამეგრელოს მთავარს,  
მთავრის ხელისუფლება კი, როგორც ვიცით,  
არის ერთიანი საქართველოს საწინააღმდეგო  
გამოხატულება.“<sup>3</sup> (**შოთა ლომსაძე**. სამცხე-  
ჯავახეთი. თბილისი. 1975 წ. გვ. 145).

როგორც ვხედავთ, საბჭოთა პერიოდის  
ამ გამონათქვამებში ბევრია საერთო, თუმცა  
აქ თუ სასწორის პინაზე დავდებთ მთავრის  
და ფაშის მოვალეობას, ჩემი აზრით, მთავრის  
სტატუსი გადასწონის, რამეთუ ის უფრო ახ-  
ლოს დგას ეროვნულ ტრადიციებთან (ენა,  
მამული, სარწმუნოება) და, ბუნებრივია, შე-  
ძლებისდაგვარად იბრძოლებს მათ დასაცავად.

ჩვენს შემთხვევაში მხედველობაში მის-  
აღებია ის გარემოება, რომ სელიმ ხიმშიაშ-  
ვილმა, ქართველ მოღვაწეთაგან ყველაზე  
მეტად გამოამჟღავნა პორტადან გამოყოფის  
სურვილი და გვიანფეოდალური საქართ-  
ველოს ორი დიდი ლოზუნგიდან – „გამოხ-  
სნა“ და „აღდგომა“, აქტიურად ჩაება პირვე-  
ლის, ე. ი. სამხრეთ-საქართველოს დიდი

ტერიტორიის გამოხსნისთვის ბრძოლაში. ეს  
კი ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძო-  
ლაში გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. თუ  
გამოხსნა არ მოხდა, ეს არის არა იმდენად  
სელიმ ხიმშიაშვილის ბრალი, რამდენადაც  
რუსეთის მოხელეთა ორპირობისა, რომლე-  
ბიც ერთი ხელით სელიმს აქეზებდნენ პორ-  
ტასთან დაპირისპირებისთვის, პირდებოდნენ  
თანამდებობებს და ჯილდოებს, მეორე ხე-  
ლით კი სულთანს წერდნენ, რომ მეამბოხე  
ქართველი ფაშა რუსეთის მხარდაჭერას ვე-  
რასდროს ელირსებაო.<sup>4</sup> (**АКТЫ Т. 5. ТИФЛИС,  
1873. СТР. 819**).

როგორც დავინახეთ, ძალიან დიდხანს  
სელიმ ხიმშიაშვილის ცხოვრებისა და ღვაწ-  
ლის შეფასება წინააღმდეგობრივი და ბუნ-  
დოვანი, ლეგენდა და სინამდვილე ერთმანეთ-  
ში იყო არეული.

მიუხედავად ამისა, საზოგადოება, ქარ-  
თული მწერლობა ობიექტურად აფასებდა  
იმდროინდელ ვითარებას და სელიმ ხიმშიაშ-  
ვილსაც თავისი დროის გმირად თვლიდა.  
ასე აისახა მისი პიროვნება **მიხეილ ჯა-  
ვახიშვილის** რომან „არსენა მარაბდელში“,  
**ფრიდონ ხალვაშის** პიესა „ხიხანის ძახილ-  
ში“, **მამია ვარშანიძის** ეპოპეა „ხიხანის არ-  
წივებში“ და ა. შ.

მეცნიერთაგან პირველი, ვინც თავის  
დროის და შესაძლებლობების კვალობაზე  
შეისწავლა სელიმ ხიმშიაშვილის ძალზე  
რთული ცხოვრება და შექმნა მასზე პირვე-  
ლი მონოგრაფია, იყო პროფესორი **აბელ  
სურგულაძე** (1933-2001).<sup>5</sup> სელიმ ხიმშიაშ-  
ვილი. ბათუმი. 1986 წ.).

სხვებისგან განსხვავებით ავტორი შორ-  
საა პიროვნების იდეალიზაციისგან, მაგრამ  
იგი ობიექტურად აფასებს მის მოღვაწეობას  
და დამსახურებას სამშობლოს წინაშე. სე-  
ლიმი ფეოდალურ-სეპარატისტული ეპოქის  
შვილი იყო, ამდენად – რთული პიროვნებაც.  
ქრისტიან ძმებთან და კავკასიის რუსულ  
ხელისუფლებასთან გულთბილ ურთიერთო-  
ბას ის უხამებდა სულთანის სამსახურს, ლეკ  
აბრაგებთან კავშირს, ზოგჯერ სისასტიკეს  
და დაუნდობლობას. ვერ განვსჯით ამის  
გამო, რამეთუ ასეთი იყო იმდროინდელი  
ცხოვრების წესი. ვერცერთ ქვეყანაში ვერ

ნახავთ მეფეს, მთავარს, ბოიარინს, ლორდსა თუ ბეგლარ-ბეის, რომელსაც თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად სისასტიკე არ გამოეჩინოს, ვინმე არ დაესაჯოს (სიკვდილ-ითაც), ან არ დაემანჯინებინოს (თვალების დათხრა, დასაჭურისება დას ხვ.). ბევრი მათგანი ჩვენ გმირ მეფედ, ან მთავრად გვყავს წარმოდგენილი, რადგანაც მათი კეთილი საქმეები გადასწონიდა ხოლმე ავკაცობას.

1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს სელიმმა რუსეთის მხარე დაიჭირა, მაგრამ ყარსის ოპერაციის დროს ბრძოლის ველზე ავადმყოფობის მომიზეზებით არ გავიდა და ამით რუსებს გზა გაუხსნა ყარსისკენ. თითქოს გადაწყვეტილიც იყო მესხეთ-ჯავახეთის და აჭარის რუსეთის მფარველობაში შესვლა, მაგრამ ეს მაშინ არ მოხერხდა.

სელიმის ამ „ავადმყოფობამ“ პირველი ეჭვი გაუჩინა სულტან სელიმ III-ს, რომ ის სხვაგვარად აზროვნებდა, მაგრამ პორტას პოლიტიკა თავისებური იყო. ერჩივნა მხარეში ძლიერი მფლობელი ჰყოლოდა. სელიმს სწორედ ამ ნიშნით იცნობდნენ და ვერ ელოდნენ. სხვათაშორის ასეთივე ეჭვი გაუჩნდა ახალ სულთანს **მაჰმუდ მეორეს**. დედით ქართველს მეუღლეც ქართველი ჰყავდა, გვარად ქუთათელაძე თუ თავდგირიძე. როგორც ამბობენ, მაჰმუდ II დიდად განიცდიდა ამ ბრძენი ქალბატონების კეთილისმყოფელ გავლენას. შესაძლოა ამითაც იყო გამოწვეული, რომ სულთანმა მეამბოხე ვეზირის სიკვდილით დასჯაზე უარი თქვა და სტამბოლში მისი ცოცხლად ჩაყვანის ბრძანება გასცა.

1810 წლის შემდეგ, როცა ცარიზმის დამქაშებმა გააუქმეს იმერეთის სამეფო და **სოლომონ მეორე** შეიპყრეს, სელიმი დარწმუნდა, რომ მის დამოუკიდებელ არსებობას რუსეთის ხელისუფლება აღრე თუ გვიან აღარ მოითმენდა და მასაც მისი მეგობრის, იმერეთის მეფის ბედი ელოდა. მან ისიც კარგად უწყობდა, რომ ხელისგულისოდენა აჭარა დიდ დამპყრობლებს ვერაფერს დააკლებდა, ამიტომ სხვა გზები უნდა ეძებნა. ერთად-ერთი გზა, რაც სელიმს დარჩა, ეს იყო ქართველ მეფე-ბატონიშვილებთან კავშირი და ანტირუსულ მოძრაობაში მათთან გაერთიანება.

პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, აბელ სურგულაძის ნაშრომი გამოირჩევა მეცნიერული კვლევის სიღრმით, იმ დროისთვის ნაკლებად ცნობილი საკითხების წარმოჩენით და მათი ახლებურად გადაწყვეტით. თუმცა ამ წიგნის გამოსვლიდან მეოთხედი საუკუნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ადამიანებს მიეცათ სიტყვის თავისუფლება, ის რაც აღრე მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, ახლა ყველასთვის მისაწვდომი გახდა. ამ მოვლენებმა მაფიქრებინეს ხელი მომეკიდა ჩემი მეგობრის, **აბელ სურგულაძის** წიგნზე, რომლის ერთ-ერთი რეცენზენტი გახლდით და ახალი მასალებით შევსებული, მეორეჯერ გამოგვეცა, რაც 2013 წელს შევძელით. **ნ (აბელ სურგულაძე, რამაზ სურმანიძე**. სელიმ ხიმშიაშვილი. თბილისი. 2013 წ. რედაქტორი **კახაბერ სურგულაძე**).

ჩვენს მიერ ახლადგამოვლენილ ფაქტებს ვიწყებთ სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიით, რაც მანამდე ერთობ ბუნდოვანი იყო. იგი დაიბადა არა სოფელ ქოჩაზში, არამედ სოფელ ნიგაზულში, სადაც ჯერ კიდევ მის მამას გააჩნდა ციხე-სიმაგრე და რეზიდენცია.

მისი მშობლები იყვნენ **აბდულ-ბეგი** (?-1784) და ახალციხელი თავადის **ბეჟანიძის** ქალი, რომლის სახელი უცნობია. იგი 1803 წელს ცოცხალი იყო. მისი წინაპრები ზენდიდიდან ახალციხეში გადასულან და დაწინაურებულან.

სელიმის ოჯახურ განათლებაზე რაიმე საბუთი არ გაგვაჩნია, თუმცა თუ გავაანალიზებთ რუსი მაღალი ჩინოვნიკებისადმი გაგზავნილ ქართულ ბარათებს (ქართველ დიდებულებს ჩვეულებრივ ქართულად წერდა), უნდა ვიგულისხმოთ, რომ მან, არაგვისპირელ ხიმშიაშვილთა ახლო ნათესავმა, ოჯახური განათლება ქართულ ენაზე მიიღო.

დაახლოებით 1775 წელს სელიმი სტამბოლის, დარულ-ბადის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა. ოთხი წლის შემდეგ დაამთავრა იგი, სამშობლოში მაიორის ჩინით დაბრუნდა და იქორწინა კიდევ. მისი მეუღლე იყო წარმოშობით აჭარელი (ს. ძენწმანი. ქედის რ.) **შაქირ-ფაშა სურმანიძის** (1733-1805) ქალი **ელმასი**, რომლის სახ-

ელთან დაკავშირებულია გვიანფეოდალური ხანის (1780 წ.) თალიანი ხიდის აშენება სოფელ ვარჯანაულში. ხიდი ახლაც დგას. თვით შაქირ-ფაშა ახალციხის ფაშის კარზე დიპლომატ-თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა და ხშირად ხვდებოდა ქართველ მეფეებსა და დიდებულებს.<sup>7</sup> (**რამაზ სურმანიძე**. სურმანიძეები. ბათუმი. 2001 წ. გვ. 62-71).



სელიმ ხიმშიაშვილი ხიხანის ციხეში ნახატი ბურამ შუტაარაქისა

სელიმის მკვიდრო ურთიერთობა სოლომონ მეორესთან იწყება ჯერ კიდევ მამინ, როცა იმერეთის სამეფო ტახტზე მას მეტოქე **დავით გიორგის** ძე გამოუჩნდა. ამ უკანასკნელს მხარს უჭერდა **სიმონ გურიელი**, რომელიც 1790 წელს 300 კაცით ახალციხის **სულეიმან-ფაშა ჯაყელს** ეწვია და დავით გიორგის ძის გამეფებაზე მხარდაჭერა სთხოვა. ფაშამ სიმონი უარით გაისტუმრა. უკან მომავალი გურიელი სელიმ ხიმშიაშვილის რაზმებს გადაეყარა. იგი ფაშას მიგვარეს. სელიმმა პირველ რიგში სიმონ გურიელს სთხოვა მხარი დაეჭირა სოლომონ მეორისთვის. მეორეც, შესთავაზა დამოყვრე-

ბულიყვნენ, მშვიდობიანად ეცხოვრათ, უარი ეთქვათ ურთიერთშუღლზე, ტაცობასა და რბევა-აწიოკებაზე. მოლაპარაკება შედეგით დასრულდა. სიმონ გურიელი სიხარულით შეხვდა ამ წინადადებას. გადაწყვიტეს სიმონის უმცროსი ქალი **კესარია** დაენიშნათ სელიმის მეორე ვაჟზე **აბდიზე**, რაც მათი ქორწინებით დაგვირგვინდა. ამიერიდან, მოძმეთა შორის თავდასხმები და გაუგებრობები თითქმის შეწყდა.

1791 წელს გარდაიცვალა **სიმონ გურიელი**. მემკვიდრე მთავრის, **მამიას** მცირეწლოვანების გამო რეგენტის მოვალეობას მისი დედა **მარინე წერეთელი-გურიელისა** ასრულებდა. სამთავროს შიგა საქმეებში კი აშკარად ერეოდა მარინეს ძმა, რუსოფილი **ზურაბ წერეთელი**. მან იკისრა რუსეთის ჩვეული გეგმის აღსრულება – ერთმანეთისთვის გადაეკიდა ქართველი დიდებულები და დაესუსტებინა მათი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. უკვე ჭაბუკი მამია ზურაბმა გადაიბირა და დაარწმუნა იგი, რომ რუსეთის ხელისუფლების საფარველის ქვეშ დადიანივით დამოუკიდებელი მთავარი იქნებოდა, თუ სოლომონს გადაუდგებოდა.<sup>8</sup> (**ნიკო ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. 2. თბ. 1965. გვ. 375).

უფრო მეტიც, 1810 წლის მარტში **მამია გურიელმა** რუსეთის ჯართან გააერთიანა გურულების რაზმები და იმერეთზე გაილაშქრა. სოლომონ მეფე ხანის ხეობაში შეამწყვდიეს და ახალციხეში გადასასვლელი გზები ჩაუკეტეს. მეფე იძულებული გახდა დანებებოდა რუსებს. იგი 1810 წლის 1 აპრილს თბილისში შევიდა, სადაც პატიმარ ჰყვეს და სუმბათაშვილის სახლში ჩაკეტეს, მაგრამ 10 მაისს სოლომონმა მოახერხა გაპარვა და ახალციხეში თავის მომხრეებთან ჩასვლა.<sup>9</sup> (**მიხეილ რეხვიაშვილი**. იმერეთის მეფენი. ქუთაისი. 1992 წ. გვ. 249).

ცარიზმის ერთგულ სამსახურში ჩამდგარმა მამიამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, განუდგა სოლომონ მეორეს და მტრად გადაეკიდა. ამ აქტმა შეაშფოთა სოლომონის მომხრე ქართველი დიდებულები. სელიმ ხიმშიაშვილმა მამია გურიელს საგანგებო წერილით მიმართა, რომლითაც აშკარად

დასტურდება თავგამოდება სოლომონ მეფის მხარდასაჭერად, აგრეთვე მისი ანტიცარისტული ორიენტაცია და საკუთარი მხარის საქართველოსთან გაერთიანების სურვილი.

„ყოველად ამადლებული და დიდებით სავსე, ცათა სწორი ხელმწიფისაგან სამართლად პატივცემული, ჩილდირი-სა, ახალციხისა და მისი ალეთის მპყრობელი, ბათუმისა და ზღვის კიდეთა და სხვათა და სხვათა უფლებათა მქონებელი, დიდებული და ბედნიერი ვეზირი სამთუდიანი სელიმ-ფაშა მოგახსენებთ:

ჩემს საყვარელს და უერთგულესს შვილს მამია გურიელს დიად სიყვარულით მოკითხვას მოგახსენებთ. მერმეთ, ჩემო საყვარელო შვილო, მეფე სოლომანი, ჩემ ძმა ხაზინადაროვლი სულეიმან-ფაშასთან მისულა და ამიტომ მოგახსენებთ ამ წერილითა, რომ თუ ჩემი მამა-შვილობა გაქვს და ჩემგან არ გაგივლია, მეფე სოლომანს ნახამ და სულეიმან-ფაშასაც შეეყრები და მათ საქმესა და სამსახურზედ მუყაითი გაუხდები, რომ ჰამ ხელმწიფის სამსახურია და ჰამ ჩვენი მოყვრობა და მამაშვილობა ამ საქმით გამოცხადდება და ღვთით ჩემი ხელმწიფის წყალობაც შენზედ იქნება და ჩემიც უკეთესი ერთგული საყვარელი იქნები და ჩემი ხაზინადარი მუსტაფა-ალა გამიგზავნია და ისიც ამოგივლის და მოგახსენებს და რაც ამ წერილით მოგახსენებთ, თუ ამდარიგად არ ქენი, მე და შენი მოყვრობა და ერთობა აღარ იქმნება და აღარც გულშიდ გაიტარო, თუ მეც მოყვარე და მოკეთე მყავსო. ასე მოგეხსენებოდეს.

აღწერა ნოემბრისა 10-ში. 1813 წ.“<sup>10</sup>

(Акты Кавказской археографической комиссии (АКАК), Т. 5, Тифлис. 1873. стр. 510).

ვფიქრობ, ამ წერილს კომენტარები არ სჭირდება. იმასლა ვიტყვით, რომ სოლომონ მეფეს იგი ძმას უწოდებს, ამავე დროს აგრძნობინებს ახალგაზრდა გურიელს, რომ თვლის „ერთგულ და საყვარელ შვილად;“ ნამუსზე ავლებს მას, თანაც აფრთხილებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათი „მოყვრობა და ერთობა აღარ იქნება.“

სელიმ ხიმშიაშვილი მოღვაწეობდა სწორედ მაშინ, როცა გაუქმდა ქართული სამეფოები, ხოლო მეფის მემკვიდრეები სხ-

ვდასხვა ადგილებში აფარებდნენ თავს. ისინი სელიმის მსგავსი მემბოხეების დახმარებით ცდილობდნენ ტახტის დაბრუნებას. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამორჩეულია **ალექსანდრე ბატონიშვილი**, რომელმაც სწორედ ახალციხის საფაშოს მეშვეობით დაამყარა კავშირი იმერეთიდან გაძევებულ სოლომონ მეორესთან.

**პავლე ციციანოვი** სელიმისგან მოითხოვდა ალ. ბატონიშვილის და მისი ემისრების **ზაალ თუმანიშვილის** და **სოლომონ დავითაშვილის** გადაცემას, მაგრამ სელიმმა მთავარმართებელს დიპლომატიური პასუხი გასცა: ისინი იმერეთში გაემგზავრნენ და თქვენს ქვეშევრდომ სოლომონ მეორეს მოთხოვეთო. გარდა ამისა ელჩებს არავინ აკავებს და ეს თქვენთვის და ჩვენთვისაც საძრახისი საქციელიაო.

ქართველ დიდებულებთან, განსაკუთრებით ტახტის მაძიებელ ატონიშვილთან ურთიერთობის გამო სელიმს ციციანოვის მსგავსად საყვედურობდა მისი შემცვლელი ტორმასოვიც.

თუმცა ოსმალეთის სამთუდიანი ფაშის და პირველი ვეზირისთვის, ვინც პორტას კანონებსაც ეურჩებოდა, ძნელი არ იყო არაფრად ჩაეგლო რუსი გენერლების საყვედურები.

რუსეთმა მოითხოვა დროებით ფოთის ციხის გამოყენება, მაგრამ უკმეხი პასუხი მიიღო სელიმისგან: „მთელი იმერეთი დანიშნული არს ჩვენად, ხვანთქრის ფირმანის ბრძანებით იქ უნდა დაგვესვა მეფე სოლომონ, რადგან მამული ჩვენი გვეგონა, ციხესაც ავაშენებთ და თუ ხელშეკრულებით განირჩევა და დარჩება თქვენ მამულში, ადვილად შეიძლება მისი დაქცევა“<sup>11</sup> (**ქველი ჩხატარაიშვილი**. გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან. თბილისი. 1985 წ. გვ. 46).

ამ წერილიდან ირკვევა, რომ სელიმ ხიმშიაშვილი ფორმალურად იმერეთს სულთნის ხელქვეითად თვლის, მაგრამ არამართო სამცხე-საათაბაგოს და აჭარას, არამედ იმერეთსაც ექომაგება და თავზედ რუს გენერლებს შესაფერის პასუხს აძლევს: აქ იმერეთის სამეფოა, მეფედ სოლომონი უნდა იჯდეს, ჩვენ კი რაც გვსურს იმას ავაშენებთ, მაგრამ

თუ თქვენ ამას დააპირებთ, მას ძალიან ადვილად დაგანგრევთო.

ეს წერილი დაიწერა ფოთში, სადაც სელიმთან ერთად იყვნენ **სოლომონ მეორე** და **ალექსანდრე ბატონიშვილი**, ბუნებრივია, მათთან შეთანხმებით. ისინი რამდენიმე დღე ქობულეთში შეჩერდნენ, საიდანაც მეფე ტრაპიზონში დაბრუნდა.

**ალ. ტორმასოვი** იძულებულია ქართველი დიდებულების მეშვეობით სელიმთან გამართოს მოლაპარაკებები. დასაწყისში მასთან გაგზავნა პოლკოვნიკი ბეგლარ (თამაზ) ორბელიანი, რომელიც ხიმშიაშვილს სთხოვდა საფაშოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარი შეეშვა. სელიმმა ბეგლარი ალ. ბატონიშვილსაც შეახვედრა, რომლის ჩარევით, ბუნებრივია რუსებს მათ თხოვნაზე უარი უთხრეს.

**ალ. ტორმასოვი** არ ცხრება. ამჯერად სელიმთან მოსალაპარაკებლად გზავნის **ელიზბარ ერისთავს**, მაგრამ მისმა მისიამ, კიდევ უფრო დიდი კრახი განიცადა. ელიზბარი იმერეთში რუსულ ჯარს მეთაურობდა და დიდი როლი მიუძღოდა სოლომონ მეფის დაპატიმრებაში და მოსახლეობის რბევა-აწიოკებაში. ეს კარგად იცოდა სელიმმა, ამიტომ სტუმარი თავიდან ჩამოიცილა ისე, რომ მოლაპარაკება არც გამართულა.<sup>12</sup> (AKAK. T. 4. Тифлис. 1889 г. стр. 236, 275, 283, 308, 313).

ჩვენთვის ნაწილობრივ ცნობილია სელიმის თვისებები, რომელსაც ის ავლენდა თავის ხელქვეითებთან, მტრებთან და საეჭვო პირებთან, მაგრამ სრულიად არ ვიცით მისი ხასიათი, გარეგნობა, აგებულება, ჩაცმულობა, მიხრამიხრა, შინაურებთან დამოკიდებულება და ა. შ. რამდენიმე წლის წინ ბათუმელმა მხატვრებმა სელიმ ხიმშიაშვილი ქართულ ჩოხაში დახატეს. როგორც ყველა სიახლეს, ამასაც გამოუჩინდნენ ოპონენტები: აქაო-და მას ჩაქურა უნდა სცმოდაო. სელიმზე და მის მომდევნო თაობებზე ვერ ვიტყვი, მაგრამ აჭარაში და ოსმალეთში გადასახლებულ ხიმშიაშვილთაგან, რომელთა რიცხვი 500-ს აღემატება, არცერთი მათგანი არ მინახავს ჩაქურაში – ყველა მათგანს ქართული ჩოხა აცვია.

რაც შეეხება თვით სელიმს, საინტერესოა ერთი დოკუმენტის გაცნობა, რომელიც, შეიძლება ითქვას წერტილს უსვამს ამ გაუგებრობას.



სელიმ ხიმშიაშვილი  
ნახატი გურამ ფუტყარაძისა

1803 წლის 10 სექტემბერს ახალციხის საფაშოს სალახორი **სელიმ-ალა ყიფიანი იოსებ ბებუთაშვილს (მიშკარბაშს)** სწერს, რომ როცა დააპირებს ახალციხეში ჩამოსვლას, „ფაშისთვის ერთი კარგი ჩერქეზის შავი ჩოხა უშოვეთ, რომ ძალიან ეამება, იცოდეთ.“<sup>13</sup> (საქართველოს სიძველენი. ტ. 3. ტფილისი. 1910 წ. გვ. 99. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით).

ამგვარად ნათელია, რომ სელიმი თავის საყვარელ და საამო სამოსად თვლიდა ჩოხას და არა რომელიმე სხვა ტანსაცმელს.

სელიმ ხიმშიაშვილის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე ბოლო დრომდე ბატონობდა მოსაზრება, რომ მას უღალატა ყველაზე ახლობელმა და უსაყვარლესმა პიროვნებამ, კერძოდ ბიძამ **ახმელ-ბეგ ბეჟანიძემ**. მან ციხის კარები გააღო და მტერი შემოუშვაო. ერთად-ერთი წყარო, სადაც ამას ვკითხულობთ, არის კავკასიის ჯარების მთავარსარდლის, გენერალ **ნიკოლოზ რტიშჩევის** წერილი, რომელიც რუსეთის სახელმწიფო საიდუმლო მრჩეველს თ. ა. ვეიდენმაიერს გაუგზავნა. ნ. რტიშჩევი ქართველ დიდებულებთან შუღლის ჩამოგდების ოსტატი იყო. ეს წესი მან სელიმის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო განავითარა, რათა მის მემკვიდრეებს მტრობა ჰქონოდათ იმ დროისთვის საკმაოდ ძლიერ ბეჟანიძეთა ფეოდალურ

გვართან, დასუსტებულიყვნენ და გაადვილებულიყო მხარის დაპყრობა.

სამწუხაროდ ნ. რტიშჩევის მზაკერული ჩანაწერი გავრცელდა და ჩვენს დრომდე მოატანა. ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა კი სულ სხვა რამ დაადასტურა.

როგორც ცნობილია, ხინანის ციხეში სელიმს თან ჰყავდა 1 000-მდე მებრძოლი და 400-ზე მეტი ოჯახის წევრი. მიუდგომელადგილას მათი სურსათით მომარაგება გაჭირდა, საუბედუროდ საიდუმლო დარანიც ჩაიქცა და ეს გზაც გადაიკეტა. ციხეში შიმშილმა დაისადგურა. მრავალი თავშეფარებული შიმშილით გარდაიცვალა. პირველად სწორედ ამ მიზეზმა გადააწყვეტინა სელიმს, ჩაბარებოდა მტერს. შემდგომში მეორე კიდევ უფრო სერიოზული მიზეზიც გაჩნდა. **ბაბაფაშა ფეჰლეგანის** ხელმოცარულმა რაზმებმა, რომელთა ნაწილი სელიმმა ციხის მისად-

გომებთან ორჯერ გაანადგურა, ახლო-მახლო სოფლების გადაწვას და რბევა-აწიოკებას მიჰყვეს ხელი. ხინანის ციხიდან მთელი ხეობა ხელისგულივით ჩანს და სელიმიც ხედავდა, როგორ ნადგურდებოდა სოფლები.

ამ ორმა მომენტმა ხიმშიაშვილს გმირული გადაწყვეტილება მიაღებინა. მან ბრძანება გასცა თავის სარდალს ბეჟანიძეს, მოლაპარაკებოდა მტრის ემისრებს, რომ მზად იყო ჩაბარებოდა მათ იმ პირობით, რომ ციხის ბინადრებს უვნებლად გაუშვებდნენ და შეწყვეტდნენ სოფლების აწიოკებას. ასეც მოხდა.

ამგვარად, სელიმ ხიმშიაშვილმა თავისი სიცოცხლე თავისივე ნებით მიიტანა საკუთარი მიწა-წყლისა და ხალხის გადარჩენის სამსხვერპლოზე, ამიტომ იგი ღირსეული სახალხო გმირია და შესაბამისი პატივით უნდა მოვიხსენიოთ.

15. 06. 2015 წელი



**სელიმ ხიმშიაშვილის ბიუსტი მისივე სახელობის ქუჩაზე ქალაქ ბათუმში. 2015 წელი.**

**მოქანდაკე: ღვით ბოლქვაკი**



## მუზანა ფუტკარაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი.

### „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“...

#### სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მელაათ ხიმშიაშვილი გამოსათხოვარი

2015 წლის 5 მაისს სტამბოლში გარდაიცვალა ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის შვილთაშვილი, შერიფ ხიმშიაშვილის შვილიშვილი **მელაათ ხიმშიაშვილი**. იგი აჭარაში, ხულოში ხიმშიაშვილთა საგვარეულო სახლში დაბადებულთა შორის ბოლო წარმომადგენელი გახლდათ, თურქეთში გადახვეწილი ემიგრანტი ქა-



მელაათ ხიმშიაშვილის დედა მინირე

რთველი. ვფიქრობთ, დიდი სელიმის საიუბილეო დღეებში, ამ გამოსათხოვარი სიტყვით, მკითხველს შედარებით ვრცელი ბიოგრაფიული ცნობები მივაწოდოთ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მანდილოსნის შესახებ.

სამშობლოს სიყვარული უძლიერესი გრძნობაა წუთისოფელში. მეცნიერებმა იგი შენიშნეს ადამიანთა სამყაროს მიღმა, ცხოველებსა და ფრინველებში. „ადგილის დედა“ დასაბამიდან დღემდე თავისკენ იზიდავს შვილებს; ფუძის ანგელოზი გვეწვევა მშობლიური კერისაკენ...

სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული სევდა, როგორც ჩანს, უმწვავესია სხვა მიზეზით გამოწვეულ სევდათა შორის. ეს გრძნობა სისხლს გადააქვს ხოლმე ადამიანთა თაობიდან თაობაში. ასეთი დასკვნა გამოგვატანინა მუჰაჯირი ქართველების სულიერი სამყაროს შესწავლამ, მათი ზეპირსიტყვიერების გაცნობამ, რომელსაც ვემსახურები ოცდაათი წელიწადია. აჭარიდან იძულებით გადახვეწილთა მეოთხე, მეხუთე, მეექვსე თაობაში – მათი ბადიშების ბადიშებშიც კი იგრძნობა ისტორიული სამშობლოს მონატრების გრძნობა. ზოგიერთს ეს სევდა სისხლსა და ხორცში **მოჭარბებულად აქვს გამჯდარი**.

„ჩვენებურების ქართულის“ მეორე ტომის მასალებზე მუშაობისას ერთი ემიგრანტის (მუჰაჯირის) შვილიშვილმა მკითხა: „როგორ არის ჩვენი **ცოცხლობა**–ჩვენი ძველების მიწა; წინ მიდის თუ უკანო“.



თავის ისტორიულ სამშობლოს—სანატრელ საქართველოს „ცოცხლობა“ (სიცოცხლე) უწოდა და განაგრძო საუბარი: „—მაღლე ვაჟი შემეძინება და „ქართლოსი“ უნდა დავარქვაო“. ჩემს წინ ამაყი ქართველი იდგა, სუფთა ქართული სისხლით სავსე. მის თვალებში ძლიერი სევდა იკითხებოდა, ცრემლი კიაფობდა, ჩემგან სანუგეშო სიტყვის მოლოდინში. ეს შეხვედრა საქართველოდან შორს, ბურსის მხარეში, შუა ანატოლიაში შედგა. თურქეთელ ქართველს სამშობლოს სიყვარულმა ათქმევინა ეს სიტყვები... როგორც ჩანს, უცხოეთის ცის ქვეშაც დიდხანს გრძელდება ქართული სისხლის ყივილი და სამშობლოს სადარაჯოდ მანამდე იქნება ფაფარაყრილი, სანამ სხვა სისხლით არ აიძვრება იგი...

ჩემო მკითხველო, ეს გრძელი შესავალი იმისთვის მოვიტანე, რომ მინდა უკეთ ჩაგახედოთ ერთი დიდებული ქართველის სულიერ სამყაროში. ეს გახლავთ, დიდი სულიერ ხიმშიაშვილის შვილიშვილის შვილიშვილი—**მელაათ ხიმშიაშვილი**. შესავალში ნათქვამი ყოველი სიტყვა მარცვალ—მარცვალ ესადაგება მისი სულის მოძრაობას, მდიდარ სულიერ სამყაროს. მართალია, იგი უკვე ზეციური საქართველოს მკვიდრია, მაგრამ გვწამდეს, რომ მისი სული იქიდანაც კვლავ თავს ევლება მშობლიურ მიწას.

მელაათ ხიმშიაშვილზე საუბრის დროს, უნებურად მახსენდება ცნობილი ნოველისტის, სახელოვანი მწერლის, ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა — „**გული**“. მოგეხსენებათ, მასში სულ რამდენიმე სტრიქონით ნაჩვენებია თავგადასავალი უცხოეთში გადახვეწილი ქართველისა, სამშობლოზე დარდს რომ ვერ გაუძლო, დასნეულდა და ნაადრევად გარდაიცვალა. მეგობრებმა გვაბი გააკვეთინეს; ნახეს, რომ მკვდარს გული აღარ ჰქონდა. სამშობლოზე სევდას გული ფერფლად ექცია. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: მელაათ ხიმშიაშვილის ცხედარიც რომ გაეკვეთათ, გულის მაგივრად ფერფლი დახვდებოდათ.



შერიფ ხიმშიაშვილი მეუღლესთან — დანიელ პრინცესა ნადეჟდა დავმარასთან ერთად

... მელაათი დაიბადა ზემო აჭარის ულამაზეს ადგილას, დაბა ხულოში 1922 წლის 14 ივნისს, ჰაჯი ალი სეიდიშვილის — ხიმშიაშვილის ოჯახში. მამა ვაჭრობას მისდევდა; სტამბოლიდან სამრეწველო საქონელი ჩამოჰქონდა აჭარაში და იმით ახერხებდა ოჯახის შენახვას, ხიმშიაშვილთა დიდი გვარის სიძეობას. გულისხმიერი, თავაზიანი, სტუმართმოყვარე პიროვნება ხიმშიაშვილთა საყვარელი სიძე გახლდათ.

მელაათის დედა—ქალბატონი მინირე—ხიმშიაშვილთა სახელოვანი შვილის—შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის ქალიშვილი იყო, დანიის მეფის ქრისტიან IX-ის (1818–1906) ძმის შვილიშვილი.

შერიფ ხიმშიაშვილი 1880 წელს პეტერბურგში მიიწვია რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ (1855–1881 წ.წ.), აჭარისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეების დაბრუნების საქმეში გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად. პეტერბურგში ყოფნის დროს შერიფის პირად ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა...

შერიფი სამხრეთ—დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, აჭარიდან, პირველი ქა-

რთველი მუსლიმანი გახლდათ, რომელიც პეტერბურგში მონათლა. იგი მონათლა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ (1881–1894). ნათლობის სახელიც მეფემ შეურჩია—**ალექსანდრე**. მალე შერიფმა ჯვარი დაიწერა ნადეჟდა დაგმარაზე—დანიელ პრინცესაზე და იმპერატორს დაუმოყვრდა.



შუმანა ფუტკარაძე და მელაათ ხიმშიაშვილი

ალექსანდრე მესამის მეუღლეს—**მარია თეოდორეს ასულს** სასახლეში სეფე ქალთა ამაღლა ჰყავდა. ამ ამაღლის საპატირო წევრი იყო ნადეჟდა (ნადია) დაგმარა. რუსეთის იმპერიის დედოფალი—**მარია თეოდორეს ასული** ნადეჟდას ღვიძლი ბიძამვილი იყო, დანიის მეფის ქრისტიან IX-ის ქალიშვილი. შერიფ ხიმშიაშვილის ნათლობისა და ჯვრისწერის დღესასწაულები სამეფო კარმა რომანოვების სასახლეში გადაინადა.

ამიერიდან რუსეთისა და დანიის სამეფო კარი დაუმოყვრდა აჭარის მმართველ გვარს—ხიმშიაშვილებს. ეს მოყვრობა გაგრძელდა 1917 წლის თებერვლამდე, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის შვილის—**ნიკოლოზ მეორის (1894–1917 წ.წ.) გადადგომამდე**. იმ მძიმე დღეებში **ალექსანდრე მესამის ქვრივი, ნიკოლოზ მეორის დედა — მარია თეოდორეს ასული**

(**დაგმარა**) ისვენებდა ლივადიაში (ყირიმის ოლქი, იალტასთან ახლოს), მკურნალობდა კარდიოლოგიურ სანატორიუმში. რუსეთის სამეფო კარის განადგურებამ, შვილის — **ნიკოლოზ მეორის წამებულმა სიკვდილმა**, დაამძიმა დედოფლის ჯანმრთელობა. მას, როგორც **დახვრეტილი ნიკოლოზ მეორის დედას**, საფრთხე შეექმნა.

ინგლისის მაშინდელმა დედოფალმა **ალექსანდრამ (1844–1925 წ.წ.)** სამხედრო კრეისერი „მარლბორო“ გამოგზავნა ოდესაში, ლივადიაში, თავისი **დის-ნიკოლოზ II-ის დედის ლონდონში წასაყვანად**. რუსეთის იმპერიის ყოფილი **დედოფალი მარია თეოდორეს ასული (ნიკოლოზ მეორის დედა)** თავისი ამაღლით შეიფარა ინგლისის სამეფო კარმა. ამ ამაღლაში ირიცხებოდა **შერიფ ხიმშიაშვილის ქვრივიც—ნადეჟდა (ნადია) დაგმარა**. როგორც ცნობილია, შერიფი გარდაიცვალა პეტერბურგში 1892 წლის ზამთარში. ასე დაშორდა **ნადია დაგმარა** თავის ერთადერთ ქალიშვილს—**მინირეს**, რომელიც მაშინ სტამბოლში ცხოვრობდა ქმართან ერთად.

მალე ოსმალეთშიც დაამძიმა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ევროპის ძლიერი სახელმწიფოები, ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, ცდილობდნენ სტამბოლის დასაკუთრებას. **ჩანაქქალესთან** გამართულ ბრძოლაში (1915 წელს) ოსმალეთის მტრები დამარცხდნენ, მაგრამ სახელმწიფოს მმართველმა ორგანოებმა ვედარ შეძლეს ხელისუფლების შენარჩუნება; ბოლო იმპერატორმა (ფადიშაჰმა), დედით ქართველმა—**სულთან მეჰმედ ვაჰიდუდინმა (1918–1922)** სამეფო ტახტი დაკარგა.

ოსმალეთის იმპერიის გულში აღმოცენდა ახალი ძლიერი სახელმწიფო—**თურქეთის სახალხო რესპუბლიკა, ქემალ ათათურქის** მეთაურობით.

თურქეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო მეღაათის დედ-მამა საცხოვრებლად ხულოში გადმოვიდა, **ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის** ოჯახში. ე.ი. ძმამ შეი-

ფარა დის-მინირეს ოჯახი. 1922 წელს მელაათი დაიბადა. იგი ხულოში ცხოვრობდა 1935 წლამდე; მან აქ მიიღო დაწვეებითი განათლება.

ბოლშევიკური მმართველობის მძიმე პერიოდმა მის თვალწინ გაიარა. მელაათს ბოლომდე დაწვრილებით ახსოვდა ყველაფერი: ბოლშევიკები როგორ ავიწროებდნენ ხიმშიაშვილთა ოჯახებს, უმოწყალოდ ძარცვავდნენ, სიკვდილით ემუქრებოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ; აბუჩად იგდებდნენ ადებსა და ბევებს (აზნაურებსა და თავადებს). სწორედ, მაშინ განადგურდა საზოგადოების მოწინავე ნაწილი, განათლებული ქართველობა: ბევრი განუკითხავად დახვრიტეს, დახოცეს, ციმბირში გადაასახლეს, სადაც, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, მალე დაიხოცნენ.

მელაათი ცოცხალი მოწმე იყო იმ მძიმე დღეებისა. მისი საუბრის ტექსტი მალე გამოქვეყნდება წელიწდეულ კრებულში „გამონათლევნი“ (ტომი მეორე), რომელიც ეძღვნება ქართველი ხალხის საამაყო შვილის **სელიმ ხიმშიაშვილის** წამებული აღსასრულიდან **200 წლისთავს**. ამიტომ ამჯერად მასზე ვრცლად არ შევჩერდებით.

მკითხველს მსურს გავაცნო მელაათ ხიმშიაშვილის საოჯახო არქივში შემონახული ორი ცნობა. ერთი ეხება ბათუმის საბაჟოში მამამისის დაყადაღებულ, კონფისკაციაქმნილ-ჩამორთმეულ საქონელს, მეორე კი ხულოში მელაათის ოჯახიდან გატანილ, ქონებას.

1931 წლის 15 ივნისს, ხულოში მცხოვრებ ალი სეითზადე (სეიდიშვილი) – ხიმშიევის (ხიმშიაშვილის) ოჯახიდან კონფისკაციით გაუტანიათ ძვირფასი ნივთები – ბეჭდები, გულსაბნევეები, სამაჯურები, რუსული

ფული და სხვა სახის საგნები. მათ შორის ირიცხება ძვირფასი მარმარილოს პირსაბანი და აბანო. ესენიც მოუხსნიათ და წაუღიათ.

... ვინ იცის, შეიძლება დღემდე ამშვენებს ეს ნივთები მავანისა და მავანის ოჯახებს...

ჩამორთმეულ ნივთებს შორის დასახელებულია შერიფ ხიმშიაშვილის **ოქროს სამხრები** (თურქულად წერია „ჩივთი აპოლეტი“, ანუ წყვილი სამხრე)–**გენერალ-მაიორის დამადასტურებელი ნიშნები**.

ქალბატონი მელაათის ცრემლგებით დასველებული კონფისკაციის დამადასტურებელი ცნობები–ეს **ცოდვით სავსე ფურცლები**–მოგვითხრობენ იმ შავბნელ დღეებზე, რომელიც მოჰყვა ბოლშევიკურ რეჟიმს. ცნობებს ხელს აწერენ – აჰმედ ჩიტაძე, მიროფანი, რადიონოვი, რამიშვილი და კვაჭაძე.

ქალბატონმა მელაათმა გაიხსენა დედის სევლით დამძიმებული სიტყვები.

მელაათის დედა–მინირე ხანუმი ეხვეწებოდა თურმე იმ ჯალათებს: – **„მამაჩემისგან სახსოვრად მხოლოდ ეს ოქროს სამხრები დამრჩა და როგორმე დამიბრუნეთო“**. ცრემლებმა ვერ მოაღბო მათი დახარბებული გული. ყველაფერი წაიდეს... დედა რამდენიმეჯერ თბილისის მთავრობაშიც წავიდა საჩივლელად: –**„შერიფ ხიმშიაშვილის სამხრები მაინც დამიბრუნეთო,–ითხოვდა დიდხანს. მაგრამ არავის ესმოდა დედის სიტყვები. ეუბნებოდნენ:–შერიფ ხიმშიაშვილის სამხრები რომ არის, სწორედ, იმას ვერ დაგიბრუნებთ, მუზეუმისთვის გეჭირდებაო. თუმცა დღემდე არც ერთ მუზეუმში არ გვინახავს შერიფ ხიმშიაშვილის ოქროს სამხრები“–ო–** ამბობდა მელაათი.

ქალბატონი მელაათი დიდი სიყვარულით იგონებდა ხულოში

გატარებულ ბავშვობას. მას ხულოს საბაზო სკოლაში ჰქონდა მიღებული დაწყებითი განათლება. ხშირად ისე ნებდა **ნინო მასწავლებელს**, რომელმაც ქართული წერა-კითხვა ასწავლა. მისი მადლით ცხებულს ღრმა სიბერეშიც კი ახსოვდა „დედა ენის“ ლექსები, ქართული წერა-კითხვა.

მელაათის მშობლები იძულებული გახდნენ 1935 წელს დაეტოვებინათ აჭარა და ყარსში გადასულიყვნენ. მათ მოინახულეს ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ხიმშიაშვილები, ამ მხარეების გამგებლები. ყველანი – **ოლთისში, ტაოსკარში, შავშეთში, არტაანში, არტანუჯში, ფოცხოვში** მცხოვრები ხიმშიაშვილები – ამ მხარეების ყოფილი გამგებლები – მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. მალე თურქეთის მთავრობამ ისინი გადაასახლა შიდა თურქეთში და გაფანტა. შემდეგ წლებში ნელ-ნელა წელში გაიმართნენ და სტამბოლში, ანკარაში, ბურსაში გადმოსახლდნენ, რათა შვილებისათვის მიეღებინებინათ შესაბამისი განათლება.

მელაათ ხიმშიაშვილმა დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტი. მიიღო დაწყებითი სკოლის მასწავლებლის სპეციალობა. პენსიაზე გასვლამდე მასწავლებლობდა. ძალიან უყვარდა ბავშვები. თავის ენერგიას უანგაროდ ახმარდა მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს. ნათესავების ბავშვებს ასწავლიდა ქართულ ენას, ქართულ წერა-კითხვას, საქართველოს ისტორიას. სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლებში აღვივებდა ისტორიული სამშობლოს სიყვარულს. მთავრობისაგან მიღებული ჰქონდა სიგელები და ჯილდოები. სიკვდილამდე იღებდა დამსახურებული პედაგოგის პენსიას.

სარფის კარის გახსნის შემდეგ, 1990 წლის შემოდგომაზე, ძმის

შვილიშვილთან, **ენვერ ხიმშიაშვილთან** ერთად, ესტუმრა სამშობლოს; მოიარა მშობლიური ადგილები. მომდევნო წლებშიც რამდენიმეჯერ გაახარა გული სამშობლოს ნახვით. მონატრების გრძობა მაინც დაუკმაყოფილებელი დარჩა. სულ ენატრებოდა მშობლიური კუთხე, სამშობლოს დედა-ღურდანი; ბარში-კოპწია ბათუმი, ლილისფერი თვალხატულა ზღვა. მთაში კი... ხულოს სასახლის ეზო-კარში გავლახე ოცნებობდა. შადრევანთან მდგარი ხეების ჩეროში ჩამოჯდომა ენატრებოდა. სასახლის სასტუმრო დარბაზში მდგარ, პეტერბურგიდან პრინცესა ელიზავეტას მიერ ნაჩუქარ, პიანინოს კლავიშებთან გათამაშება სწყუროდა. პაპისეულ მაღალ სარკეში ჩახედვას ნატრობდა და თანაც იღიმებოდა: „-იმ სარკეში ჩემს ახალგაზრდობას დავინახავ... წლები მხრებიდან ჩამომცვივდება, ნოჭები გამისწორდება, კვლავ ისეთი მოსაწონი შევიქმნები, ოდესღაც თაყვანისმცემლებს რომ ვუნახივარ და ამდერებულან: „**მიყვარს ვარდი, მომწონს ია, ბეგის ქალმა გადამრია**“-ო.

ენატრებოდა **ხულო, სხალთა, ნიგაზეული**; სხალთის წყალში ჩაძირული მთვარე; ხულოს სასახლის ბაღის ძველი შადრევანი, **სხალთის ტაძარი, ხულოს ძველი მეჩეთი, წინაპართა საფლავები**. ნაწყენიც იყო: – საფლავის ქვები დაუგლეჯიათ, ხიმშიაშვილების საფლავები თითქმის წაუშლიათ ხულოშიო, – შემომჩივლა ბევრჯერ... სოფელ **ბაკოში**, ხიმშიაშვილების სააგარაკო მამულში, ქოჩახის ლამაზ ჭალაში გაჭრილი დიდი პაპის – **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის საფლავი** ესიზმრებოდა. მწარედ დაიჩივლა კიდევ: „**გავიგე, ვიდაცეებს საფლავის ირგვლივ გაშლილი ჭალა, საუკუნის მანძილზე მთის ნაირფერი ყვავილებით რომ ამკობდა ობლად**

დარჩენილ საფლავს, გადაუბარავთ და საყანედ გაუხდითო“... საფლავების პატრონობას ითხოვდა აქაურებისაგან.

**ქალბატონო მელაათ,** სამშობლოს მონატრებით გულდამწვარო ჭირისუფალო, ბევრი ცრემლი გაქვს დაღვრილი შენი დიდი ბაბუის – **სახელოვანი სელიმ ხიმშიაშვილის საფლავზე,** სოფელ ნიგაზეულში. შენ ბევრჯერ მადლობა დამაბარე ნიგაზეულელ **უშარიძეებზე** გადასაცემად, რომლებმაც თავიანთ მიწაში, თავიანთ სასაფლაოზე გადმოასვენეს სოფელ ბაკოდან გულდაკოდილი სელიმის ცხედარი; სამუდამო სამყოფელი დაუმკვიდრეს მის წამებულ სხეულს. შენი სამადლობელი სიტყვები საჯაროდ დღემდე არ მითქვამს; შენზე მიძღვნილ გამოსათხოვარ სიტყვაში ვამბობ ამას და მეც, შენთან ერთად, მადლობას მოვასვენებ ნიგაზეულელი **უშ-**

**არიძეების** წინაპრებს, რომლებმაც იმ საშიშარ დღეებში, 1815 წლის ივნისის პირველ რიცხვებში, გაბედეს და უპატრონეს მტრისაგან განწირული სელიმის ნაწამებ სხეულს, გაპატიოსნებული დაკრძალეს თავიანთ სასაფლაოზე; წამებულ გმირს ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს თავიანთი ერთგულება. სხვანაირად არც იქნებოდა. **უშარიძეები იყვნენ სელიმ ხიმშიაშვილის მედროშენი, ფშაველი ვაჟაკები, ფშავის სოფელ ოშარიდან მედროშეებად მოწვეული დიდი სელიმის მიერ.** მათმა შთამომავლებმა, **ნიგაზეულელმა უშარიძეებმა,** დღემდე შემოინახეს ლეგენდებად ქცეული ბევრი ისტორიული ცნობა დიდი სელიმის შესახებ. **ჩემო მელაათ,** შენს მაგივრად ყველას მე მოვასვენებ მადლობას დიდი წინაპრის ხსოვნის ასე ღამაზად შენახვისათვის.

ჩვენო ძვირფასო ნათესავო, **ქალბატონო მელაათ,** თქვენს მაგივრად



სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლები სტამბოლში

მადლობას მოვასხენებ, აგრეთვე, ყველას, ვინც გულში სათუთად ინახავს დიდი სახალხო გმირის ხსოვნას და დღენიადაგ იღვწის **ნიგაზეულში, ხულოში, სხალთაში, ქოჩახში** დაცული ხიმშიაშვილების საფლავების მოვლა-პატრონობისათვის; **ნიგაზეულში** და **სხალთაში** არსებული **მუზეუმების მოვლა-შენახვისათვის**; მადლობას მოვასხენებ **შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სელმბდვანელობას, რექტორატს**, რომელმაც ქართველი ხალხის ეროვნული გმირის **სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის აუდიტორია გახსნა**, რათა მომავალი თაობა უკეთ გაეცნოს აჭარის დიდებულ ისტორიას, აღიზარდოს სამშობლოს ერთგულ დარაჯად. მჯერა, **ბეირფასო ქალბატონო**, შენ მაძლევ თანხმობას სამადლობელი სიტყვის სათქმელად, რადგან იცი, რომ მეც შორეული შთამომავალი, **მექვსე თაობის წარმომადგენელი ვარ**,



მელაათ ხიმშიაშვილი –  
შერიფის შვილიშვილი

დიდი სელიმის ფესვებზე აღმოცენებული, რომელიც შევეცადე საზოგადოების წინაშე წარმომეჩინა ამ სახელოვანი გვარის შვილთა მიერ სამშობლოსათვის გაწეული ღვაწლი. ბევრი რამ კიდევ წარმოსაჩენია.

**ჩემო მელაათ**, პირადად შენი დავალებით შევძელი სახელოვანი ქართველი მანდილოსნის, დიდი შერიფ ხიმშიაშვილის დედის, **თავდადებული სელიმის რძლის, ჩვენი დიდი დიდების დუდი ხანუმ ბეჟანიძის** პიროვნების წარმოჩენა. პირველად 1989 წელს ვუძღვენი სტატია ამ ღირსეულ მანდილოსანს: **„დუდი ხანუმი-აჭარის მმართველი“**, რისთვისაც შენი და სელიმის შთამომავალთა მადლობა დავიმსახურე (სტატია დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“, იხ. 25 აპრილი, 1989 წელი). სწორედ, ამ სტატიისათვის მოძიებულმა ისტორიულმა წყაროებმა წარმოაჩინა დუდი ხანუმის ღვაწლი.

**ჩვენო საყვარელო ქალბატონო მელაათ!** ამ გამოსათხოვარ სიტყვაში მადლობა მინდა მოგასხენოთ თქვენცა და ენვერ ხიმშიაშვილსაც ერთი ცნობილი ლექსის გამო. თქვენმა ცრემლიანმა მოგონებებმა, სამშობლოს სიყვარულით გაჯერებულმა საუბრებმა შემაძლებინა დამეწერა ლექსი **„მენატრები, ჩემო ხულო“**. იგი ჩემს პოეტურ ნააზრევთა შორის მარგალიტით მოსჩანს. მასში სამშობლოს მონატრების გრძნობაა ლექსად ამეტყველებული. **თქვენთან საუბრის გარეშე ამ ლექსს ვერ შევქმნიდი**. ამიტომ პირველად რომ დაიბეჭდა, ავტორად შენ მიგიჩნიე, ჩემი გვარი დავმაღე. თქვენ ამაზე მისაყვედურეთ სამართლიანად და აღმადგენინეთ ჩემი ავტორობა. მადლობას მოვასხენებ ამისთვის თქვენს ნათელ სულს. მაგრამ საქართველოში ზოგიერთებს არ მოეწონათ ეს და

ჩემი კრიტიკა დაიწყო. ქუთაისელი პროფესორი **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** სპეციალურად ამის გასარკვევად ჩაბრძანდა სტამბოლში, თარჯიმანი დაიქირავა (რადგან ხანდაზმულობის გამო ქართულად თავისუფლად საუბარი უკვე გიჭირდათ) და გაგესაუბრათ ამ საკითხზე. თქვენ დაუდასტურეთ სინამდვილე, რომ ამ ლექსის ავტორი მე ვიყავი. ამიტომაც ვეღარ შეიტანა ეს ლექსი „**ემიგრანტული პოეზიის ანთოლოგიაში**“, ქუთაისში რომ გამოიცა.

ენვერ ბიძას სახლში გამართულ საუბრებში მოახრებელი ლექსი „**მენატრები, ჩემო ხულო**“ შენ ძალიან გიყვარდა და ხშირად მაკითხვინებდი. ამიტომ შენს გამოსათხოვარს ეს ლექსი უსათუოდ დაამშვენებს და შენს სპეტაკ სულს გაახარებს, რადგან ეს ლექსი შენ გეძღვნება, შენი გრძნობებია ლექსად ამეცხველებული:

მენატრები, ჩემო ხულო, ჩემო მიწავ,  
ჭირნახულო;  
თეთრ სიზმრებში დანახულო, იქნებ ვეღარც  
გინახულო.  
ვეფერები სხალთას, თაგოს: მანდ ჩამოსვლა  
მიქადაგოს,  
დამაბრუნოს აჭარაში, უცხოეთში არ  
დამკარგოს...  
ფიქრის ფრთებით გადავსერავ, ნიგაზეულს,  
სარიჩაირს,  
კკოცნი მიწას მონატრებულს, წყაროს,  
ყვავილს. ათასნაირს...  
სტამბოლს შუქი ეფინება, ჩემს თვალებს კი  
ბინდი აკრავს,  
გულით როდი მეღიმება ამდენი ხნით  
ნაღველნაკრავს...  
გული აქით აღარ მიძღვებს, შენთან ყოფნა  
მუდამ მწადის,  
შენს ნატვრაში გავათიე ცხრაჯერ ათი  
წელიწადი...  
რა იქნება, ჩემო ღმერთო, თაფლის სანთლად  
ჩამომღვენტო;

ხულოს ზეცა გადამხურო, ხულოს მიწა  
წამახურო,  
რომ მშობლიურ აჭარაში ჩემი სული  
სანთლად ენთოს..  
...დამესიზმრე წუხელ, ხულო, მთის კალთაზე  
დახატულო,  
ჩემთვის ტაძრად შენახულო; მენატრები,  
ჩემო ხულო,  
თეთრ სიზმრებში დანახულო, ჩემი სულის  
გაზაფხულო!

მკითხველს ეს პატარა ამბავი იმიტომაც მივაწოდე, რომ ერთხელ კიდევ ამ მოგონებითაც მინდოდა წარმომეჩინა თქვენი პიროვნების სიდიადე, ღამაში სულიერი სამყარო.

ოთხმოცდაცამეტი წლის მანდილოსნისთვის ხანდაზმული სიცოცხლე წუთის სოფლად ჩაითვალა მაინც. 2015 წლის 5 მაისს წუთისოფელს გამოეთხოვა შენი სპეტაკი სული; ზეციურ საქართველოში, წინაპრების დიდ ოჯახში დაიღო ბინა. თითქოსდა წუთში ჩაეტია შენი დღეგრძელი სიცოცხლე.

**მშვიდობით, ჩვენი მხარის უღამახესო ასულო, დიდი გვარისა და ჯიშის წარმომჩენო, სამშობლოზე პაპაშენივით შეყვარებულო ასულო.**

**შენი საფიცარი აჭარიდან გულითადად გეთხოვებით ყველა შენი ჭირისუფალნი, ვინაც შენს სამგლოვიარო თავყრილობას უნდა დავსწრებოდით და საქართველოდან სტამბოლში ჩამოტანილი ყვავილებით უნდა დაგვემშვენებინა შენი განსვენების უკანასკნელი ჟამი...**

ოცნებით ვეფერებით შენს თბილ საფლავს. იძინე მშვიდად, მშობელი მიწის ნატრულო ასულო. ფიფქივით მსუბუქი ყოფილიყოს შენს მკერდზე დაყრილი სტამბოლის უცხო ცივი მიწა...

**ჩვენო მეღაათ, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულო ქალბატონო, შენმა საყვარელმა აჭარამ დიდი პა-**

ტივისცემითა და სიყვარულით აღნიშნა სამშობლოს ერთიანობისათვის თავშეწირული შვილის, ქართველი ხალხის ეროვნული გმირის, სელიმ ხიმშიაშვილის გარდაცვალებიდან 200 წლისთავი. შენს საყვარელ ბათუმში დაიდგა სელიმ ხიმშიაშვილის ძეგლი, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თურქეთიდან, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ჩამობრძანებულმა მომსენებლებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა—აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** და აკადემიის წევრ—კორესპონდენტმა **გურამ ლორთქიფანიძემ**; სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებში მოეწყო შესაბამისი ღონისძიებები. ჩვენი დიდი წინაპრის ხსოვნის უკვდავყოფისათვის მოწყობილი შეხვედრები განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობით. ყველას გულითად მადლობას მოვახსენებთ ამ პატრიოტული შემართებისა და ყურადღებისათვის. თურქეთიდან ჩამობრძანებულ სტუმრებს შორის შენი ნათელი სახე არ ჩანდა მხოლოდ, რაც მეტად გულსატკენი იყო. გვჯერა, დიდად გაიხარებდი დიდი პაპის ხსოვნის ასე დაფასებისათვის...

ბედის უკუღმა ტრიალს რომ ასცდენოდა შენი ცხოვრება, ვინ იცის, როგორ ამადლდებოდი საზოგადოე-


ბრივ სარბიელზე, დანიისა და რუსეთის სამეფო კარის, ხიმშიაშვილთა სახელოვანი გვარის შთამომავალო, მუსიკისა და მხატვრობის მოყვარე, დეკორატიული ქსოვისა და ქარგვის ოსტატო, ქართული ჩუქურთმის მესაიდუმლე... ვაი, რომ შენი ტალანტი, ნიჭიერება სამშობლოს წინაშე გამოუვლენელი დარჩა.

... მშობლიურ აჭარაში გახსნილ მუზეუმებში იცოცხლებს შენი სული...

გვჯერა, **აჭარის ხელისუფლება** დაინტერესდება და ხიმშიაშვილთა გვარის ნატვრას სინამდვილედ აქცევს; დაბა ხულოში მდგარ 180 წლის ისტორიულ საგვარეულო შენობაში, შენი დიდი პაპის – **დიდი სელიმის შვილის—ახმედის მიერ აშენებულ სახლში**, ბინას დაიდებს „**სელიმ ხიმშიაშვილის სახლ—მუზეუმი**“; იგი გადაიქცევა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთების სამჭედლოდ. მას დაამშვენებს სტამბოლელი ხიმშიაშვილების მიერ საჩუქრად ნაბოძები სამუზეუმო ნივთები. მათ შორის იქნება შენს ოჯახში ნაფერები ძვირფასი საგნებიც.

**ჩვენო კეთილად მოსაგონარო ქალბატონო, მელაათ—ხანუმ!** რარიგად დაამშვენებს შენს მიმართ ნათქვამ გამოსათხოვარ სიტყვებს შენსავით უცხო ცისქვეშ დადამებული გენიოსი პოეტის **ნიკოლოზ ბარათაშვილის** პოეტური სტრიქონები: „**ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!**“...





## ქრისტიანული საკულტო კმბლები სხალთა-ხინის ხმოვანში

ბერძნულ-რომაული და ქართული წერილობითი წყაროებით, რომლებსაც მხარს უჭერს არქეოლოგიური, ზეპირსიტყვიერი და ტოპონიმიკური მასალებიც, ქრისტიანობა აჭარის ტერიტორიაზე ქრისტეს პირველმოციქულთა ხანაში გავრცელდა. აქ აიგო პირველი ეკლესიაც. მოგვიანებით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, IV საუკუნის შუახანებში, როცა საეპისკოპოსოები ჩამოყალიბდა, აჭარა ტერიტორიულად **თუხარისის** სამწყსოში შედიოდა (**ღვთივეკურთხეული...., 2004, 4**). V-VI საუკუნეებში საეპისკოპოსოთა რაოდენობა გაიზარდა. **თუხარისის** სამწყსოს ადგილი ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულმა **ახიზის** საეპისკოპოსომ დაიკავა და აჭარაც ამ საეპისკოპოსოში შევიდა, თუმცა პინგოროყვას მტკიცებით, აჭარა VI საუკუნიდან პეტრას საეპისკოპოსოში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული. იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროის აჭარის ბარის ტერიტორია (ქობულეთ-ბათუმის მხარე გონიო-აფსაროსამდე) ეგრისის ქართულ სახელმწიფოში შედიოდა, ხოლო აჭარისწყლის ხეობა (მთიანი აჭარა) – ქართლში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბარის აჭარა პეტრას საეპისკოპოსოს სამწყსოში იქნებოდა გაერთიანებული, ხოლო მთიანი აჭარა-ახიზის საეპისკოპოსოში. მალე ეს ტერიტორიები **ახის** ეპარქიის საზღვრებში მოექცა (**ღვთივეკურთხეული...., 2004, 4**). X-XI საუკუნეებში განხორციელებული საეკლესიო რეფორმით, „ძველი“ საეპისკოპოსოების „ახლით“ შეცვლის ხანაში, რაც საქართველოს გაერთიანების პროცესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ბარის აჭარა ხინოს საეპისკოპოსოს ფარგლებში

ჩანს, მთიანი აჭარა კი ტბეთის საეპისკოპოსოს საზღვრებში (**ღიასამიძე, 2001, 179**).

XI საუკუნის დასაწყისიდან მთიანი აჭარის საერისთავოს აბუსერიძეთა საგვარეულო განაგებდა. ფართოდ გაიშალა აქ საეკლესიო მშენებლობა. თითქმის არც ერთი სოფელი არ დარჩენილა სეკლესიო ნაგებობის გარეშე, ზოგან ორი ეკლესიის ნანგრევებიცაა დაფიქსირებული (**ორთახონა, საღორეთი, დარჩიძეები**) (**ღიასამიძე, 2009, 365**).

წარმოდგენილი ნაშრომი ამ ეპოქაში აშენებული ეკლესიების დათარიღებას (თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესია) და სტატუსის (უფლებრივი მდგომარეობის) დადგენას (სხალთის ეკლესია) ეძღვნება.

**თხილვანის** იოვანე მახარებლის ეკლესიის არსებობის შესახებ საზოგადოებამ იცოდა აბუსერიძე ტბელის თხზულებიდან „ახალი სასწაულნი წმიდა გიორგისნი“. ბოლო წლებამდე იგი ითვლებოდა ტბელ აბუსერიძის დის-ვანენის მიერ აშენებულად და XIII საუკუნით იყო დათარიღებული (სიხარულიძე, 1981, 50-51; მამულაძე, 2006, 62), მაგრამ 2008 წელს, შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით, პროფესორმა შოთა მამულაძემ ეს ძეგლი XI საუკუნეში აშენებულად მიიჩნია (მამულაძე, ვერულაშვილი, 2008, 243). გასარკვევი დარჩა ჯერ ერთი, ამ ძეგლთან დაკავშირებული წერილობითი წყაროების შეუსაბამობის საკითხი, რაც ადრევე ეჭვის ქვეშ აყენებდა ძეგლის XIII საუკუნით დათარიღებას და მეორე, თუ ძეგლი XI საუკუნით თარიღდება, მაშინ სად უნდა ვეძებოთ ტბელი აბუსერიძის ნაშრომში მითითებული ვანენის მიერ აშენებული იოვანე მახარებლის ეკლესია.

აბუსერისძე ტბელი, თხზულების „ახალნი სასწაულნი წმიდა გიორგისნის“ „ანდერძში,“ წერს, რომ მისმა დამ ვანენმა **„ეკლესიად აღაშენა წმინდისა იოვანე მახარობლისაი და ღმრთისმეტყუელისაი, სამკვიდრებელი ჩუენი, და აღავსო საწყაული კეთილი“** (აბუსერისძე ტბელი, 1998, 68), რაც აშკარას ხდის, რომ თხილვანაში, აბუსერისძეთა ფეოდალური გვარის სამკვიდრო სოფელში, ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ამ აზრის ერთგვარ დადასტურებად იქცა 1948 წელს, სოფელ თხილვანაში, დ.მამულაძის მიწის ნაკვეთში, წარწერიანი ბალავრის ქვის ნაწილის აღმოჩენა. წარწერა შემდეგი შინაარსისა იყო: **“ქრისტე, წმიდაო იოვანე მახარებლო, დაიცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათი და მოიხაიშნე ექმნენ დღეს ამისა სასჯელისა ნუ დასჯი ამინ”** (მამულაძე, 2000, 64-65). როგორც წარწერიდან ჩანს, ეკლესია იოვანე მახარებლის სახელობის ყოფილა. მოხსენიებული არიან ერისთავთ-ერისთავი აბუსერი, მისი მეუღლე ვანენი, ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი. მოგვიანებით ამ ბალავრის ქვიდან 50 მეტრის დაშორებით, ნბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1978-1979 წლებში გათხარა სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც მიჩნეულ იქნა ტბელის დის ვანენის მიერ აგებულ ეკლესიად, მაგრამ ყველა ამჩნევდა წერილობითი წყაროების მონაცემთა შეუსაბამობას: ტბელის თხზულების მიხედვით ეკლესიის ამშენებლად მწერლის და ვანენია, რომელიც ერისთავთ-ერისთავ აბუსერ III-ის დაცაა, ხოლო 1949 წელს აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლში მოხსენიებული არიან ერისთავთ-ერისთავი აბუსერი, მისი მეუღლე ვანენი და ძე მათი ზაქარია. გამოდის, რომ წერილობით წყაროებში სხვადასხვა პირებზეა ლაპარაკი: ტბელის თხზულების მიხედვით ვანენი აბუსერის დაა, ხოლო ეპიგრაფიკული წყაროს მიხედვით მეუღლე. ამ უხერხულობის მო-

სახსნელად პროფ.ი.სინარულიძე დასაშვებად თვლიდა, რომ ეპიგრაფიკულ ძეგლში მოხსენიებული ვანენი ტბელის ძმის აბუსერის მესამე ცოლი ყოფილიყო, რადგან „ანდერძში“ პირველი ორი ცოლი (თამარი, ვახახი) გარდაცვლილი ჩანან. „ეტყობა, – წერდა ი.სინარულიძე, ვანენი აბუსერისძეთა სახლში XIII საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში, „ანდერძის“ შედგენის შემდეგ უნდა იყოს შეყვანილი“ (სინარულიძე, 1981,64). არადა, თვითონ ი.სინარულიძე ეკლესიას XIII საუკუნის 20-30 წლების მიჯნაზე აგებულად თვლიდა (სინარულიძე, 1981, 50-51), რაც თავისთავად გამორიცხავს დაშვებულ ვარაუდს, რადგან ადრე აგებული ეკლესიის ბალავრის ქვაზე წარწერაში, აბუსერისძეთა ოჯახში გვიან (30-იანი წლების შუა ხანებში) შესული რძალი ვერ მოხვდებოდა. ამიტომ უფრო მისაღებად მიგვაჩნია, ის აზრი, რომ ეს ორი წყარო განსხვავებულ ამბებზე მოგვითხრობს და ეპიგრაფიკული ძეგლი XI საუკუნის შუა ხანების მოღვაწის აბუსერ II ხანას უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც შვილ ზაქარიასთან ერთად აბუსერისძეთა გენეალოგიაში IV-V თაობებად მიიჩნევენ (ხალვაში, 2006, 6).

თუ ამ ყველაფერს სარწმუნოდ ჩავთვლით, მაშინ ჩვენთვის ცნობილი თხილვანის ეკლესია აგებულად უნდა ჩაითვალოს ერისთავთ-ერისთავ აბუსერ II (XIს.) დროს და სრულიად კანონზომიერი ჩანს ბალავრის ქვაზე წარწერაში მისი და მისი ოჯახის წევრთა მოხსენიებაც (დედოფალი ვანენი და ძე ზაქარია).

გასარკვევი რჩება კიდევ ერთი საკითხი. თუ აქამდე ტბელის დის ვანენის აშენებულად მიღებული ეკლესია XI საუკუნის II ნახევარშია აშენებული, მაშინ სად უნდა იყოს ვანენის მიერ აშენებული ეკლესია? შეიძლებოდა თუ არა ერთ სოფელში აეგოთ ორი ეკლესია იოვანე მახარებლის სახელზე?(ორივე წერილობით წყაროში ეკლესია იოვანე მახარებლის სახელობისაა).

ასეთ პირობებში უფრო სავარაუდოა, რომ ტბელის და ვანენი XI საუკუნეში აგებული იოვანე მახარებლის ეკლესიის აღ-

მდგენელ-განმახლებელად მივიჩნით, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ტბელის თხზულებაში (ღიასამიძე 2010, 41-42). ვფიქრობთ, ეს არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ძირითად ხაზსა და შინაარსობრივ დატვირთვას, რადგან მწერლის მიზანს თხილვანის ეკლესიის მშენებლობის ისტორიის ასახვა კი არ წარმოადგენდა, არამედ “მოსახსენიებელში” მისი ახლობლების ღვთისმოსავობისა და ქველმოქმედების ჩვენება, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მწერალმა დანგრეულ-დაზიანებული ეკლესიის აღდგენა, მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში, ახლადაშენებულად წარმოადგინა. ეს მით უფრო სავარაუდოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველქართულში „აშენება“ განახლება-აღდგენას და შემკობასაც ნიშნავდა („აშენება-შენობის ქნა, გინა გამდიდრება;“ სულხან საბა, 1949,46). მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ცნობილია XII საუკუნის 90-იან წლებში ხიზანში განვითარებული რთული პოლიტიკური მოვლენები: მწერლის მამის – ერისთავთ-ერისთავ ივანეს დაღუპვა “თურქთა ხელითა,” მწერლის პაპის აბუსერიისა და მისი ძმის სანანოს ვაჟკაცობა” მტერთა ზედა გაცემული ხიზანის გამოხსნა-დაბრუნებაში და სხვა. არაა გამორიცხული ამ ამბების დროს დანგრეულ-დაზიანებულიყო XI საუკუნის მეორე ნახევარში აგებული თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესია და იგი აღედგინა ტბელის დას ვანენს (ღიასამიძე 2010, 42).

ვიდრე სხვა სარწმუნო ცნობებს მოვიპოვებდეთ, უკეთესი ახსნა არ ეძებნება წერილობით წყაროებში (ბალავრის ქვაზე წარწერა, მოსახსენებელი) არსებულ შეუსაბამობას და ერთ სოფელში ორი ეკლესიის აგებას ერთი პირის სახელზე.

უფრო გვიან XIII საუკუნეში აგებულად ითვლება ჩვენამდე თითქმის პირვანდელის სახით მოღწეული **სხალთის ეკლესია**, რომელსაც როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე ჟამს, XVII ს-ში მოუწია ეპარქიის ცენტრობაც. სწორედ ამ საკითხზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

სხალთის ეკლესიის არსებობის შესახებ სამეცნიერო საზოგადოებამ მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ გაიგო, როცა ცნობილმა მკვლევარმა დ.ბაქრაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. მკვლევარი ძველის შესახებ წერდა: „**ეკლესიის სტილი მოგვაგონებს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საუკეთესო ეპოქას, სახელდობრ X-XIII საუკუნეებს. მთელი მხატვრობა და განსაკუთრებით უკანასკნელი ფრესკები ოსტატურად არის შესრულებული, მათში ნატამალიც არ არის საღებავების იმ სიჭრელისა და ბრჭყვიალისა, რაც ასე მოცუბდა შემდეგ გურიის ძველ ეკლესიებში**“ (ბაქრაძე, 1987,57).

ასეთი ხუროთმოძღვრული სტილისა და მხატვრობის მქონე ტაძრის შესახებ XIX ს-ზე აღრინდელი ცნობები არ შემონახულა, გარდა ზეპირი გადმოცემებისა, რომლებიც ასახულია დ.ბაქრაძის, გ.ყაზბეგის, ზ.ჭიჭინაძის, თ.სახოკიას და სხვათა ნაშრომებში.

XIV საუკუნიდან, ჯერ თემურ ლენგის, შემდეგ ირან-ოსმალეთის შემოსევებმა შეცვალა სრულიად საქართველოს და მისი ცალკეული მხარეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათი როგორც ადმინისტრაციული, ისე საეკლესიო ეპარქიათა საზღვრები. მაგალითად, თუ XVI საუკუნის წყაროში „**კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში**“ სამცხეში 13 ეპარქიაა დასახელებული, ცნობილი მკვლევარის მ.თამარაშვილის წიგნში „**ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე**“ შეტანილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების სიის მიხედვით, სამცხის ეპარქიათა რაოდენობა გაზრდილია 19-მდე. ახალ ეპარქიათა შორის ორი აჭარიდანაა: სხალტის იოვანე მახარებლის საკათედრო ტაძარი ეპისკოპოსის ზედწოდებით „**სხალტელი**“ და ეფფრატის წმიდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი ეპისკოპოსის ზედწოდებით- „**ეფფრატელი**“ (თამარაშვილი 1995,470).

მ.თამარაშვილის თქმით, საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების ეს სია შედგენილია თეატინელი კათოლიკე მისიონერის **არქანჯელო ლამბერტის** მიერ, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა 1630-1649 წლებში.

ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ქართლსა და სამეგრელოში ყოფნისას, იგი საფუძვლიანად გაეცნო ქართველთა ყოფასა და სარწმუნოებას, დაუახლოვდა როგორც საერო ხელისუფალთ, ისე მაღალსაეკლესიო პირებს (თამარაშვილი, 1995, 181-185). მ.თამარაშვილის თქმით, „იგი არამარტო იცნობდა ქართველ ეპისკოპოსთა უმრავლესობას, არამედ ბევრი კათოლიკურ მრწამსზედაც კი მოაქცია“ (თამარაშვილი 1995, 467). ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას და ნდობას იმსახურებს მის მიერ შედგენილი ქართლის, კახეთის, სამცხის და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ეპარქიათა სიები. მ.თამარაშვილი წერს: **„ვინაიდან ეპისკოპოსებს რეზიდენცია, ჩვეულებსამებრ, მონასტერში ჰქონდათ, ამის გამო ძველ საეპისკოპოსთა უმრავლესობა სოფლებსა და მთებში იყო მოთავსებული. ეპისკოპოსებსა და ეპარქიებს სახელწოდება ერქმეოდათ ეპისკოპოსთა რეზიდენციის, ან იმ წმინდანთა სახელის მიხედვით, რომელთაც საკათედრო ტაძარი განეკუთვნებოდა“** (თამარაშვილი 1995, 467). შემდეგ მ.თამარაშვილს მოცემული აქვს ალამბერტისეული სიები საკათედრო ტაძრებისა და შესაბამისი ეპარქიებისა (თამარაშვილი, 1995, 469-470). ქართლში – 21 ეპარქიაა დასახელებული, კახეთში – 20, დასავლეთ საქართველოში – 17 (სამეგრელოში – 10, აფხაზეთში – 4, გურიაში – 3); სამცხეში – 19.

წყაროში სამცხის საკათედრო ტაძრები და ეპისკოპოსთა ზედწოდებები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

1. წმ. იოანე მახარებლის ----- სხალტელი
2. წმ. ღვთისმშობლის ----- ეფფრატელი
3. წმ. მთავარანგელოზის ----- აზილაკელი
4. წმ. სუდარის ----- ანჟელი
5. წმ. იოანე ნათლიმცემლის -- სხალტელი

6. წმ. ღვთისმშობლის ----- ტბელი
7. წმ. მოციქულთა ----- სურწყალელი
8. წმ. ღვთისმშობლის ----- მაწყვერელი
9. წმ. ღვთისმშობლის ----- მაწყვერელი
10. წმ. ღვთისმშობლის ----- ქარელი
11. წმ. ღვთისმშობლის ----- ანელი
12. წმ. ღვთისმშობლის ----- იშხნელი
13. წმ. ანდრიას ----- ისპირელი
14. წმ. ბართლომეს ----- ართვინელი  
(ტექსტში ართონელი)
15. წმ. ბართლომეს ----- ისკმელი
16. წმ. პეტრეს ----- ოლთელი  
(ტექსტში ორთელი)
17. წმ. თომას ----- არზრუმელი
18. წმ. ღვთისმშობლის ----- კუმურდოელი
19. წმ. ღვთისმშობლის ----- ერუშნელი  
(ტექსტში ურუშმელი)

როგორც ვხედავთ, სამცხის საკათედრო ტაძრებისა და ეპისკოპოსთა ზედწოდებების სიაში პირველ ნომრად სხალტელია დასახელებული.

ვფიქრობთ, აქ საუბარია სხალთის ეკლესიაზე და მისი ეპისკოპოსის ზედწოდებაზე, მაგრამ ასეა კი? სხალტა და სხალთა ერთი და იგივეა? ან დღეს სხალთის ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა, ხოლო წყაროში წმ.იოვანე მახარებლის. როგორ ავსნათ ყოველივე ეს?

დავიწყოთ იმით, რომ სხალტის სახელწოდებით სხვა ეკლესია არაა ცნობილი. რაც შეეხება სახელწოდებაში თ-ს ნაცვლად ტ-ს ხმარებას, ვფიქრობთ, ლათინურში თ-ს არარსებობის გამოა ასე. ამასთან, სიაში მეორე ნომრად მეზობელი მხარის მაჭახლის დედა ეკლესიაა (ეფფრატის) მოხსენიებული და საეჭვოა, რომ არარსებული საკათედრო ტაძრები ავტორს სიის თავში მოეთავსებინა.

სარწმუნო ახსნა ეძებნება საკათედრო ტაძრის სახელწოდებასაც. ღვთისმშობლის სახელი ტაძარს XIX საუკუნიდან მიენიჭა, როცა დბაქრადემ რუსულ ენაზე, 1878 წელს, სანკტ-პეტერბურგში გამოაქვეყნა ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, სადაც მოუთხრო მკითხველს ამ ეკლესიის შესახებ. რადგან ეკლესიის ძველი სახელწოდება მაშინ არ იყო ცნობილი,

შესასვლელის მარჯვენა მხარეს მკაფიოდ გამოსახული ლეთისმშობლის ფრესკის (ხატის) საფუძველზე ეს სახელი მიეცა მას. რაც შეეხება წყაროში მოცემულ სახელწოდებას (იოვანე მახარებელი): ცნობილია, რომ ტბელების ფეოდალურ სახლში დიდი პატივისცემით სარგებლობდა იოვანე მახარებელი, მის სახელზე აგებდნენ ეკლესიებს (თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესია), იოვანეთა სახელზე შექმნა წმ. ტბელმა საგალობლები (ხალვაში 1995, 4) და სრულიად მისაღებად ჩანს აბუსერისძეთა ძლიერების ხანაში, XIII საუკუნეში, სხალთაში აგებულიყო იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესია.

მართალია, ჯერჯერობით ეპისკოპოსს ან სხვა სასულიერო პირს სხალთელის ზედწოდებით არ ვიცნობთ, მაგრამ ყურადღებას იმსახურებს დ. ბაქრაძის წიგნში მოტანილი ერთი ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელიც სხალთის ეკლესიას ეხება. ავტორი წერს: „ზოგი ადგილობრივი მოხუცი მარწმუნებდა, თითქოს სხალთის ეკლესია საეპისკოპოსო ყოფილიყოს” (ბაქრაძე 1987, 57). ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1874 წელს გ.ყაზბეგი წერდა: „ერთნი ამბობენ, აქაური მცხოვრებლები უკანასკნელ ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად იმერეთში გადასახლდნენ და ეკლესიიდან თან წაიღეს წმინდანთა ხატები: მეორენი კი ამტკიცებენ, მოსახლეობა ადგილობრივ ციებიან ჰავას გაექცაო” (ყაზბეგი 1995, 41). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ხალხის მესხიერებამ შემოინახა ინფორმაცია სხალთაში ოდესღაც საეპისკოპოსოს არსებობის შესახებ? ამ ეჭვს ამყარებს სხალთის ეკლესიის გრანდიოზულობა, მოხატულობის მაღალი დონე, მათი გააზრების სიღრმე და მისი დაცვის მიზნით გავრცელებული და დღემდე შემონახული ხალხური გადმოცემები (სახოკია, 1985, 301).

იქნებ ყველაფერმა ამან დაიცვა დღემდე მეტნაკლებად პირვანდელი სახით სხალთის ტაძარი, იქნებ ამანაც განსაზღვრა ის, რომ ეპარქიას ჩვენს დროში სხალთის სახელი დარქმეოდა („მდინარე თავის კალაპოტს უბრუნდება”).

ვიფიქრობთ, კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ XVII საუკუნის 30-40 იან წლებში შედგენილი საკათედრო ცენტრებისა და ეპარქიების სია იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ფუნქციონირებდა სხალთის ეპარქია და მისი ეპისკოპოსის სახელწოდება იყო „სხალთელი”, (დღასამიძე, 2011, 39), მაგრამ როდის? ერთი კი ვიცით, რომ მეფე ალექსანდრე პირველის (XVს.) გუჯრით სოფელი **სხალთა** მცხეთის საპატრიარქო კათედრის კუთვნილებად იყო აღიარებული (ბაქრაძე, 1987, 57), მაგრამ არც XV და არც XVI საუკუნის დასაწყისის სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში სხალთის ეპარქია არ ჩანს. ამასთან, XVI საუკუნის დასაწყისის წყაროში ცამეტი ეპარქიაა მოხსენიებული, ალამბერტის სიით კი (XVIII-ის 40-იანი წლები) 19 ეპარქია ჩანს, რამდენიმე სრულიად ახალი სახელებით (სხალტელი, ევფრატელი, არზრუმელი და ა.შ.). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ XVI საუკუნის შუა ხანებიდან, როცა ოსმალებმა დაიკავეს სამცხე, ძველ ეპარქიათა საზღვრები დავიწროვდა, ზოგიც შეიცვალა. ასევე მათი მართვის გაადვილების და მრევლის შენარჩუნების მიზნით შეიქმნა ახალი ეპარქიებიც. სწორედ ამ პერიოდს ხომ არ ასახავს ალამბერტისეული სია? ა. ლამბერტი ხომ სწორედ ამ უმძიმეს ხანაში (XVIII-ის 30-40იანი წლები) იყო საქართველოში. სხვაგვარი ახსნა არ ეძებნება ალამბერტისეულ სიას. იგი ხომ უსაფუძვლოდ არ შეიქმნებოდა. ანდა, მთამარაშვილი, ეკლესიის ისტორიის ეს ცნობილი მკვლევარი, შეიტანდა კი მას თავის წიგნში, რომ ეს ინფორმაცია უმნიშვნელოდ და უსაფუძვლოდ ჩაეთვალა?

ყველა ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არქანჯელო ლამბერტისეული საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების სიის სახით, ჩვენ საინტერესო ცნობა გვაქვს სხალთის ეკლესიის ძველი სახელისა და აქ ეპარქიის ცენტრის არსებობის შესახებ. იგი საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ვთქვათ, სხალთის

ეპარქიის ისტორია იწყება არა 1995 წლიდან, როცა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის გაყოფის საფუძველზე წარმოიშვა ბათუმ-სხალთის ეპარქია, ან 2006 წლიდან, როცა

ბათუმ-სხალთის ეპარქიის გაყოფით შეიქმნა სხალთის ეპარქია, არამედ XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან მაინც, როცა ამ ეპარქიათა სიებს ქმნიდა არქანჯელო ლამბერტი.

### ლიტერატურა:

1. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს: ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ ბათუმი, 1998;
2. დბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა ა.ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987;
3. ბ.დიასამიძე, ისტორიული ეტიუდები, ბათუმი, 2009;
4. ბ.დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-Xსს.), ბათუმი, 2001;
5. ბ.დიასამიძე, თხილვანის ეკლესიის დათარიღებისათვის. კრ.: „ჩვენი სულიერების ბალავარი“, II 2010;
6. ბ.დიასამიძე სხალთის ეკლესიის წარსულიდან, კრ.: „ჩვენი სულიერების ბალავარი“ III, 2011;
7. ი.დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1974;
8. მთამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995;
9. შ.მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 2000;
10. შ.მამულაძე, ნ.ვერულაშვილი, თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია.წგ.-ტბელობა, 2008;
11. მ.პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XXსს. თბილისი, 1995;
12. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985;
13. ი.სინარულიძე, ნათელი დაუღამებელი, ბათუმი, 1979;
14. ი.სინარულიძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათუმი, 1981;
15. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949;
16. ლეთიკურთხეული ბათუმისა და სხალთის ეპარქია, ბათუმი, 2004;
17. გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, კომენტარები და საძიებლები დაურთეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი, 1995;
18. მ.ჭიჭილეიშვილი, სხალთის ეკლესიის მოხატულობა, ბათუმი, 2010;
19. რ.ხალვაში, გალობანი წმინდათა იოვანეთა, ბათუმი, 1992.

**Bichiko Diasamidze**

### **Christian Religious Monuments in Skhalta-khikhani Gorge Summary**

There are many Christian religious monuments in Skhalta-khikhani Gorge. Among those monuments the tribal feudal church of Abuseridzeta in Tkhillvana and Skhalta church (that come to us in its initial appearance) deserve special attention. The aim of the given thesis is to date the first one and to define the status of the second one. Until the last few years the tribal feudal church of Abuseridzeta was dated to the 13th century, but by comparing the written and epigraphic documents the author concludes that the church was built in the middle of the 11th century, during the rule of Abuser II.

The Skhalta church is the 13th century monument. On basis of written documents the author asserts that in the 30-s of the 17th the Skhalta church became the center of eparchy, its archbishop was known as “Skhalteli” and the temple was named after John the Evangelist.

The author suggests dating the history of Skhalta Eparchy from the 30-s of 17th and not from 3rd millennium, when in 2006 after dividing Batumi-Skhalta Eparchy the Skhalta Eparchy was formed.

## 0 6 ტ მ რ ვ ი უ\*

საბერძნეთში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ბერძენი ხალხის გადაწყვეტილებამ ევროპარლამენტი შოკში ჩააგდო, ევროპა კი საგონებელში. საქართველოში კი კვლავ არასტაბილური ფინანსური მდგომარეობაა. ლარის კურსის დევალვაციამ აშშ დოლართან მიმართებაში ხალხის დიდი უკმაყოფილება და ქვეყნის უპირველეს ფინანსურ კანონში ცვლილებების შეტანა განაპირობა. როგორია ანალიზი, რა იქნება ხვალ, შინ და გარეთ? ამ საკითხებზე ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის საფინანსო-საკრედიტო განყოფილების ყოფილ ხელმძღვანელს, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ ფუძემდებელს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს - ბატონ ვაჟა ბერიძეს.

**ბატონო ვაჟა რა პარალელებს გააგლებდით საქართველოში ლარის გაცვლითი კურსის დევალვაციასა და საბერძნეთის ეკონომიკურ კრიზისს შორის?**

- საბერძნეთში ეკონომიკური კრიზისი ზრდასრული და სერიოზულია, იგი უკვე ათეულ წელს ითვლის. მან მძიმე სოციალური დარტყმა მიაყენა ბერძენ ხალხს და სა-

ბერძნეთის ეკონომიკას. საქართველოში კი ეროვნული ლარის გაცვლითი კურსის დევალვაციით წარმოქმნილი ე.წ. „შოკუნიები“ ახალშობილია და მხოლოდ 10 თვისაა. მაგრამ მზარდი და ძალზე საყურადღებო.

საბერძნეთში უდავოდ დიდი მოვლენა იყო რეფერენდუმის ჩატარება. ამით საბერძნეთში ხალხმა გაიმარჯვა და „პიროვნულად წააგო ხელისუფლებამ“. საქართველოში კი პირიქითაა: წააგო ერმა და მოიგო ეროვნულმა ბანკმა და ყოფილმა ხელისუფლებამ. ქართველი კაცი თვითდამშვიდების მიზნით ამბობს: რას იზამ მოგება და წაგება ძმები არიანო. მე მათ შევასხენებ: კაენი და აბელიც ძმები იყვნენ...

სადღეისოდ ევროკავშირში ძალზე მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს 12 ივლისს ევროპარლამენტი, ევროპა კვლავ დიდი დილემის წინაშე დარჩება.

**დილემაში რას გულისხმობთ? და რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს თქვენი აზრით პარლამენტმა?**

- საბერძნეთმა ევროკავშირს მძლავრი სილა გააწვანა! რატომ? ეტყობა უფრო დიდი მოსალოდნელი საფრთხე იგრძნო. ასეთი კრიზისები, შემთხვევით არ ხდება. კრიზისი ბერძნებისათვის სასჯელი იყო. მიუხედავად ამისა, ბერძნები კომპრომისზე არ წავიდნენ. მათ ეროვნული და სულიერი ღირებულებები უფრო მაღლა დააყენეს ვიდრე უცხოური იდეებით ლამაზად შეფუთული კრედიტე-



ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი  
ვაჟა ბერიძე

\* ინტერვიუ ჩაიწერა მიმდინარე წლის ივლისში, დრო გავიდა მაგრამ იგი არ კარგავს აქტუალობას.

ბი და კუჭის დანაყრება. ხვალ თუ ევრო პარლამენტი არ მიიღებს საბერძნეთისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას და იგი დატოვებს ევროკავშირს, ეს იქნება ევროკავშირის რღვევის დასაწყისი. ამით კი სამი დიდი სახელმწიფოა დაინტერესებული. ამიტომ ევროპას არ უღირს 327 მლრდ. ევროს სანაცვლოდ დაკარგოს ერთიანობა. ჩემი აზრით, მთელი ევროპა უნდა დაუდგეს გვერდში საბერძნეთს და პატივი მიაგოს ბიზანტიური კულტურის შემქმნელ ხალხს.

მეორე დილემა - განვლილ ერთ წელიწადში ევროს კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 7-9%-ით ჩამოქვეითდა... ევროპის ქვეყნებმა მძიმე ეკონომიკური დარტყმა მიიღეს რუსეთისათვის დაწესებული სანქციების გამოც.

მესამე დილემა - აზიაში მალე გამოჩნდება აზიური ფულადი მიმოქცევის ახალი საშუალება (სავარაუდოდ იენი), რომელიც უდიდეს კონკურენციას გაუწევს ევროსა და აშშ დოლარს.

ასეთ ვითარებაში შევამჩნიე, რომ ევრო პარლამენტი შოკშია. ეს კარგად ჩანდა პარლამენტის წევრის და სახალხო პარტიის წარმომადგენლის მანფრედ ვებერის გამოსვლისას მოხვიმე ბერძნების დამოძღვრაში და ბოდიშის მოხდის სურვილში. ვფიქრობ, გერმანიის კანცლერი და ევროგაერთიანების მთავარი ლიდერი ქალბატონი ანგელა მერკელი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და გადაარჩენს ევროპას, როგორც მან ერთი წლის წინ იხსნა მსოფლიო დამანგრეველი ომის საფრთხისაგან, ყირიმის პრობლემასთან დაკავშირებით.

### **თქვენი აზრით, დაძლევის საბერძნეთი ამ კრიზის?**

- საბერძნეთში ეკონომიკურ კრიზისს ღრმა ფესვები აქვს. მათგან ერთ-ერთი უმთავრესია ქვეყანაში წარმოებისა და მომსახურების სფეროებს შორის წარმოშობილი ზღვარგადასული დისპროპორცია. არის სხვა ობიექტური მიზეზებიც. მიუხედავად ამისა ბერძენი ხალხი დაძლევის კრიზისს, თუნდაც იმიტომ, რომ მათ არ გადააბიჯეს ეროვნულ ღირსებებს, არ გაყიდეს კუნძულები და მათი კუთვნილი საზღვაო აკვატორია!

ბერძნები თუ მოისურვებენ თავიანთ აკვატორიაში თუნდაც ერთი რუსული ატომშიდი წყალქვეშა ნავის დაყენებას, მის ნებაართვაში ქირის სახით ხვალვე სამოცდათექვსმეტ მილიარდ ევროს მიიღებენ.

### **თქვენ ამ პროცესებში პოლიტიკურ მოვლენებსაც ხედავთ?**

- რათქმაუნდა. ეკონომიკა და პოლიტიკა ტყუპი ძმები არიან. ეკონომიკა გაცილებით უფროსია - ბურჯია მთელი ამქვეყნიური ცხოვრებისა. პოლიტიკა კი უმცროსი, მაგრამ ეკონომიკაზე ბატონობს! ასეა დღესაც. ეროვნული ზეიმი და ალტერნატივები აშკარად იკითხება ბერძენი თავგაცების: იან ვარუფატიშის რიხიან გამოთქმასა და ალექსის ციპრასის ლაღ გამოსვლაში.

### **თქვენ აშკარად ბერძნების მიმართ სიმპათია გაგაჩნიათ.**

ისეთივე სიმპათია, როგორც გერმანელების, ფრანგების და ამერიკელების მიმართ მაქვს. სიყვარულით კი მხოლოდ ერთადერთი, უმშვენიერესი და ბრძენი ერი - ქართველი ხალხი მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ მათში სიტყვა და საქმე ერთმანეთისგან დიდაა დაშორებული, დაპირისპირების შედეგად შექმნილია დიდი უარყოფითი აურა (რაზედაც ბუნება გვსჯის კიდევ) და დროულად არ აკეთებს დასკვნებს. საქართველოს ყავს შესანიშნავი ახალგაზრდობა, ბრწყინვალე ეკონომისტები და ფინანსისტები, რომლებსაც ძალუძთ ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე წარმოაჩინონ! მაგრამ...

### **რას იტყვით, ლარის კურსის ბოლო 10 თვის მანძილზე 28-30%-ით დევალვაციაზე დოლართან მიმართებაში?**

- დავიწყოთ იმით თუ რა არის თავად ლარი? ლარი ქართველი ერის ისტორიული მონაპოვარი, განძი, ფული და ცივილიზებული ცხოვრების საშუალებაა. იგი ისეთივე ფენომენია, როგორც ეროვნული დროშა, ჰიმნი, კაცური ღირსება და შვილი. მას დღენიადავ ისეთივე მოვლა და გაფრთხილება სჭირდება როგორც ახალშობილ ბავშვს მელოგინე დედა უვლის. ბავშვმა თავი რომ არ გადაი-



ქნიოს და არ დაიზიანოს. ჩვენ ვუფროთხილდებით კი არა ჩვენს პირველ ორ ნიშნიან (1 და 2 თეთრიანი მონეტა) არავითარი მსყიდველობით უნარიანობა არ გააჩნია. 1 და 2 ლარიანი ესეთ დაბალი ხარისხის ქალაქებზე მოვკერით, რომ დაცრეცილ ქალაქებს სადღეისოდ მონეტების მოჭრა ვამჯობინეთ.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში უპირველესი საქონელი, ანუ დოლარი 28-30 %-ით გაძვირდა. ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრის ყოველად უსახურმა ბლუმბერგის მეთოდმა მძიმე შედეგები გამოიღო და დიდი დარტყმა მიაყენა ქვეყნის მოსახლეობას, სახელმწიფო ბიუჯეტსა და ქვეყნის ეკონომიკას. მან ბიუჯეტის შესაძლებლობა 8-10 %ით დააქვეითა. მიზეზი: საერთაშორისო იდეოლოგია - აშშ დოლარის გავლენისა და მსყიდველობითუნარიანობის ამალღება, სანქცია დაწესებულ რუსეთის ეკონომიკისათვის დარტყმა და ევროს შესუსტება.

ეს დაკვეთილი იდეოლოგია პირნათლად შეასრულა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მისმა მმართველმა საბჭომ პრეზიდენტის მეშვეობით. ჩემი აზრით, ეს იყო საბოტაჟი ანუ ეკონომიკური დივერსია ქართველი ერისადმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სწორად და მართებულად მიმაჩნია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის (ბატონ თ. მეჭიაურის) მიერ ამ მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები და მომზადებული კანონპროექტები.

### **რას იტყვით ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე?**

- იგი კარგად გაწვრთნილი და „მომზადებული ბანკირია“. მას მორალური უფლება აღარ აქვს იმუშაოს ეროვნულ ბანკში! იგი სასწრაფოდ უნდა წავიდეს (რათა ხალხის რისხვა არ დაატყდეს თავზე), ან ეროვნულ ბანკს უნდა გადაერქვას სახელი და ეწოდოს თუნდაც „საშემსრულებლო ბანკი“.

პრეზიდენტმა თავი ვერ გაართვა ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის მესამე მუხლით წაყენებულ მოთხოვნებს. ვერ უზრუნველყო საქ. კონ-

სტიტუციის 95-ე მუხლის მოთხოვნის შესრულება. არ იზრუნა ოქროს მარაგის შექმნაზე!

### **ვინ გესახება ეროვნული ბანკის მომავალ პრეზიდენტად?**

- ჩემი ზრით, შემუშავებულ უნდა იქნას კრიტერიუმები, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პრეზიდენტობის კანდიდატი. მხოლოდ ნათესაობისა და პირადი ერთგულების ნიშნით დანიშნული კაცი თავს ვერ გაართმევს ეროვნულ საქმეს.

ერთი კვირაა რაც საპრეზიდენტო მართონი დაიწყო. და როგორც ამბობენ, სამი ძირითადი კანდიდატურა უკვე წარდგენილია! მათგან: ბატონ დავით საგანელიძეს, როგორც ფინანსისტსა და ბანკირს არ ვიცნობ. ჩემი აზრით ასეთი დაწინაურება ექსპერიმენტის ხასიათის იქნება. მასზე როგორც ამბობენ ყველა ინსტრუმენტზე ბრწყინვალედ უკრავსო და რალა აქ გაუჭირდება...

ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი გამოცდილი კაცია და არა მგონია მეორედ შევიდეს ამღვრეულ მდინარეში. მას გავარდნილი სახელი აქვს და ვფიქრობ კანდიდატთა რეიტინგის ასამაღლებლად დასახელებული. მას დღეს საკმაოდ სერიოზული სფერო აბარია...

რაც შეეხება ირაკლი მანაგაძეს იგი ჩემი განყოფილების თანამშრომელი გახლდათ და უდავოდ დადებითი პიროვნებაა. მას სავალუტო ფონდში სადღეისოდ სერიოზული თანამდებობა უკავია და არა მგონია დათანმხდეს ამ წინადადებას.

ჩემი აზრით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ამ ეტაპზე, განათლებული, გამოცდილი და სათნო ქალბატონი უნდა აირჩიოს პარლამენტმა და დანიშნოს პრეზიდენტმა. იგი სითბოს შემოიტანს ამ სფეროში და შვილივით გაუფროთხილდება ლარს.

ვფიქრობ და მჯერა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ძალზე ჭკვიანი კაცია და ამჯერად დათმობაზე აღარ წავა. ეს მისი ღირსებისა და ეროვნულობის პრესტიჟია. ვსარგებლობ შემთხვევით და მას მადლობას ვუძღვნი ყველა იმ საქმისათვის, რომელზედაც საჯაროდ არ ღირს მსჯელობა. ქართველ ერს კი ბედნიერებას ვუსურვებ.



## ხალხური მედიცინა - მრის კულტურის შეფასების კრიტერიუმი

დღევანდელი ხალხური მედიცინა უძველესი ტრადიციული მედიცინის ხალხში შენახული და ჩვენამდე მოღწეული მცირე ნაწილია. ცხადია, ტრადიციული მედიცინა ვითარდებოდა ცალკეული ერებისა და ქვეყნების ურთიერთკავშირის საშუალებით. საქართველოზე გადიოდა ცნობილი „აბრეშუმის გზა,” რითაც მყარდებოდა კონტრაქტები აღმოსავლეთის და დასავლეთის ცივილიზაციასთან. მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ჩინეთთან, ტიბეტთან, სპარსეთთან, ინდოეთთან, შუამდინარეთთან, ეგვიპტესთან, საბერძნეთთან. ქართველ მკურნალებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ მრავალი ქვეყნის სხვადასხვა სამედიცინო მიმართულებებს და მიღწევებს, ერთმანეთთან შეედარებინათ და შეეჯერებინათ ადგილობრივ ბაზისურ (კოლხურ-იბერიულ) მედიცინასთან. თავის მხრივ ქართველური ხალხების მიღწევები მედიცინაში ამავე გზით ვრცელდებოდა სხვა ქვეყნებში და უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მათზე. დასტურად გამოდგება ცნობილი ექიმის, პროფესორ გივი ბახტაძის მონათხრობი ტიბეტში მოგზაურობის შესახებ: იგი ტიბეტელ ლამებს გასაუბრებია, საკუთარ ჯანმრთელობაზეც დაუჩივლია და წამალი უთხოვია. ლამებს მხრები აუჩივიათ, ჩვენ ახლაც სასწაულმოქმედ სამკურნალო რეცეპტებს ძველ კოლხურ მედიცინაში ვეძიებთ და თქვენ, ქართველ მეცნიერ-მედიკოსს უკეთესს რას შემოგთავაზებთო.

ტრადიციული სამედიცინო სისტემა და ოფიციალური (კლასიკური) მედიცინა ყველა ეპოქაში თანაარსებობდა. ასე ახლაც,

თუმცა ამ ორი მიმართულების გასამიჯნი ტერმინოლოგია არ არსებობს, ამიტომაც არაიშვიათად ერთმანეთში ერევათ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ 1978 წელს გამართულ კონფერენციაზე ტრადიციული მედიცინა ხალხური მედიცინის სინონიმად იქნა მიჩნეული.

ხალხურ მედიცინაში ცნებით „ჯანმრთელობა” ორგანიზმის არაავადმყოფური მდგომარეობა აღინიშნება (მ.სააკაშვილი, ა. გელაშვილი, 1956), რაც მთელობას ანუ დაურღვეველობას გამოხატავს. ასეა აღმოსავლურ, ბერძნულ, ლათინურ და სხვა ენებში (შდრ. რუსული целитель-მკურნალი, исцеление-განკურნება).

ჩინური (ტიბეტური), ინდური, კორეული და აღმოსავლეთის სხვა ხალხების ტრადიციულ მედიცინაში მკურნალობის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს დაავადებული ინდივიდის ორგანიზმის გამრთელება. ოფიციალური (კლასიკური) მედიცინა მკურნალობს დაავადებულ ორგანოს, შესაბამისად წარმოიშვა ცალკეული ორგანოს სამკურნალო დისციპლინები – კარდიოლოგია-გულის, პულმონოლოგია-ფილტვების, ჰეპატოლოგია ღვიძლის დაავადებათა შესასწავლად და სამკურნალოდ. აღმოსავლური (ტიბეტური) მედიცინა აღადგენს ორგანიზმს მთლიანად, თავისივე შინაგანი ძალების რეზერვების გააქტიურებით. კლასიკური მედიცინა იყენებს ქიმიურ პრეპარატებს, რომლებსაც უამრავი გვერდითი მოქმედება ახასიათებს, (წამალზე დამოკიდებულება, „წამლისმიერი დაავადება,” ალერგიულ-ტო-

ქსიური გართულება და სხვ). ქიმიური სამკურნალო საშუალებების მიღების შედეგად გამოწვეული სიკვდილობა მეოთხე ადგილზეა გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიური და ვირუსული დაავადებების შემდეგ.

ასეთივე კონცეფციას ემყარება ქართული ხალხური მედიცინა – ცალკეულ ორგანოთა მკურნალობა ხორციელდება ორგანიზმის მთლიანი გაჯანსაღების მეშვეობით. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჭრილობები, კანის, პირის ღრუს, გარეთა სასქესო ორგანოების, სწორი ნაწლავის დაავადებები, რომელთა სამკურნალოდ ძირითადად ადგილობრივად მოქმედ საშუალებებს იყენებენ, თუმცა ამ დროსაც დამატებით ზოგადგამაჯანსაღებელ წამლებსაც აძლევენ. ტიბეტური მედიცინა იყენებს ღმერთისაგან ბობქურულ, ბუნებრივი, მცენარეული, ცხოველური, მინერალური და სხვა ნივთიერებებისაგან დამზადებულ პრეპარატებს, რომლებსაც არ ახასიათებს ზემოაღნიშნული გართულებები. ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო საშუალებებიც მთლიანად ბუნებრივი პროდუქტების მცირედი დამუშავებით მიღებული პრეპარატებია. ჩვენს წინაპრებს სცოდნიათ, რომ მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის მასალის ძლიერი თერმული, ქიმიური ან მექანიკური დამუშავების შედეგად იკარგება მათი სამკურნალო თვისებები.

ბავშვობიდან მახსოვს, ბებია სეათ ბერიძე დიდი ზომის ჭრილობების შეხორცების დასაჩქარებლად წვიმის ჭიაყელას იყენებდა. ჭიაყელას კარგად, ღიდხანს რეცხავდა, შემდეგ წვრილად დაჭრიდა, ოდნავ დანაყავდა და ჭრილობაში ჩაყრიდა, მჭიდროდ შეახვევდა ბანდით. ნახვევს 5–6 დღის შემდეგ გახსნიდა, ჭრილობა უკვე შეხორცებული იყო. ცნობილია წვიმის ჭიის საოცრად მაღალი რეგენერაციის უნარი. ვფიქრობ ჭიაყელას დაქუცმაცების შედეგად გამოყოფილი წვენიები აჩქარებდნენ ჭრილობის შეხორცებას.

საინტერესოა ცოცხალი არსებებით მკურნალობის ხალხური მეთოდები. წურბელებით მკურნალობა მსოფლიოს მრავალ ხალხშია გავრცელებული, მათ შორის

დასავლეთ საქართველოშიც. მას მრავალი სხვადასხვა ხასიათის დაავადებათა დროს მიმართავდნენ. კბილის ტკივილის დროს შესაბამის ღრძილზე ასხამდნენ წურბელას (გულთამზე ბერიძეს, წაბლანა, შუახვევის რაიონი). წურბელით მკურნალობა (ჰირუდოთერაპია) დანერგილია თანამედროვე კლასიკურ მედიცინაში, როგორც ჰიპოკოავულაციური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება. მიღებულია სუფთა ჰირუდინი, რომელიც ეფექტურობით აღმატება ჰეპარინს და სხვა სისხლის შედელების დამთრგუნავ პრეპარატებს.

იგივე რესპოდენტი „გბერიძე“ გვაწვდის ცოცხალი კუთი მკურნალობის მეთოდს. შიშველ ავადმყოფს აწვენენ ტახტზე, ფეხებთან მიუყვანენ კუს, იგი თვითონ აცოცდება ავადმყოფის სხეულზე, მიაგებს მტკივან ადგილს და იქ „დაიძინებს“, მტკივანი ადგილი მორჩება. ხშირად იყენებენ ძვლის „მტეხავი“ ტკივილის დროს. დასავლეთ საქართველოში ნესტიანი კლიმატი განაპირობებს ჭიებით დაავადებებით გავრცელებას (ჰელმინთოზი). იგივე გბერიძეს სცოდნია „ჭიის აჭრა“. ჭიით დასნებობნება გამოიცნობა სიფერმკრთაკით, ძლიერი უმადობით, გულის რევით, ასეთ ავადმყოფს ლოყებზე ან ზურგ-წელის არეებში შეუხელებენ ნარევს, რომელიც შედგება ცხვრის კურკლისა და ნიორის ნაზავისაგან. გულმოდგინედ კანში შესრესის შემდეგ კანს თბილი წყლით ჩამობანენ და სასწრაფოდ ჩამოპარსავენ სამართებლით. რესპოდენტის თქმით, ნაზავის წასმის შემდეგ კანის ფორებში ჭიები ამოდიან, ჭიას სამართებლით თავები წაეჭრება, ამიტომ ჰქვია „ჭიის აჭრა“.

ხალხური მკურნალობის „ქირურგიული“ მეთოდებიდან საინტერესოა აჭარაში გავრცელებული „ნემტერის დარტყმა“. (მოგვაწოდა ავთანდილ აბაშიძემ, სოფ. ქიძინიძეები, შუახვევის რ–ნი). გვიან შემოდგომაზე, სამუშაოების დასრულების შემდეგ ხანშესულ ადამიანებს მაჯის რომელიმე სისხლძარღვს გაუჭრიდა „ნემტერით“ რის შედეგადაც დაიღვრებოდა ე.წ. „ნამუშევარი“, „დაბერებული“ სისხლი. ნემტერი

წარმოადგენს ორპირად გაღებულ ფოლადის დანას, რომელიც სასხლეტით ურტყამდა და კვეთავდა კანს სისხლძარღვებთან ერთად. სისხლის გამოშვების შემდეგ ჭრილობას აყრიდნენ შაქრის ან თუთუნის ფხვნილს სისხლისდენის შესაჩერებლად, უკეთებდნენ დამწოლ ნახვევს. სისხლის გამოშვების შემდეგ ავადმყოფს ეხსნებოდა თავის ტკივილი, მთელი სეზონის მანძილზე “მსუბუქად“ გრძნობდა თავს, სისხლის წნევა ნორმამდე ჩამოდიოდა. იგივე რესპოდენტი გაწაფული ყოფილა მოტეხილობების და ამოვარდნილობის მკურნალობაში, იყო ცნობილი „უსტა“. მას სცოდნია მოტეხილი ძვლების ჩასწორების და ამოვარდნილი ძვლის ჩაყენების ორიგინალური წესები. ჩასწორების შემდეგ აკეთებდა კიდურის იმობილიზაციას „იახით“, არტაშნებით 1 თვის განმავლობაში. მკურნალობდა აგრეთვე დაჟეჟილობას, ნაღრძობს. დაჟეჟილობისა და ღრძობის მიდამოს ჩამორეცხავდა ნელ-თბილი მარილიანი წყლით, შემდეგ ადებდა მოხალულ ჯიხანდარს ან ანწლს, აფიქსირებდა ბანდით (ბინტით). ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე „შალთუთქით“ შეხვევა – დაჟეჟილობის ან ნაღრძობ ადგილს დაადებენ დასველებულ, მარილდაყრილ და კარგად გაცხელებულ უხეში შალის ნაჭერს, დღეღამეში ნახვევს 2–ჯერ უცვლიდნენ. ნაღრძობი ან დაჟეჟილი ადგილის შემუშავება მალე ცხრებობა, ტკივილიც უყუჩდებოდა.

ძველ ჩინეთში ტრადიციული მედიცინა უმთავრესად სამეფო კარისათვის, იმპერატორის და მისი ოჯახისათვის იღწვოდა. ბევრ წამალს „იმპერატორის ფორმულით“ დამზადებული პრეპარატი ერქვა. ამ ფორმულებმა ჩვენს ერამდე მოაღწია და უძველესი რეცეპტებით დამზადებული წამლები დღესაც სასწაულებს ახდენს. საქართველოში ქართული მედიცინის ჯადოქრებად ყველა წოდების პიროვნებებთან თანაბრად თვით მეფეები და სამეფო კარის წრის წარმომადგენლები გვევლინებიან. ძველ კოლხეთში მეფე აიეტის ქალიშვილი მედეა, მეუღლე ჰეკატე და ა.ცირცე სახელგანთქმული

მკურნალები იყვნენ. მედეას სამკურნალო სისტემა ჩურა ედიანა-ს სახელით შემოგვინახეს. იგი მსოფლიო სამედიცინო აზროვნების ერთერთ პირველწყაროდაა მიჩნეული.

ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ნაწარმოები „წამებაი წმინდისა შუშანიკისა“ (V) ღრმა სამედიცინო ცოდნის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. ირკვევა, რომ სასწავლებლებში სხვა დარგებთან ერთად მედიცინაც ისწავლებოდა. ქართული რენესანსის ეპოქა მედიცინისა და ზოგადად ბიოლოგიური მეცნიერების განსაკუთრებული აყვავებით აღინიშნა. მოხუცთა და დავრდომილთა თავშესაფარები, სასნეულოები იხსნებოდა ეკლესია-მონასტრებთან (ხანძთა, იშხანი, შატბერდი). ამ პერიოდში ქართულად ითარგმნა გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმე“.

უცხოეთის მნიშვნელოვან ქრისტიანულ ცენტრებში ფუნქციონირებდა საავადმყოფოები, სასნეულოები, თავშესაფარები. (იერუსალიმი, ათონი, ბიზანტია და სხვ.). ამ მონასტრებში განუწყვეტელი სამეცნიერო მოღვაწეობა ჩქეფდა, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი სამედიცინო-ბიოლოგიურ სწავლებას ეკავა (იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელეები, იოანე პეტრიწი და სხვები).

უცხოეთიდან ითარგმნებოდა ცნობილი სამედიცინო-ბიოლოგიური ტრაქტატი-იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ანატომიურ-ფიზიოლოგიური ნაწილი.

- ნემესიოს ემესელის – „ბუნებისათვის კაცისა“ – მისი ანატომიურ – ფიზიოლოგიური ნაწილი.
- ქანანელის ორიგინალური ქართული ნაშრომი – „უსწორო კარაბადინი“, განხილულია ზოგადსამედიცინო, კერძო პათოლოგიისა და თერაპიის ასპექტები.
- ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოი“ – შეიქმნა თამარის სამეფო კარზე.
- ზაზა ფანასკეტელი – ციციშვილის – „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“.
- დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“. სამედიცინო მეცნიერებაში, განსა-

კუთრებით ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დამკვიდრების საქმეში ფასდაუდებელია სულხან-საბა ორბელიანისა და მეფე ვახტანგ VI-ის ღვაწლი.

პროფესორმა რამაზ სურმანიძემ შუახვევის რაიონში, სოფელ ჭალაში, თავისი მამიდის ოჯახში აღმოაჩინა ძველი ქართული კარაბადინის აჭარული ვარიანტი, რომელიც დაამუშავა, გამოსცა და ფემბასეული კარაბადინი დაარქვა.

საქართველოში სამედიცინო ხელოვნების ცოდნა უმთავრესად საერთო სახალხო საკუთრებად იქცეოდა – შესაძლოა ეს ცოდნა დიდგვაროვანთა ოჯახებში მწიფდებოდა და იხვეწებოდა, შემდეგ „ხალხურდებოდა,“ ამითაც განსხვავდება ქართული ტრადიციული მედიცინა ტიბეტურისგან, სადაც დახელოვნებულ მკურნალთა ჯგუფი ქმნიდა წამლებს იმპერატორი და მისი საგვარეულოსათვის, მათი ჯანმრთელობისა და დღევანდელი მათთვის, უბრალო მოქალაქისათვის კი ხელმისაწვდომი არ იყო.

საგანგებოდ აღნიშნვის ღირსია ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ღრმა შინაარსიანობა. ტერმინთა უმეტესობა ზუსტად და ლაკონურად ასახავს დაავადების ან მის უმთავრეს სიმპტომატოლოგიას. ასე მაგალითად, ტერმინი „ჯღომი“ უხშირესად გულის უკმარისობის ამსახველია და მიუთითებს, რომ ამ დაავადებით ავადმყოფს წოლით მდგომარეობაში ყოფნა არ შეუძლია და დღეღამის უმეტეს ნაწილს სკამზე ან სავარძელში ჩამჯდარი ატარებს.

ხალხური მედიცინის და ერის ზოგადი კულტურის მაჩვენებელია მოსახლეობაში ჰიგიენური ცოდნის მაღალი დონე, რაც ტრადიციულად თაობებს გადაეცემოდა. ყოველივე ამან განაპირობა მთლიანად კავკასიაში ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. დღევანდელ ადამიანთა რაოდენობით საქართველო მსოფლიოში მოწინავე ადგილზეა. დღევანდელი ფენომენი პროფესიონალ გერონტოლოგთა მუდმივი კვლევის საგანია.

იაპონელმა გერონტოლოგმა, პროფესორმა კეისიტი მორისიტამ სპეციალურად

შეისწავლა საქართველოს დღევანდელი ადამიანები, მათი ყოფა-ცხოვრების, კვების თავისებურებები, ადგილობრივი ტრადიციები და ამ მასალაზე გამოაქვეყნა შესანიშნავი წიგნი „ქართველი ხალხის დღევანდელი საიდუმლოებანი.“ მონოგრაფია გამოიცა ქ. ტოკიოში, იაპონურ ენაზე.

პროფესორი მორისიტა იაპონელ გერონტოლოგთა 18 კაციან ჯგუფთან ერთად ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა აჭარაში 2-ჯერ 1997 და 1998 წლებში. მან საფუძვლიანად გამოიკვლია აჭარაში მცხოვრები 100 წელს გადაცილებული ადამიანები და გადაიღო საათნახევრიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც რამდენიმე თვის მანძილზე გადაიკვმოდა ჩ -ის არხებზე.

ქართულ ხალხურ სამედიცინო საქმიანობაში გვხვდება უცხოური, საოცრად ლაკონური და ტევადი ტერმინები. მაგალითად, აჭარაში ათამანგს (სიფილისი) „ფრენგს“ უწოდებდნენ. ცნობილია, რომ ეს არის სქესობრივი გზით გადამდები დაავადება, რომელიც ევროპიდან (საფრანგეთიდან) არის შემოტანილი.

ქუნთრუმის გამომწვევი სტრუქტოკოკი მეცნიერმა დიკმა აღმოაჩინა. მანვე მოაწოდა სადიაგნოსტიკო „დიკის რეაქცია.“ აჭარაში ქუნთრუმას „დიკას“ ეძახდნენ, ალბათ ავტორის საპატივცემულოდ.

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე ჰეგელი ამბობდა: „მხოლოდ კავკასიის ხალხებში აღწევს სული თავის აბსოლიტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლიტურ დამოუკიდებლობას, აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია...“

„მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით წყდება.“

დღეს უდავოდ დამტკიცებულია შუემრული მითების, კულტურის, რიტუალების, სამედიცინო, რელიგიური ტერმინების კავშირი ძველ კოლხურ-იბერიულთან, კერძოდ ამ უძველეს მედიცინასთან, რასაც მეცნიერება „კურა მედიანას“ – მედეას მკურნალობას უწოდებს.

გერმანელი პროფესორი კურტ იონიმ შპრენგელი თავის მსოფლიო მედიცინის ისტორიის მრავალტომეულში პირველ თავს უძველეს კოლხურ მედიცინას უძღვნის, როგორც მსოფლიო მედიცინის საფუძველთა-საფუძველს.

ჩვენამდე მოღწეული წყაროებით მრავალი სამედიცინო-ბიოლოგიური იდეა ფიტოთერაპიის, ტოქსიკოლოგიის, ავადმყოფის განკურნების, ადამიანის გაახალგაზრდავების, მკვდრის გაცოცხლების, სიცოცხლის გახანგრძლივების და სხვა საკითხები პირველად კოლხეთის სკოლაში გაუღერდა და მედეას სახელს უკავშირდება.

მედემ გაახალგაზრდავების დემონსტრაციის მიზნით ბებერი ცხვარი ბატკნად აქცია. 40 წლით გაახალგაზრდავდა იაზონი – თმა, წვერი, გაუშავდა და გაუხშირდა, გაუქრა სიფერმკთაღე, კანის ნაოჭები და მოხუცებულობის სხვა ნიშნები.

ჰეკატეს ბალის მცენარეები შესწავლილია თანამედროვე დონეზე, დამტკიცებულია მათი სამკურნალო თვისებები. საინტერესოდ მოგვეჩვენა მცენარე კორიციოსი–„იგი ზაფრანის მსგავსი გაშლილი ყვავილია, მიწაში გაშვებული ფესვი კი ახლად გაჭრილ ხორცსა გავს. მისი წვენი მთაში ნაზარდი წიფლის შავი სითხის ფერია.“ მცენარის მიწის ზედა ნაწილის და ფესვების დახასიათებით ტიბეტურ სოკო „კორდიცეპსს“ წააგავს. ტიბეტური წამლები ძირითადად კორდიცეპსისა და სხვა უმაღლესი სოკოებისგან მზადდება. საინტერესოა აგრეთვე „პრომეთეს ბალახი“ რომელიც კორდიცეპსის მსგავსად მაღალ მთაში, კავკასიონის მწვერვალებზე იზრდება და მაღალი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. არის აზრიც, რომ სამედიცინო ცოდნა, საერთოდ კულტურა და მეცნიერება მსოფლიოში კავკასიიდან გავრცელდა.

საქართველოს რეგიონებში ხალხური მედიცინის შესწავლის მიზნით ჩატარებული ექსპედიციების დროს გაირკვა, რომ დასავლეთ საქართველოში ძირითადად სამეგრელოში, ძალზე ბევრია შხამების დამზადების მცოდნე ადამიანები. შხამები სხვადასხვა მოქმედებისაა–უცაბელი, ხანგრძლივი მოქმედების, დაავადების გამომწვევი და სხვა.

ეს ცოდნა უაღრესად გასაიდუმლოებულია და შთამომავლობას გადაეცემა.

შხამმცოდნეობაში წონადი წვლილი შეიტანა პონტოს მეფე მითრიდატე VI-მ (ევპატორი). სარწმუნო წყაროებით იგი კოლხურ შტოს ეკუთვნის. როცა პომპეუსმა ღალატით დაამარცხა მითრიდატე, სასახლეში შესვლისთანავე ბიბლიოთეკა იკითხა და იქიდან რომში გადაიტანა სამედიცინო ტრაქტატები, რომელთა უმრავლესობა მითრიდატეს მიერ იყო დაწერილი. ამ ფაქტიდან მთელი 2000 წლის განმავლობაში საწამლავთა უმრავლესობით მოწამვლის შემთხვევაში იყენებდნენ ანტიდოტს „მითრიდატიუმს.“ ცხადია ამ ანტიდოტის რეცეპტიც მითრიდატეს ბიბლიოთეკიდან იყო წაღებული.

მრავლისმოქმელია მედიცინის ემბლემაზე გველის გამოსახულების გამოყენება. პირველად იგი მედეასთან გამოჩნდა. გველის შხამი და ხორცი ფართოდ გამოიყენება აღმოსავლურ მედიცინაში, ასეა აგრეთვე ქართულ ხალხურ მედიცინაში. ზოგაის მინდია ქაჯეთის ციხეში ტყვედ იყო. მოწამვლის მიზნით აქ გველის ხორცი აჭამეს, რის შედეგადაც იგი კი არ მოიწამლა, პირიქით ბრძენი გახდა.

ამრიგად ქართული მედიცინა ქვეყნების, ხალხების, ერების ზოგადი კულტურის განვითარების შეფასების კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს.

## გახსოვდეს ეს ჩემგან იყო!



მღვდელმონაზონი სერაფიმე ვირიცელი

1937 წელი

„მე ვარ მწყემსი კეთილი; და ვიცი ჩემნი  
იგი და მიციან ჩემთა მათ. ვითარცა  
მიცის მე მამამან, ვიცი მეცა მამაი და სულსა  
ჩემსა დავსდებ ცხოვართათვის“.  
(იოანე 10.14,15)

გიფიქრია ოდესმე, რომ ყოველივე, რაც  
შენ გეხება მეც შეხება? რადგან რაც შენ  
გეხება ჩემს თვალის ჩინს ეხება ყოველივე.

შენ ძვირფასი ხარ ჩემს თვალში, უძ-  
ვირფასესი და მე შეგიყვარე შენ, ამიტომაც  
განსაკუთრებულ სიხარულს მანიჭებს მე  
შენი აღზრდა.

როდესაც განსაცდელები აღდგებიან  
შენს წინააღმდეგ და მტერი მდინარესავით  
მოგადგება გარს, მე მინდა შენ იცოდე; რომ

**..ეს ჩემგან იყო,**

რომ შენი უძღურება ჩემს ძალას  
საჭიროებს და რომ უსაფრთხოება შენი

იმაში მდგომარეობს, რომ მომცე საშუალება  
შენთვის ვიბრძოლო.

თუ იმყოფები მძიმე გარემოებებში, ადა-  
მიანთა შორის, რომელთაც შენი არ ესმით,  
რომელც ანგარიშს არ უწევენ იმას რაც  
შენთვის მნიშვნელოვანია, რომლებიც გავი-  
წრობენ, იცოდე

**..ეს ჩემგან იყო,**

მე ვარ უფალი, განმკარგველი ყოველთა  
გარემოებათა, შემთხვევით როდი აღმოჩნდი  
შენ ამ ადგილას, ეს სწორედ ის ადგილია,  
რომელიც მე მიგიჩინე. განა შენ არ მთხოვ-  
დი მესწავლებინა შენთვის მორჩილება? და  
აი, მე დაგაყენე სწორედ იმ გარემოში, იმ  
სკოლაში სადაც ამ გაკვეთილს ასწავლიან.  
შენი გარემო და შენთან მცხოვრებნი მხ-  
ოლოდ ჩემს ნებას ასრულებენ.

ფულადი სიძნელები თუ გაქვს და  
გაჭირვებით გაგაქვს თავი, გახსოვდეს

**..ეს ჩემგან იყო,**

რადგან მე განვკარგავ შენს ქონე-  
ბას და მსურს, რომ მე მომმართავდე და  
დამოკიდებული იყო ჩემზე. ჩემი მარაგები  
უღვევია. მსურს, რომ შენ ჩემს ერთგულება-  
სა და ჩემს აღთქმაში დარწმუნდე, ნუ მოხ-  
დება, რომ შენ ვითხრან: არ გვჯეროდა შენი  
უფლისაო.

ლამით თუ განიცდი მწუხარებას,  
განშორებული თუ ხარ ახლობლებს, იცოდე

**..ეს ჩემგან იყო.**

მე ვარ კაცი ნატანჯი, მრავალი ტკივი-  
ლი განმიცდია, მე ღავუშვი ეს, იმისთვის  
რომ შენ მე მომმართო და ჩემში ჰპოვა  
მარადიული ნუგეში. მოტყუებულხარ შენს  
მეგობარში? ან ვინმეში ვისთვისაც გული  
გაგიხსნია? იცოდე

**..ეს ჩემგან იყო.**

მე ღავუშვი, რომ ეს გაწბილება შეგხე-  
ბოდა, რათა შეგეცნო, რომ შენი საუკე-  
თესო მეგობარი უფალია. დაგწამა ვინმემ  
ცილი? მე მომანდე ეს საქმე და ახლოს  
და ახლოს მომეკარი მე, შენს თავშესაფარს,  
რომ თავი დაიცვა შეურაცხყოფელთაგან.

მე შენს სიძარტლეს სინათლესავით გამოვ-  
აბრწყინებ და შენს სამართლიანობას შუა  
დღესავით ვაქცევ.

დაიშალა შენი გეგმები? დაეცი სულით?  
იცოლე

**..ეს ჩემგან იყო,**

შენ აგებდი გეგმებს შენთვის და მე  
მომიტანე რომ მეკურთხებინა ისინი, მე კი  
მსურს დამითმო შენი ცხოვრების გარე-  
მოებათა განკარგვა. მაშინ პასუხისმგებელი  
ყველაფერზე მე ვიქნები, რადგან შენთვის  
ეს ძალზედ ძნელია და მართო ვერ გაუმ-  
კლავდები, შენ მხოლოდ იარაღი ხარ და  
არა მოქმედი პირი.

გეწვია მოულოდნელი წარუმატებლო-  
ბა და მოწყენილობამ მოიცვა შენი გული?  
იცოლე

**..ეს ჩემგან იყო,**

რადგან მსურს, რომ შენი სული და  
შენი გული მხურვალე იყო ჩემს წინაშე  
და ჩემი სახელით იმარჯვებდე ამ სულ-  
მოკლეობაზე.

დიდი ხნის მანძილზე ვერ ღებულობ  
ახლობლებისგან ცნობებს? შენი სულ-  
მოკლეობის გამო სასოწარკვეთასა და  
დრტვინვაში ვარდები? იცოლე

**..ეს ჩემგან იყო,**

რადგან შენი სულის ასეთი გათანგ-  
ვით ვცდი ჩემი აღთქმისადმი შენი რწმენის  
სიმტკიცესა და შენს ახლობლებზე  
შენი ღოცვის კადნიერების ძალას. განა  
შენ არ მიანდე ისინი - ჩემი ღედის - ყოვ-  
ლად წმინდა ქალწულის საფარველს?

გეწვია მძიმე ავადმყოფობა, დროებითი  
ან განუკურნებელი და სარეცელზე აღმოჩნ-  
დი მიჯაჭვული? იცოლე

**..ეს ჩემგან იყო,**

რადგან მე მსურს რომ, რომ შენს  
სხეულებრივ უძლურებაში უფრო ღრ-  
მად შემიცნო მე და არ დრტვინავდე  
მოვლენილი განსაცდელების გამო; არ  
ცდილობდე ადამიანთა სულების ხსნის გან-  
სხვავებული გზების კვლევას ჩემს გეგმებ-  
ში, არამედ უდრტვინველად და მორჩილად

ქედი მოიდრიკო ჩემი შენდამი სიკეთის წი-  
ნაში. ოცნებობდი რაიმე განსაკუთრებული  
საქმე შეგესრულებინა ჩემთვის? და ამის  
ნაცვლად სარეცელზე მიჯაჭვული აღმოჩნ-  
დი ავადმყოფობისა და უძლურების გამო  
იცოლე

**..ეს ჩემგან იყო,**

რადგან იქნებოდი რა შენს საქმე-  
ბში ჩადირული, ვერ მივიპყრობდი შენს  
ყურადღებას, მე კი მსურს შეგასწავლო  
ჩემი ყველაზე უფრო ღრმა აზრები და  
გაკვეთილები - რომ შენ ჩემს სამსახურ-  
ში ხარ, მსურს გააცნობიერო, რომ შენ ხარ  
- არარაობა. ჩემს საუკეთესო მუშაკთაგან  
ზოგი სრულიად მოწყვეტილია ცოცხალ  
მოღვაწეობას, რათა შეისწავლონ განუ-  
წყვეტელი ღოცვის იარაღის ფლობა.

მოულოდნელად გიხმეს მძიმე და სა-  
პასუხისმგებლო მდგომარეობის დასაკა-  
ვებლად? შეუდექი მოვალეობას ჩემზე  
მონდობილი. შენ განდობ ამ მძიმე საშ-  
რომს, რადგან ამისთვის გაკურთხებს შენ  
უფალი ღმერთი შენი ყველა შენს გზაზე,  
ყველაფერი რაც შენი ხელით უნდა შეს-  
რულდეს.


ღღეს მე გაწვდი შენ ამ ჭურჭელს  
წმინდა მირონით. ისარგებლე თავისუ-  
ფლად შვილო ჩემო. თითოეული წარმო-  
ქმნილი სიძნელე, თითოეული შეურაცხ-  
მყოფელი სიტყვა, თითოეული დაბრკოლება  
შენს საქმეში, რასაც შეიძლება მწუხ-  
არების გრძნობა გამოეწვია შენში, შენი  
უძლურებისა და უუნარობის თითოეული  
გამოვლინება ამ მირონით იქნება ცხე-  
ბული. გახსოვდეს, ყოველი დაბრკოლება  
ღვთის დარიგებაა.

ყოველი ისარი, რომელიც შეგეხე-  
ბა, დაბლაგვდება, როდესაც შენ ისწავლი  
ყველაფერში ჩემს დანახვას. ამიტომაც  
ჩაიდე გულში სიტყვები, რომლებიც მე  
ღღეს გაგიცხადე.

**..ეს ჩემგან იყო,**

რადგან ეს შენთვის არათუ უმნიშვნე-  
ლოა, არამედ ცხოვრებაა შენი.





„ჯვარობა“ და ნათლობა - ლომას მთაზე

სადეთო დღესასწაული „ჯვარობა“ ლომას მთაზე წელს მეშვიდედ აღინიშნა. მას სათავე სოფელ სამოლეთის მკვიდრმა, ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ეფრემმა დაუდო. მისი ლოცვა-კურთხევით ლომას მთაზე სამ ადგილას ჯვრებია აღმართული.

ჯვარი ქრისტესი ის ცენტრია, რომელიც ჩვენი წმინდა სარწმუნოების ყველა ჭეშმარიტება იკრიბება და ერთდება. სადეთო დღესასწაულმა „ჯვარობამ“ მთა ლომაზე მასობრივი ხასიათი მიიღო. გაცოცხლდა უძველესი ქრისტიანული დღესასწაული.

ლომას მთაზე ჯვარიმინდორს სახელწოდება - ჯვარი უხსოვარი დროი-

წამოშობის გორაზე=წმინდა გორაზე ქრისტიანული სასაფლაოს - (წმინდანის სასაფლაოს) არსებობა, აგრეთვე ჯვარიმინდორის მიმდებარე ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში არსებულ ქრისტიანულ სამლოცველო - საყდარი. ჯვარიმინდორის სამხრეთით ქედზე აღმართულ ქვადელოფალს ჯვარედინად ნაქსოვი ვალა ახურავს. ჯვარიმინდორის დასავლეთით არსებულ ხეობას - მარიამ ხევს უწოდებენ. ამ ჯვარიმინდორზე შუასაუკუნეებში გადიოდა ტაო-კლარჯეთში გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზა... ჯვარიმინდორზე გამავალ გზით სარგებლობდა მაღალმთიანი აჭარის სოფელ ლაკლაკეთისა და კლარჯეთის სოფელ ოპიზის მოსახლეობა, სადაც „ოპიზის მხატვრულ სკოლაში“ დაიწერა ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ჭედური ხატი (შუშანა ფუტკარაძე). ჩვენი დიდი წინაპრების სულის გამოძახილია მისიმაღალყოვლადუსამღვდელოესი მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით „ჯვარობის“=ქრისტიანული დღესასწაულის დაწესება.



დან ჰქვია. სახელწოდება ჯვარი ქრისტიანული რელიგიის სახელწოდებიდან მომდინარეობს და იგი უშუალოდ უკავშირდება ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში და სახელდობრ აჭარაში. ამ ადგილის ჯვარიმინდორის სახელწოდება-ჯვართან უშუალოდ უკავშირდება ჯვარიმინდორის სამხრეთ-დასავლეთით აღმართულ ვულკანური

უკვე 7 წელია აქ მოვდივართ აღევლინება პარაკლისი, ტარდება საზეიმო ნათლობა. უამრავი ადამიანი მოდის ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, დღესასწაულობენ. სურვილი აქვთ, რომ ამ წმინდა ადგილ-



ზე გახდნენ ნათელღებულნი. ერი და ბერი ერთად ვართ. მისიყოვლადუსამღვდელოესობა მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, ჩატარდა ნათლობა. „ჯვარო ქრისტესო, გვაცხოვნე ჩვენ ძალითა შენითა“. დღესასწაულს ვულოცავ მთასა და ბარს, ყველა მართმადიდებელს, აჭარას, ჩემს თანასოფლე-

წაულის მონაწილეებს „ჯვარობა“ მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ტარიელ ებრალიძემ, საკრებულოს თავჯდომარემ ნოდარ ქარცივაძემ, ტელეპროექტ „ეტალონის“ ხელმძღვანელმა გოჩა ტყეშელაშვილმა, ჟურნალ „ლაკლაკის“ რედაქტორმა შალვა ველიაძემ.



ნათელღებულთა შორის ყველაზე ასაკოვანი აკაკი ბერიძე 52 წლისაა, უმცროსი ლევან ველიაძე - 2 წლის.

-ამ მთაში ვეზიარე ჭეშმარიტ სარწმუნოებას გვითხრა სოფელ წაბლანაში

ლებს, - გვითხრა მეუფე ეფრემმა.

სხალთისა და ბოლნისის მთავარეპისკოპოსებმა მეუფე სპირიდონმა და მეუფე ეფრემმა მღვდელთმსახურებთან ერთად პარაკლისი ადავლინეს. მრევლს, დღესას-





დაბადებულმა, ამჟამად ქალაქ ბათუმის მკვიდრმა ბეჟან ველიაძემ. სურვილი მქონდა შვილი ლევანიც აქ მომენათლა. დღეს ეს სურვილი ავიხდინე.

-დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, გვითხრა გოჩა ტყეშელაშვილმა, -ასეთ დღესასწაულზე პირველად ვიმყოფები, აქა-



ურებმა ამ „ჯვარობის“ მნიშვნელობა, ამ ტერიტორიაზე ქრისტიანობის დაბრუნების ისტორია დეტალურად გამაცნეს. ვერ წარმომედგინა ამ მთაში მრევლის ასეთი სიმრავლე. ქრისტეს რჯულზე შედგომას ვულოცავ ნათელღებულებს. მათ ქრისტეს ჯვრის ზიდა საბოლოოდ დიდ ნეტარებასა და მარადიულ ცხოვრებას მოუპოვებს. ბედნიერი ვარ, რომ მთაში ასეთი დღესასწაულის მოწამე გავხვდი, მომავალშიც დავესწრები.

**ტარიელ ებრალიძე:** „წლებანდელი „ჯვარობა“ იმითაც გამორჩეულია, რომ

ბოლნელი და სხალთელი მთავარეპისკოპოსები წირავდნენ. დიდი მადლობა მათ. ვსარგებლობ შემთხვევით და ბეჭდური მედიით ყველა ნათელღებულს ვულოცავ წინაპრების ძირძველ მრწამსზე შედგომას. მათ ნათლობის ადგილად ისტორიული ტერიტორია ამოირჩიეს. - აქ გადიოდა ტაო-კლარჯეთთან დამაკავშირებელი გზა. დიდი პატივი მერგო, რომ ამ ზეიმს დავესწარი.

**მეუფე სპირიდონი:** „ძვირფასი დღესასწაული დამკვიდრდა. მადლობა მინდა გადავუხადო ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს მეუფე ეფრემს. იგი ამ კუთხის, ამ მთების შვილია. დღესასწაულსაც ჩვენთან ერთად ზეიმობს. ყველას გილოცავთ „ჯვარობას“. ინებოს უფალმა, რომ სრულიად საქართველო დედა ეკლესიაში მოვიდეს, იყოს ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი“.

„ჯვარობაზე“ გამოითქვა მთა ღმამაზე მართლმადიდებლური სამლოცველოს აშენების სურვილი. შუახვევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მზად არის, ამისთვის ტერიტორია გამოჰყოს.



„ჯვარობის“ შემდეგ გაიმართა ტრაპეზი. სამღვდელოებას და „ჯვარობის“ დღესასწაულის მონაწილეებს უმასპინძლეს: შალვა, ზვიად, ბეჟან, ქეთევან ველიაძემ; ნაილე, დარიკო ბერიძემ; ცირა ზოიძემ.

## საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთობა უნდა გადაარჩინოს ქვეყანა

სვეტიცხოვლობის დღეს (14 ოქტომბერს), მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივ-ბრწყინვალისა და მირონმდინარისა, - სადღესასწაულო წირვა-ლოცვისა და ქადაგების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ბრძანა: „ეპარქიებში შეიქმნას და დაფუძნდეს ჩოხოსათა სადროშოები“.

სხალთის ტაძარში 2015 წლის პირველ ნოემბერს საკვირაო წირვა-ლოცვის აღსრულების შემდეგ სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა სხალთის ეპარქიაში ჩოხოსანთა სადროშოს დაფუძნება და ჩოხოსნები დალოცა. ჩოხოსანთა შორის იყვნენ შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი: ტარიელ ებრალიძე, ბესიკ ბაუჩაძე და სხვა სახელისუფლებო წრის წარმომადგენელი. სხალთის ტაძარში ამ დღეს ჯვარი დაიწერეს ბათუ-

მის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ონისე და ლამარა სურმანიძემ. მეუფე სპირიდონმა დალოცა ისინი, მათ დიდ ოჯახს გამრავლება და ბედნიერი მომავალი უსურვა... გვინდა დიდი პატივისცემით ავღნიშნოთ, რომ ბატონი ონისე სურმანიძე დიდხანია ერთგულად ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას. იგი 14 დედამიწვილთაგანია. ეს ერთ-ერთი დირეხული ფაქტია, რომელიც ქართველი ერისთვის იძლევა მისაბამ მაგალითს.

მისიყოვლადუსამღვდელოესი მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით სხალთის ჩოხოსანთა სადროშოს წინამძღოლობა ზვიად დიასამიძეს (შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე) დაევალა. ეს დღე მნიშვნელოვანი და ისტორიულია სხალთის ეპარქიაში - გვითხრა მისმაყოვლადუსამღვდელოესობამ **მეუფე სპირიდონმა**.

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ სხ-



სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი ჩოხოსნებთან ერთად



ალთის ეპარქიის ჩოხოსანთა სადროშოს წინამძღოლს, ბატონ ზვიად დიასამიძეს.

**საქართველო, როგორც უძველესი კულტურის ქვეყანა მუდმივი განვითარებისა და განახლების პროცესშია. ქართველი ერის მისია საკაცობრიო ცივილიზაციაში განსაკუთრებულია. ქართველობამ უნდა დაუბრუნდეს ისტორიული წარსულის სინამდვილეს, ისტორიულ არქექტიპს. ამისთვის აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩინა ეროვნულ-კულტურული ფენომენის წინ**

**წამოწევა. როგორია თქვენი მოღვაწეობა ამ მიმართულებით.**

**ზვიად დიასამიძე:** მე ვფიქრობ, რომ თითოეული ქართველის ვალაა დაიცვას ქართული (საკუთარი) ტრადიციები, კულტურა, გამოიჩინოს პატივისცემა, დაფასება და საკუთარი ცხოვრების ყოველდღიური საზრუნავად აქციოს. ჩვენ, როგორც სამიათასიანი სახელმწიფოებრივი კულტურის ქვეყანას სხვა არ უნდა გვასწავლიდეს საკუთარი ტრადიციების პატივისცემას.. აჭარაში, სადაც 300 წელი მტერი ბოგინობდა ჩვენს წინაპარს არჩევანი ცუდსა და ვარესს შორის ჰქონდა. მათ ამჯობინეს ცუდი და შეინარჩუნეს მთავარი: ენა, მამული და წინაპართა საძვალე. იძულებული გახდნენ დაეთმოთ რწმენა, რომელიც შეფუთეს ტრადიციებში და ჩვენამდე მოგვიტანეს. სისხლმა თავისი გზა ნახა. დაუბრუნდა იმ ფესვებს, იმ ტრადიციებს, რომელიც გამჯდარი იყო მასში... როცა პირველად ვიწყებდით ნათლობას, ტაძარში მისვლას და მოლოცვას, წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია მოსახლეობისგან.. ისინი მხოლოდ ერთს ამბობდნენ: „მდინარეს სადაც გაუვლია იქ გაივლისო“. კარგად მახსოვს, პროცესი, როცა 400 წლის შემდეგ ქრისტიანული წესით მიცვალებულს ასვენებდნენ, მოძღვარი წესს უგებდა, მეჩეთის მრევლიც მოვიდა, რომ ენახა რეალურად თუ



როგორ ასვენებდნენ ქრისტიან მიცვალებულს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არაქრისტიანია, მინდა ავლინებო მათი დამოკიდებულება მოძღვართა, მღვდელმთავრისა და პატრიარქის მიმართ. მასწენდება დიდი ნათლობა ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარში. როცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შემობრძანდა სტიქარით შემოსილი ტაძრის შესასვლელთან კორიდორს ვაკეთებდით. ზურგს უკან მდგომმა ასაკოვანმა მამაკაცმა შემატრიალა და მითხრა: - „არ შემზღუდო ამხელა გზა იმიტომ გამოვიარე, რომ პატრიარქს თავი დავალოცვინო“. მივხვდი არაქრისტიანი იყო. მაგრამ გამაოცა მისმა მოლოდინით აღსავსე თვალებმა. აქვე მინდა ერთ ფაქტთან დაკავშირებით ვთქვა: რომ ჩვენს ძმებს, ჩვენს სისხლსა და ხორცს, რომელიც ჯერ არ შედგომია ქრისტეს გზას სითბო და სიყვარული სჭირდება. თითოეულ ჩვენთაგანიდან კი მოფერება, პატივისცემა, რამეთუ თითოეულ მათგანში ჩვენი ერის, ჩვენი კუთხის მომავალია. ჩვენგან უყურადღებოდ და უპატივცემულად დატოვებული შეიძლება მავანის ხელში აღმოჩნდეს. სული დაუმახინჯონ, რაც დღესდღეობით არცთუ იშვიათი მოვლენაა.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით საქართველოში დაფუძნდა ჩოხოსანთა სადროშოები. სხალთის ეპარქიის მთავარ-**

**ეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით სხალთის ეპარქიაში დაფუძნდა ჩოხოსანთა სადროშო. თქვენ ბრძანდებით სხალთის ეპარქიის ჩოხოსანთა სადროშოს წინამძღოლი. რა მისია ეკისრება სადროშოს თქვენი წინამძღოლობით.**


უპირველესად მინდა მადლობა გადაუხადო სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს მეუფე სპირიდონს ნდობისთვის და მიუვლოცო ჩოხოსნებს - სხალთი ეპარქიის ჩოხოსანთა სადროშოს დაფუძნება და ჩოხოსნობა. ჩემთვის მოულოდნელი იყო, როცა სხალთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა მომცა ლოცვა-კურთხევა სხალთის ეპარქიის ჩოხოსანთა სადროშოს წინამძღოლობისთვის. ვფიქრობ, ეს ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. მე მასსოვს დრო, როცა ორი ოჯახი დავდიოდით სალოცავად სხალთის ტაძარში. დღესდღეობით ასზე მეტი ქრისტიანია მხოლოდ ჩემს სოფელ - ფურტიოში. მთავარი არის ის, რომ საერო-სასულიერო ხელისუფლების ერთობამ უნდა გადაარჩინოს ქვეყანა. მნიშვნელობა არა აქვს ადამიანისთვის რა პოზიციაზე იქნება. მთავარი ადამიანის არსებობაში შესისხლხორცეული იყოს ეროვნული ცნობიერება. ჩოხოსნობა - მხოლოდ ჩოხის ტარება კი არაა დღესასწაულებზე, ეს არის ჩვენი ისტორიის, ტრადიციის უკვდავყოფა და პატივისცემა. ეს თითოეული ქართველის ვალია.

ღმერთმა შეგვადლებინოს ამ მისიის ღირსეულად აღსრულება.



### „სად ტაძარი ღუმდა, აღარ ღუმდეს, ბედის ბუღეს რწმენა დაუბრუნდეს“

სხალთა-ხიხანის ხეობა, ისტორიული ძეგლები, მრავლის მომსწრე და მოწამე სხალთის ტაძარი, ღარტაფებში მოჩუხჩუხე კვატიის წყარო, ხიხადირში მოწვეული სტუმრებით, ვერნებში, კალთაში, თხილვანასა და



ბაკოში გაშლილი სუფრებით გაუტეხელმა, წარსულის დიდებისგამომწვეურელმა ხიხანელებმა „ტბელობა“ იზეიმეს.

„ტბელობის“ მონაწილენმა პირველად შერიფი ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმს მიაკითხეს. ეს ის ისტორიული სახლია, სადაც თითქმის საუკუნენახევრის წინ აჭარის დედამამბოლოსთან დაბრუნების ბედი წყდებოდა.

„ტბელობის“ ზეიმის წამომწყებთა რიგებში მეც განლდით, - გვითხრა სხალთელმა იზოლდა სურმანიძემ. ისტორიული ხეობის ღირსეული წინაპრების შთამომავლებს გვეამაყება, რომ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს (აჭარის) ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები აქაურობას უკავშირდება. ამ ტერიტორიაზე XIII საუკუნის პირველი ნახევრის აჭარის წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი, მწერალი, ჰიმნოგრაფი, მათემატიკოსი, ასტროლოგ-ასტრონომი აბუსერიძე ტბელი თავის ქმნილებებს წერდა, ტაძრებსა და ციხეებს აშენებდა.

ჩვენმა მტრებმა ამ ხეობაში 200 წლის წინ თავი მოკვეთეს საქართველოს ეროვნულ გმირს სელიმ ხიმშიაშვილს. რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქ სანკტ-პეტერბურგში გარდაცვლილმა შერიფ ხიმშიაშვილმა სამუდამო სასუფეველი სხალთა-ხიხანის ხეობა ჰპოვა, -დასძინა მან და „ტბელობის“ მონაწილეებს მუზეუმის ღირსშესანიშნაობანი გააცნო.

„ტბელობა“ გმირების ცხოვრების გაძლიერების, წარსული გახსენების, ერის გამოცოცხლება, გამომწვევების, აწყმოს გაგებისა და წარმართვის ზეიმიანია. სულ მალე მისი დაარსების 4 ათეულ წელს იზეიმებენ: „სად ტაძარი ღუმდა, აღარ ღუმდეს, ბედის ბუღეს რწმენა დაუბრუნდეს“, - ამ სიტყვების ავტორს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ფრიდონ ხალვაშს სჯეროდა, რომ ქვეყნის, კუთხის ისტორიაში ისევ დადგე-



ბოდა ხანა, როცა საუკუნეებით დადუმებული სხალთის ზარები მომლოცველებს მოუხმობდა. ხავსმოკიდებული ტაძრის კედლები სიბინძურეს ჩამოიწმენდა, შეძურული ფრესკები ისევ გამოანათებდა და ამ ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინებოდა.

ღირსი და ღმერთშემოსილი წმინდა მამის მოსახსენებელი წირვა=ლოცვა სხალთის ტაძარში სხალთელმა მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა აღავლინა. აქ მოსალოცად მოვიდნენ რეგიონის, ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები, ქვეყნის სახელოვანი მეცნიერები, საქართველოს პარლამენტის, აჭარის, ცალკეული მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრები, ჩოხოსნები.

საზეიმო წირვა=ლოცვის დაწყების წინ ქართული მართმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებმა, მრევლმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით სხალთის ტაძარში დააბრძანეს წმინდა აბუსერიისძე ტბელის ახლად დაწერილი, ასევე ბეთანიელი აღმსარებელი მამების იოანესა და გიორგის ხატები. იგი მრევლთან ერთად ტაძარში ჩამოიტანა მახათას



აჭარის არ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ბაუჩაძე

ტაძრის წინამძღვრის მოადგილემ (წინამძღვარია უწმინდესი და უნეტარესი ილია II) არქიმანდრიტმა იოანემ.

საზეიმო წირვა=ლოცვის დასრულებისთანავე მოზეიმენი ხიხადირისკენ მიმავალ გზას დაადგინენ. ღარტაფებში მორიგხვებზე კვატიის წყაროსთან დაყოვნდნენ ისტორიული სოფლის მკვიდრებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, აჭარის მთავრობის წარმომადგენლებმა სკოლამ-

ღელი დაწესებულების - საბავშვო ბაღის ექსპლუატაციაში შესვლა მიულოცეს, ლენტი საზეიმოდ გაჭრეს.

ამ სოფელში საჯარო სკოლის შესანიშნავი შენობა გვაქვს. მოსწავლეთა კონტიგენტი საკმაოა, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხალთელმა მაჟორიტარმა ჯამბულ შაინიძემ, - 30 აღსაზრდელზე განკუთვნილი საბავშვო ბაღი აქაურ დედებს, მათ შვილებს სიკეთეს მოუტანს. აქ შვილებს წაბლანელი დედების ნაწილიც მიაბარებს. სხალთის ბაღი კონტიგენტს ვეღარ იტევს.

ამ პროექტით ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ხეობაში საბავშვო ბაღების მშენებლობას არ ამთავრებს. სულ მალე დაბა ხულოში მეორე ბაღი გაიხსნება.

ხიხადირელებს ის წლები კარგად ახსოვთ, როცა სახალხო დღესასწაული საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე იმართებოდა. „ტბელობის“ ორგანიზატორებმა წლებან-



ღელი ზეიმი წარსულთან დაბრუნებად მიიჩნიეს და მოზეიმეებს კვლავ ღია ცისქვეშ უხმეს. კომუნისტური რეჟიმის წლებში წმინდანად შერაცხული მამულიშვილის ხატს ან ხატმწერის მიერ წარმოდგენილ ტილოს რას გაახსენებდი. მაშინ სცენას მხატვარ სიმონ ართმელაძის ფერწერული ტილო „აბუსერიისძე ტბელი ამშვენებდა. წელს იმ ხატის ანალოგი ფერწერული ტილო შეარჩიეს, რომელიც არენიდან სხალთის ტაძარში იქნება დაბრძანებული.

ხიხანელებს, მათ სტუმრებს, ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში გაბნეული ისტორიული ხეობის წარმომადგენლებს „ტბელობა“ მიულოცეს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ბაუჩაძემ, აჭარის უმაღლე-



სი საბჭოს თავჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ ამ ხეობაში რომ მოვდივარ გული და გონება წარსულში მამბუნებს. აბუსერისძე ტბელი არ იყო ერთი ხეობის, ერთი კუთხის შვილი. იგი მსოფლიო დონის მეცნიერების რიგებში, გმირიც იყო და წინდანიც. იგი იმ დროის მოღვაწეა, როცა ქართველი ერის ისტორიაში დიდი ქართველების ეპოქა დაიწყო. იგი ეკუთვნის შუა საუკუნეების იმ დიდ გამოჩენილ მოღვაწეთა გუნდს, რომლითაც მარაღ-ჟამს იამაყებს ქართველი ერი.

მისი სახელი უთვასაჩინოსია ქართული მწერლობის ისტორიაში.

„ტბელობის“ მოზეიმენი დალოცა **მეუფე სპირიდონმა**: აბუსერისძე ტბელი გახლდათ დიდი აღმაშენებელი. მისი ძალისხმევით აშენდა ხიზანის ეკლესია, სადაც დასვენებული ყოფილა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ტბელისთვის დედას დაუტოვებია. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდმა იგი 2002 წელს წმინდანად შერაცხა, როგორც მეცამეტე საუკუნის დიდი ჰიმნოგრაფი, ეკლესიათა მშენებელი და საეკლესიო მოღვაწე. მისი მადლი ჰფარავდეს სრულიად საქართველოს.

ტბელის ცხოვრებასა და „ტბელობის“ მნიშვნელობაზე ისაუბრა ბათუმის სახ-

იმე წელია დღის წესრიგშია. პირველ რიგში ტერიტორიაა გამოსაძენი. როგორც სხალთელმა მთავარეპისკოპოსმა თქვა მას და ხეობის მკვიდრს გონა გაბაიძეს ამ თემაზე მსჯელობა უკვე ჰქონდათ. ტერიტორიის გამონახვასთან ერთად საჭიროა გეოლოგიური დასკვნა და საქართველოს საპატრიარქოს არქიტექტურის სამსახურის ნებართვა. გამოსანახია თანხებიც.

როცა თანხების გამონახვაზე მიდგა საუბარი „ტბელობის“ ზეიმის მონაწილემ ელგუჯა გაბაიძემ ითავა ქტიტორის ფუნქცია. იგი ხიზადირელ ბიზნესმენებთან ერთად ეკლესიის ასაშენებლად საჭირო თანხებს გამონახავს. უახლოეს დღეებში დამფუძნებელთა შეკრებასაც გამართავს.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, პოეტი გულიკო გაბაიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ჯამბულ ზოზრევანიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრაღიძე, აჭარის ჯამთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის მინისტრების მოადგილეები რამაზ ჯინჭარაძე, იოსებ აბულაძე.

„ტბელობა“ სიმღერისა და ცეკვის დემონსტრირების დღესასწაულია. მოზეიმეებს



აჭარის არ. უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე ავთანდილ ბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე და შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - რამაზ ხალვაში

ელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რამაზ ხალვაშმა. მოზეიმეებს მან გააცნო სხალთა=ხიზანის ხეობის წარმომადგენელთა ინიციატივა ხიზადირში მართლმადიდებლური ტაძრის აშენების შესახებ. ეს იდეა რამდენ-



ერთიც კიდევ გაუნხალისოს გული ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა და უხუცესთა, ხიზადირის სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლების „არგინეთის“, „ხიზანის“, „ხიზადირის“, ვერნების ფოლკლორული საოჯახო ანსამბლების წევრებმა.

მოსწავლეებმა „ტბელობასა“ და აბუსერისძე ტბელისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს. აბუსერისძე ტბელის უკვდავი სახელი 800 წელია ქვეყნის ისტორიაში

ზეობს. იგი მაღლიერ შთამომავლობას ერთობის, სათნოების, მამულის უანგარო სამსახურის, კაცთმოყვარეობისა და მიმტევებლობისაკენ მოუწოდებს. ეს ლეიტმოტივი გასდევდა წრევანდელ ტბელობას ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ წელს საშვილიშვილო წამოწყებას სათავე დაუდო. დაწესდა აბუსერისძე ტბელის სახელობის მუნიციპალური პრემია 500 ლარის ოდენობით. ამ პრემიით „ტბელობაზე“ ოთხი პიროვნება დაჯილდოვდა, რომლებიც მოსწავლეთა აღზრდის სამსახურს წლები შეაღიეს და დგესაც პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებენ.

წელს არჩევანი ხიხადირის, ზემო ვაშლოვანის, გორგაძეების, პაქსაძეების საჯარო სკოლების პედაგოგებზე მამია იშხნელიძეზე,



მურმან ბოლქვაძეზე, მარგო მელაძესა და ნანი რიჟვაძეზე შეაჩერეს. მათ საპატიო დიპლომი და ფულადი ჯილდო გადასცეს ავთანდილ ბერიძემ, ანზორ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძემ, ჯამბულ ხოზრევანიძემ.

სიახლეა ისიც, რომ წელს სხალთა= ხიხანის ხეობის საჯარო სკოლების წარჩინებული მოსწავლეები სამახსოვრო საჩუქრები დააჯილდოვეს.

61 წელია მშობლიური სოფლის ახალგაზრდების აღზრდის საპატიო საქმეს ვემსახურები, - გვითხრა მამია იშხნელიძემ. დღეს ისეთი შემართებით შევდივარ გაკვეთილზე, როგორც ათწლეულების წინ. სკოლის დირექტორი, საკრებულოს თავმჯდომარე გახლდით. სკოლის შენობა ჩემი დირექტორად მუშაობის წლებში აიგო. გაწეული მუშაობა მედარდება, ვარ დამსახურებული მასწავლებელი, მაქვს მთავრობის ჯილდოები, მაგრამ ჩვენი კუთხის ღირსეული

შვილის აბუსერისძე ტბელის პრემიის ლაურიატობა დიდზე დიდი პატივია.

ხიხადირში, თხილვანაში, ბაკოში და სხვა სოფლებში სადც აბუსერისძე ტბელს ფეხი დაუდგამს, სადაც მისი უკვდავი ქმნილებები დაუწერია ცხოვრება დღესაც გრძელდება. „ბედის ბუდეზე“ იბადებიან ბაუმები, ჯვარს იწერენ ახალგაზრდები „ტბელობის“ ზეიმს ქორწილი დაამთხვიეს ხიხადირელმა დავით გაბაიძემ და ნასაკირელმა თამუნა ცენტერაძემ. სასინარულოა ისიც, რომ სხვებისგან განსხვავებული ქორწილი სოფელში გადაინადეს.

20 წელია სოფელში ქორწილი აღარ გვინახავს, - გვითხრა ხიხადირელმა გურამ ხალვაშმა: „ტბელობის“ დღესასწაულის დღეებში ახალი ოჯახის შექმნა ყველა ხიხადირელმა დალოცა. სოფელი არ იშლება. ცხოვრება, შრომა გრძელდება.

ბაგრატ IV მეფობის დროს აბუსერისძენი განაგებდნენ არტანუჯს, აჭარას, ციხიჯვარს, აწყურს. მათი საგამებლო მოიცავდა ტერიტორიის არტანუჯიდან მტკვრის ხეობის ჩათვლით. ისინი გვერდით ედგნენ მეფე ბაგრატ IV ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენთვის აბუსერისძე ტბელის წინაპრებისა და მისი საქმიანობა კარგადაა ცნობილი, - გვითხრა ბესიკ ბაუჩაძემ. ჩვენ არ გვძალუძს წარსულის უკან დაბრუნება, უკან მოხედვა უსარგებლოა, მაგრამ ისტორიული პირობის წარმოჩენა, მათი საგმირო საქმეების გაცოცხლება მომავალი თაობებისთვის სასარგებლო და აუცილებელია.

ჩვენი მიზანი წლევეანდელმა „ტბელობმა“ დაგვიდასტურა. გვეამაყება, რომ წინაპრის, კერძოდ აბუსერისძე ტბელის, ღირსეულ მემკვიდრეობას ერმა, კუთხემ, მთელმა ხულომ სათანადო პატივი მივაგეთ.

ხიხადირში შემოდგომაა. შემოდგომის ხვაე=ბარაქა მოუტანეს ისტორიული სოფლის მკვიდრებმა. ღია ცის ქვეშ გამართული ზეიმი ოჯახებში გააგრძელეს. დალოცეს ქვეყანა, ერი, საქართველოს მომავალი. გაბაიძეების, ხალვაშების, იშხნელიძეების, გორგაძეების სამკვიდროზე მალე ზამთარი დაისადგურებს. ხანგრძლივ ზამთარში სოფელსა და ხეობაში ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით გაგრძელდება. უყვართ ხიხანელებს საქმე. ზეიმიც მიმზიდველი იცინ.



**მარიამის ჯვარით ქართულ კოეჯიაში  
გულიკო გაბაიძე**

**ქალი-კოეჯი, ქალი - დედა, ქალი - საგზობლოსთვის მზრუნველი  
და უანგაროდ მოჭირნას უღე**

**(გულიკო გაბაიძის წიგნის „მზემ პირჯვარი დაიწერა“-ს გამო)**

სხალთა-ხიხანის ხეობა გამორჩეულია სამშობლოსთვის თავდადებული ღირსეული და ჭეშმარიტი მამულიშვილებით. გმირი და წმინდანი აბუსერისძე ტბელი, მსოფლიო დონის მეცნიერი, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე იყო. ამ ხეობის მამულიშვილთა

შიაშვილი. მუსტაფა გაბაიძე შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის დაცვის უფროსი და ისუფ ბერიძე დაცვის წევრი. ხიხანის საარწივოდან მე-20 საუკუნის გამორჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ დავით მამულაძე, რომლის მოღვაწეობამ უდიდესი ნათელი კვალი დატოვა ხალხის მეხსიერებაში. მშობელი ხალხის დიდი ქომაგი, მათი კეთილდღეობისთვის დიდი მზრუნველი. მემედ და სერგო ჯაიანი კულტურის გამორჩეული მესვეურნი. ლევან გაბაიძე მომავალი თაობის აღზრდაში წარმატებული მოღვაწე, ამასთანავე სახელმწიფო მოღვაწე, თოფუზ და თენგიზ გაბაიძე სხალთა-ხიხანის ხეობაში ფოლკლორული ანსამბლის შემქმნელნი, განდაგან-ხორუმის დამდგმელი. ენვერ გაბაიძე ხულოს კულტურის სახლის დირექტორი.



გულიკო გაბაიძე

სხალთა-ხიხანის ხეობის გამორჩეულ მამულიშვილთა პლეადის ღირსეული გამგრძელებელია ჩვენი თანამედროვეობის პოეტი „ანა კალანდაძე“ სახელდებული - ქალბატონი გულიკო გაბაიძე. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომლის შემოქმედების აღიარებულ ფასეულობად იქცა მის მიერ გამოცემული პოეტური ნააზრევი „მზემ პირჯვარი დაიწერა“. გულიკო გაბაიძის შემოქმედება ერთი უწყვეტი კლასიკური ჰიმნია სამშობლოს სადიდებლად. იგი თავისი შემოქმედებით გვევლინება მამულის ღირსეული მოჭირნახულე, მის ავ-კარგზე დაფიქრებული - პოეზიით მომღერალი. გულიანი, გაბეღული მთქმელი, სამშობლოს სვე-ბედით შეწუხებუ-

პლეადას ამშვენებს ეროვნული გმირი სელიმ ხიმშიაშვილი, მისი შთამომავალი ოსმალთაგან აჭარის განთავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი შერიფ-ბეგ ხიმ-



გულიკო გაბაიძე და ცისანა ანთაძე

ლი, უკეთესი მომავლის იმედით მოტრფივალე დიდი მამულიშვილი და რაც მთავარია სხალთა-ხიხანის ხეობის მემკვიდრეთა ღირსეული გამგრძელებელი.

სამშობლოს სიყვარულის სპეტიკი გრძნობით ჯავშანშემორტყმული პოეტი ქალი - გულიკო გაბაიძე, მის პოეზიაში ნათლად გადმოქცემს ქვეყნის კეთილდღეობისთვის მებრძოლი და გულანთებული მამულიშვილისა და თავისი ქვეყნის პატრიოტი ადამიანის ღირსეულ სახეს.

გულიკო გაბაიძე მამულისთვის თავდადებული ქართველია, იგი შეყვარებულია მშობელ ხალხზე, სამშობლოზე და მის მიწა-წყალზე. ღმერთს ავედრებს საკუთარ ქვეყანას და ზეციურ ძალებს სთხოვს მარიამის ჯვა-



რით ხელში ქვეყნისთვის სიკეთეს: „...ზეცის მოიმედე, ვზივარ ზღვის ნაპირას, წმინდა მარიამის ჯვართ“.

სხალთა-ხიხანის და მისი მშობლიური რაიონის ხულოს ძირძველობა, მისი სული-

ერი ფასეულობა ერთი სიტყვით აქვს გადმოცემული - ჯვარნაკურთხი: „ნისლში ჟონავს ცრემლის წვეთი / ჯვარნაკურთხი ხულოს მთები“.

ჩვენი ძვირფასი პოეტი ალალმართალი სევდით ამბობს ნაღდ ქართველთა ერთიანობის პრობლემურობაზე: „სქართველოს ქართველების / მთლიანობა შიოდა“. ქართველი ერის შეცდომებზე მიანიშნებს პოეტის სიტყვები: „დავასამარეთ სამართალი,.. / რწმენა გავროზგეთ“. უფლის ნებით მოპოვებული დროის მდინარებამ ვერ წაგვართვა, თუმცა ორპირი და მოლაღატე უსირცხვილოდ ქვეყანას მართავს და ამ ორომტრიალში მე სულიერად ისეთი ძლიერი ვარ, რომ ზოგჯერ ფიქრებით ქვეყანას ვმართავ:

„ხანდახან ისე ძლიერი ვარ  
ქვეყანას ვმართავ,  
შენ ვინაც ასე მასულდგმულე  
მითხარ სადა ხარ!“

მომავლის რწმენით იგი მკითხველს იმედის ტალღით ასულდგმულეს: „ზვალ მზე იქნება“.

სხალთა-ხიხანის ხეობის „სიცოცხლის სამარადისოდ“ პოეტი მზენათლის სიყვარულით აღწერს აბუსერისძე ტბელის, სელიმ ხიმშიაშვილისა და გადარჩენილი სხალთის ტაძრის სიწმინდეს და სულის უწყვეტ მარადიულობას. ბუნებასა და ადამიანს სამყაროს შევნიერებად აღიქვამს. სულისა და სხეულის ჰარმონიული არსებობისთვის ლოცვას ჰქადაგობს.

ქართველი ერის ისტორიის კარგ მცოდნეს, პოეტსა და ღირსეულ მამულიშვილს გულიკო გაბაიძეს დიდი ადამიანების გახსენება მათზე პოეზიის ერთ სიტყვის თქმა, შეხსენებაა მომავალი თაობისთვის თუ როგორ სცხოვრობდა და იღწვოდა სამშობლოსთვის თავდადებული ილია მართალი (ჭავჭავაძე), ზურაბ გორგილაძე, მერაბ კოსტავა. პოეტი ამით მომავალ თაობას შეახსენებს „დიდგორი“ კვლავ დასალაშქრია რწმენითა და ცოდნით.

ქვეყნის კეთილდღეობა და ბედნიერი მომავალი უფლის მიერ განსაზღვრულობით არის მხოლოდ შესაძლებელი. ჯვარცმულ ქვეყანას კვლავ მოელის ამაღლება. ეს ერის

ბედი. ღვთივკურთხეულ ქართველ ერისთვის უფლის მცნებების დაცვა, ლოცვა და მარხვა, საღვთო სიბრძნით სვლა საქართველოს და ქართველ ერს კვლავ მოუტანს დიდებას. პოეტი გულიკო გაბაიძე თავისი პოეზიით აქტიურად მოძღვრავს მკითხველს: უფლის სიყვარულისთვის, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულისთვის. ქართველმა ერმა უნდა განიცადოს ფერისცვალება.



ქალი - პოეტი, ქალი - დედა, მზრუნველი შვილებზე, სამშობლოზე, რარივ კეთილი და დიდსულოვანი გულიკო გაბაიძის დედამ-ვილური, დედამშობლიური, დედა სამშობლოს მიმართ ერთგული სამსახური. მისი სულის ნათელ და სპეტაკ სხივებს, გულწრფელ გრძნობებს, ფიქრებსა და ლექსად დაწყობილ აზრებს დემონები ვერას დააკლებენ. ვინაიდან გულიკო გაბაიძე, როგორც პოეტი წმინდა მარიამის ჯვარით შემოვიდა ქართულ პოეზიაში, ქართულ სააზროვნო სივრცეში და ქვეყნისთვის თავდადებას, სიკეთესა და სიყვარულს გვასწავლის.

პოეტის წუხილს, დარდს და ვარამს ისტორიული ბედუკუდმართობის გამო ქართლოსიანთა ჯიშისა და ჯილაგის, მათ შთამომავალთა ქვეგამხედვარობა, გამყიდველობა, ერისა და სამშობლოს ღალატი წარმოადგენს. პოეტს გულის ფიცარზე მწარე ტკივილად დაშთენია ქვეყნის მოღალატეთა მიერ ციხის შიგნიდან გატეხვა - სამშობლოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა ღალატით სიკვდილი. პოეტი არ კარგავს კეთილი მომავლის იმედს. სიყვარულით უმზერს ქვეყნის მომავალს, როგორც თვითონ საქართველოს ერთერთი უღამაზესი კუთხის - აჭარის შვილი საქართველოს უკვდავებას მზე-სინათლეში ხედავს, როგორც „ნაღდი ფიქრის თამადა“.

გულიკო გაბაიძე თავის შემოქმედებაში საქართველოსთვის წართმეული სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტკივილით არის შეპყრობილი, ის აჭარის ავის მოსურნეთაც ამხელს და დედა სამშობლოს მოუწოდებს „გაიღვიძე საქართველოვ!“

„გაიღვიძე საქართველოვ!“  
მტერი ითვლის წუთებს, წამებს,  
რა პასუხი უნდა გავსცეთ  
ატირებულ ქართულ ტაძრებს“.

ყოველი ადამიანის სული ტოლფასოვანია უზენაესის წინაშე. ქართველობის მაღალი სულიერება ფეთქავს გულიკო გაბაიძის სულსა და გულში - მის სპეტაკ სხეულში, როცა ამბობს „ლოცვად მოვსულვარ“ - ეს არის უზენაესის წინაშე ადამიანური არსებობისთვის უკვდავების ჰიმნი:

„შემომრჩენია სიყვარული  
წრფელი ფიქრებით,  
ხიხანის ციხის სიძლიერეთ  
შემომრჩენია.

ლოცვად მოვსულვარ -  
გამრჩენია რწმენა, იმედი,  
ციხის მნათობები, დედამიწა  
გარს მეხვევიან“.

სამშობლო მიწის სიყვარული უშრეტ წყაროსავით მოედინება პოეტის გულში:

„მზის სხივო და მთვარის შუქო  
მიწავ ძველო ჯვარნაკურთხო...“



მანანა სულაბერიძე, გოჩა სურმანიძე და გულიკო გაბაიძე

მოკვლე, თუკი დაგივიწყო,  
გულში უნდა ჩაგიხუტო“.

მარადიული სიცოცხლისა და გაზაფხულის მოსვლის იმედითაა გაჟღერებული გულიკო გაბაიძის პოეზია. იგი მუდამ ოპტიმიზმით არის აღსავსე. ბედისწერის მარწუხებში მოქცევას იგი არ ეგუება. ლოცვითა და ვედრებით უფლის ჰიპოსტასს - მზეს, პირველის წერით, სულისა და პოეზიის მაღლით იახლოვებს:

„იმედი და მკაცრი მზერა, -  
ასეთია ბედისწერა,  
რომ ჩათავდეს ეს სიმღერა  
მზემ პირველად დაიწერა“.

გულიკო გაბაიძის პოეტური ენა ლამაზი, ქალური და მიმზიდველია. მისი მეტაფორა მრავალნაირია: სახიერი და იდუმალი, გახარებული და მგლოვიარე, ამაყი და თავმდაბალი, სამართლიანი და მკაცრი; და რაც მისეულია - სიყვარულისა და სიკეთის ჩუქურთმად გამოძერწილი უკეთესი მომავლის იმე-



დად აღავსებს მკითხველს. მის პოეზიაში იგრძნობა ქართველი ქალის თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, შინაგანი მაღალი სულიერება. პოეტის მიზანია და მისი შინაგანი მოწოდებაა შეაგნებინოს თავის თანამემამულეთ, რომ ქართველი კაცის მთავარ დანიშნულებას უფლის სიყვარული, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული წარმოადგენს. ამ მისიის აღსრულებისთვის მან უნდა იღვაწოს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება.

პოეტის ოცნება არის სიყვარულად გადაქცევა, წუთისოფლის მიერ „ატირებული“ ბედნიერია მაინც. საქართველოზე ფიქრში და თვალსაწიერში ჰპოვებს შვებას და როგორც პოეტი ამბობს: „შენა ხარ ჩემი თანამგრძნობი უკვდავი სული“. სამშობლოზე

და მოყვასის სიყვარულზე გულანთებულ პოეტი მოძმეს ერთგულად ეხილება:

„ყველა თქვენგანში სიბრძნეს ვპოვებდი  
შევავედრებდი ღმერთს,  
ზეცას საკინძეს ერთად შევხსნიდით,  
ჩაგიხუტებდით მზეს“.

თავისი ისტორიული ფესვებისა და მშობელი მიწის დიდი მოსიყვარულე პოეტი - გულიკო გაბაიძე აცხადებს:

„ერთად  
მოვდივართ  
სხალთა-ხინანის  
მორაკრაკე  
ნაკალულებად,  
ერთ  
დიდ  
მდინარედ,  
მთიდან  
ბარში  
სიყვარულად  
გადმომდინარედ“.

ქვეყნის სჭირდება ეროვნული სულისკვთების აღამიანები, ისეთები რომლებიც საქართველოსთვის ერთგულად იმოღვაწიებენ. პოეტი გმირის მოლოდინშია: „ისევ წვიმს.../ ქარი ქრის.../ სული თრთის.../ დღე ელის გმირს“.

სამშობლოსთვის კეთილ მომავალზე მომზირალი პოეტი ერთგან წერს: „ვინატრე ბედნიერი საქართველო, მოწმენდილი ცა და მომავალი თაობის მოციმციმე თვალები, ვინატრე ქართველთა გამთლიანება და ერთად ყოფნით გახარებული აღამიანების სიცილიკისკისი, ვინატრე ყველაფერი ზღაპრული, მაგრამ ამაოდ...“. არსებული რეალობა პოეტს აფიქრებინებს, „რაც აღამიანისთვის შეუძლებელია, ის ღმერთისთვის შესაძლებელია“:

„სამყარო გადახალისდა...  
ღმერთის სიახლოვე იგრძნო...  
სული და გული გაუთბა...  
მომავლის იმედი გაუჩნდა...“.

დიდი და მრავალფეროვანია გულიკო გაბაიძის შემოქმედება. მრავლისმეტყველია მისი პოეტური აღქმა. ეროვნული სულიერებით ნასაზრდოებ მის პოეზიას უკვდავების უჭკნობი გვირგვინი ამკობს.



\* \* \*

სულს და სიცოცხლეს განაგებს ღმერთი,  
მისით სულდგმულობს კაციც, ბუნებაც.  
ღმერთო, გამჩენო, ამ სამყაროში  
ლამაზ სიცოცხლის მოგვეც უფლება.

### დამალოცვინე, უფალო

უფალო,  
დამალოცვინე  
იმ ბრძენ ქართველთა სულები,  
ვისაც სამშობლო უყვარდათ,  
მისთვის უბგერდათ გულები.  
უფალო,  
დამალოცვინე  
ქართველის ძე და ასული,  
სამშობლოს სიყვარულისთვის,  
მტერთან გმირულად გასული.  
უფალო,  
დამალოცვინე  
ქართული ენის მედროშე,  
დამალოცვინე ქართველი  
და შეძღვე თუ გინდ გამთოშე.  
უფალო,  
დამალოცვინე  
ის პირტიტველა ბიჭები,  
ვისაც გაყინულ შუბლზედაც,  
არ დასცემია ცრემლები.

უფალო, დამალოცვინე  
იმათი ჯიშში, ჯილაგი,  
ვის გულით უყვართ სამშობლო  
და წინაპართა ალაგი.  
უფალო,  
დამალოცვინე  
ქართული ვაზის მტევნები,  
მე საქართველოს სოფლები  
ალავერდი და ვერნები,  
უფალო,  
დამალოცვინე  
ქართული მიწის ნაყოფი,  
ვინაც ალაღად მიირთვას,  
სტუმრისთვის მცირე სამყოფი.  
უფალო,  
დამალოცვინე  
ქართველ გმირების დედეები.  
დამალოცვინე სამშობლოს  
მშვიდობიანი დედეები.

## ვეფერები

ვეფერები  
ნაფეხურებს,  
წინაპართა სიბრძნის ხნულებს.  
ვეფერები  
ჩემი ერის  
ახალსა და ძველსა წყლულებს.  
ვეფერები!  
ვეფერები!  
წინაპართა წმინდა სულებს,  
საქართველოს გმირულ წარსულს,  
ბაზალეთის დაჭრილ გულებს.  
ვეფერები  
ძვალთშესალაგს,

სალოცავს და ტაძრის კედლებს,  
ჩემს სამშობლოს კლდეს და ლელეს,  
გმირთა სისხლით მორწყულ ველებს,  
ვეფერები  
ოშკს და ხახულს,  
ალავერდს და სვეტიცხოველს,  
საკუთარს თუ გასხვისებულს,  
ქართულ მიწის მტკაველს ყოველს.  
ვეფერები!  
რასაც ჰქვია  
ქართული და აზრიანი  
და სამშობლო რითაც არის,  
ცად აწვდილი და მზიანი.

## ეს აჭარის განძია

დიდაჭარა, რიყეთი,  
ვერნები და ხიხანი,  
ღორჯომი და კორტოხი,  
ხიხადირი, თხილნარი,  
ოლადაური, დღვანი,  
უჩაშბა და მერიისი.  
ნაღვარევი, კვატია,  
ახალშენი, ხერთვისი,  
აჭყვისთავი, დანდალო,  
ხუცუბანი, ბუკნარი,  
ცხმორისი და გონიო,  
ჭვანა, ტბეთი, შუბანი...  
ჩოლოქიდან, გოდერძი  
ეს სოფლების ჯარია  
ეს აჭარის განძია  
საქართველოს თვალია.  
აქ დაირწა აკვანი  
ჩვენი სულის ზეიმის,  
შერიფის და მეძედის  
ტბელისა და სელიძის.  
ღრო დაგვიდგა სადარო,  
განსჯისა და დაფიქრების.

მადლის მკისა-თესვისა  
და სიკეთის მიგების,  
ლომას მთა და გომანი,  
ბეშუმი და ჯარგვალი,  
გრძელგორი და თეთრობი,  
ჩირუხი და ჯინალი.  
დათოვლილი პერანგა,  
ხინოს მთა და კარჩხალი,  
ოღრო-ჩოღრო სერები,  
ცად აწვდილი ანძები,  
დაბურული ტყეები,  
ასწლოვანი კაკლები,  
დათქორილი ჭალები  
მობიბინე ყანები.  
წყაროები ანკარა  
და ცვრიანი ბალახი,  
ეს სამშობლო ლამაზი  
ასე სხვაგან არ არი.  
ხალხი მხნე და ზვიადი,  
მასპინძელი, ალალი,  
პირმცინარე, მღიმაღე,  
სხვაგან არსად არ არი.



## გაყოფილი სამშობლო

რამდენ რამეს იტანდა  
მუჭის ტოლა შავშეთი,  
ხიხანი და ვარძია,  
წართმეული კლარჯეთი.  
რამდენ რამეს იტანდა,  
ჩემი კუთხე აჭარა.  
ღმერთო, შენ გაანათლე,  
ვინც სწორი გზით ატარა.  
მე ერთ რამეს მკითხავდა,  
მეფე ქალი, თამარი:  
ერთიანი, ძლიერი,  
საქართველო სად არი?!  
მე ერთ რამეს მკითხავდა,  
სააკაძე ბატონი:  
საქართველოს დღეს თუ ჰყავს  
დავითით პატრონი?

რამდენ რამეს მეტყოდა,  
ერის შვილთა სახელით,  
დიდი შოთა რუსთველი,  
ტბელი, ჩვენი, სხალთელი.  
რამდენ რამეს მეტყოდა  
ვაჟა ჩარგლის გულიდან,  
ერის მამა ილია  
დაკოდილი გულიდან.  
რამდენ ტანჯვას გაუძლეს  
სხალთის ტაძრის კედლებმა,  
თავმოჭრილმა სელიმმა,  
დახვრეტილმა მემედმა.  
რამდენ ტკივილს მანიჭებს  
დაკარგული მამული,  
გაყოფილი სამშობლო,  
სიძულვილი ქართული.

## საკუთარ თავთან ფიქრი ბაასი

კიბის თავზე ჩამოჯდომა  
თუ ბუხართან ჩამუხლვა  
განვლილი და გასავლელი გზის  
ფიქრთან ასოცირდება.  
ხან ტკივილთან, ხან სევდასთან,  
სიყვარულთან, ოჯახთან და  
ღარღთან ასოცირდება.  
ქვეყნის ტრიალთან, ორომტრიალთან,  
მზის ამოსვლასთან, მზის ჩასვლასთან და  
საკუთარ თავთან ასოცირდება.  
ქართულ ანბანთან, წესთან, ადათთან,  
მთასთან, ბილიკთან, ზღაპარ-არაკთან,  
ნამდვილ ამბავთან ასოცირდება.  
მცხეთა-თბილისთან, გრემ-იყალბოსთან,  
გელათ-ბაგრატთან, ტაო-კლარჯეთთან  
ხიხან-სხალთასთან ასოცირდება.

ბაზალეთის და მარაბდის ომთან,  
დიდგორისა და კრწანისის ომთან.  
უკვე გამართულ და გასამართ ომთან,  
წაგებულსა და მოგებულ ომთან,  
მოსაგებ ომთან ასოცირდება.  
ალაზნის ველთან, რიონის პირთან,  
თეთნულდ-უშბასთან, გოდერძ-რიკოთთან  
კავკასიონთან ასოცირდება.  
შოთას რითმებთან, ტატოს მერანთან,  
ერის მამასთან, აკაკის ჩანგთან,  
ვაჟას არწივთან ასოცირდება.  
ვახტანგ მეფესთან, დავით მეფესთან,  
ახალ მეფესთან ასოცირდება.  
განსჯა-ფიქრები აკვნის რწევასთან,  
ძესთან, ასულთან, ბაღლის ჟღურტულთან  
და სიცოცხლესთან ასოცირდება.





„აღზრდის საძირკველი

– კეთილი და ბოროტი საწყისის ბენეფისის განსაზღვრა“

(არჩილ ბერიძის წიგნის „აღზრდის საძირკველი“-ს გამო)



არჩილ ბერიძე

ყველაზე დიდი პრობლემები, რაც კაცობრიობას განუცდია არასწორი აღზრდის შედეგია. ქრისტეშობამდე აღზრდა იმდენად აცილდა პირველ საწყისს, რომ გადარჩენა სასწაულის გარეშე შეუძლებელი იყო. მიუხედავად

ცობის, სიბნელის ნარჩენები. ეს სიბნელე და უვიცობა გამოხატულებაა იმ ფაქტისა, რომ დანგრეულია თვით აზროვნების შესაძლებლობის ენობრივი ველი“ (მ.მამარდ,1992.8) ამ ეპოქის ტვირთი ერთეულებს უნდა ეტვირთათ. ეს ტვირთი, ტვირთი მომავლის გადარჩენისა იმდენად მძიმე იყო, რომ ბევრმა საწყისშივე თქვა უარი, ბევრმა შუა გზაზე მიატოვა. ამ ტვირთის ზიდვის პასუხისმგებლობა აიღო და მომავალი გასაწირად არ გაიმეტა არჩილ ღურსუნის ძე ბერიძემ. ამ პასუხისმგებლობის გვირგვინად დაგვიტოვა მნიშვნელოვანი მონოგრაფია და სწორი აღზრდის შთაგონების უდიდესი წყარო „აღზრდის საძირკველი“.

ჩვენსწვლთაარციცხვამდელი არსებული აღზრდის ფილოსოფიური სკოლებისა, იმდროინდელი საზოგადოება ცოდნის დაგროვებით უკვე ჩიხში შედიოდა. საკმარისი არ დარჩა ის სიბრძნე, რასაც დედამიწის პირველი მოაზროვნენი შთააგონებდნენ. გონიერ არსებათა განვითარების ბოროტმა გამოვლენამ შვა ქრისტე-უნივერსალური ჭეშმარიტება, სამყაროს მამოძრავებელ სულთან მიახლოების ყველაზე ზუსტი გზა.

„შვილს მტრულად მოექცე-მოყვრად გამოგადგება?!“ ბრძანებდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი არჩილ ბერიძე.

ქართველი კაცის სულში კაცთა მოღვმის წინაშე უანგარო პასუხისმგებლობა გენეტიკურ კოდში იქნა ჩადებული. ეს კოდი ჩიხში უნდა მოექცია კომუნისტურ ეპოქას. ამ კოდის გადაფარვას შეეცადა სოციალისტური მშენებლობის იდეა. ზუსტადმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგია საშინელი რეპრესიები, ეროვნულ, ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული იდეოლოგიების დევნა. „ჩვენში დაილექა სისასტიკის, საღიზმის, ძალადობის და, რაც მთვარია, უვი-

„დაახლოებით 100 წლის წინათ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შემდეგში მსოფლიო სახელის მქონე ფსიქოლოგი, აკად.დ.უზნაძე თავის ნაშრომში „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“ შემოფოთებასა და წუხილს გამოთქვამდა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებების გათიშულობის გამო და ამ პრობლემის გადაწყვეტის იმედს მომავალზე ამყარებდა.

არჩილ ბერიძის მონოგრაფიას („აღზრდის საძირკველი“) ამ მხრივ ფაქტობრივად ანალოგი არ გააჩნია. ნაშრომიდან კარგად ჩანს, თუ როგორ შეიძლება ფსიქოლოგიურმა, პედაგოგიურმა და ფსიქოფიზიოლოგიურმა მეცნიერებებმა გადალახონ თავიანთი

ე.წ. „კარჩაკეტილობის“ საზღვრები და გადაესკვნან ერთმანეთს აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად, რაზეც ოცნებობდა ბევრი გამოჩენილი მეცნიერი: ფსიქოლოგი დ.უზნაძე, ფიზიოლოგი ი.პავლოვი, პედაგოგიკის კლასიკოსი კ.უშინსკი და სხვები“, წერს ნოდარ ბარამიძე („აღზრდის საძიარკველი“, 2009.4) ასევე ნ.ბარამიძე აღნიშნავს, რომ „აკადემიკოსი ი.პავლოვი, ნობელის პრემიის ლაურიატი, ამბობდა, რომ დადგება დრო, როცა ფიზიოლოგიური მეცნიერებების მონაპოვრების გამოყენება „იხსნის ადამიანს იმ ამჟამინდელი წყვდიადისაგან და განწმენდს მას არსებული სირცხვილისაგან, რომელიც სუფევს ადამიანებს შორის ურთიერთობის სფეროში“ (ბ.ს.უ. გაზ. 2010.3)

არჩილ ღურსუნის ძე ბერიძე დაიბადა 1936 წელს. 1956 წელს უჩაბის საშუალო სკოლა დაამთავრა ვერცხლის მედალზე და იმავე წელს ჩაირიცხა შოთა რუსთველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს, მიენიჭა რუსული და გერმანული ენის მასწავლებლის წოდება და კვალიფიკაცია. პედაგოგიურ მუშაობას მშობლიურ წაბლანის 8 წლიან სკოლაში შეუდგა, სადაც 5 წელი იმუშავა რუსული და გერმანული ენის მასწავლებლად.

აბერიძე 1966 წელს გადაყვანილ იქნა შუახევის რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტად, მეთოდური კაბინეტის გამგედ, მუშაობდა განათლების მუშაკთა პროფკავშირის შუახევის რაიონული საბჭოს თავჯდომარედ. მხოლოდ 5 წლიანი პედაგოგიური გამოცდილების შემდეგ მის მიერ დამოუკიდებლად შესრულებული ორი მეცნიერული ნაშრომის საფუძველზე 1967 წელს დაიშვა საკანდიდატო მინიმუმის ჩასაბარებელ გამოცდაზე.

1971 წლიდან მუშაობდა განათლების განყოფილების მეთოდური განყოფილების გამგედ, საიდანაც 1980 წელს გადაყვანილ იქნა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მეთოდური კაბინეტის გამგედ, შემდეგ კი ამავე ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის გამგედ. 1972 წლიდან პარალელურად კითხულობს ლექციებს შ. რუსთველის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ფსიქოლოგიაში.

1979 წელს ქ.მოსკოვში დაიცვა დისერტაცია თემაზე „წერის ჩვევების შემუშავებისა და ფუნქციონირების ფსიქოლოგიური თავისებურებანი“, რომელშიც აბერიძის მიერ გადაწყვეტილ იქნა საერთაშორისო მნიშვნელობის რამდენიმე პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური პრობლემა, რის საფუძველზე მას მიენიჭა მეცნიერული ხარისხი – ფსიქოლოგიაში.

„1980-2006 წლებში იღწვოდა აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, დასაწყისში ხელმძღვანელი კადრების მეთოდკაბინეტის გამგედ, ხოლო შემდეგ – ფსიქოლოგიის მეთოდური კაბინეტის გამგედ. იყო მასწავლებლებისა და განათლების დარგის სხვა მუშაკების დამხმარე, თანამდგომი, მეგზური და მეგობარი. ვინ მოთვლის აჭარა-გურიის ზონის რამდენ მასწავლებელს დაეხმარა პროფესიულ დაოსტატებაში. რამდენ ახალბედა პედაგოგს გაუწია მეგზურობა ბავშვის სულის მართვის რთული ხელოვნების დაუფლებაში. დიდ საგანმანათლებლო ფასად ღირდა შემოქმედი პედაგოგისა და მეცნიერის აბერიძის თეორიული და პრაქტიკული საკითხებით გაჯერებული, პრობლემური სიტუაციებით დაბუნტული შთამავლებელი ლექციების მოსმენაც. ამიტომაც გამორჩეულად უყვარდათ სტუდენტებს და ჯეროვან პატივს მიაგებდნენ მას“ (გაზ. აჭ. 2013.21)

მისი ახლებური აზროვნება დევნას განიცდიდა, რადგანაც ის ერთგვარად ცდილობდა აღედგინა ის კავშირი, რაც „მარქსისტული ფილოსოფიის“ ბატონობის პერიოდში შეგნებულად იქნა გაწყვეტილი.

თავისუფლება, როგორც ტერმინი და მცნება, როგორც ასოციაცია ამოღებულ იყო როგორც ფილოსოფიის, ასევე ფსიქოლოგია პედაგოგიკის სწავლებიდან, რისი დეფიციტიც შეინიშნება „ყოფილ საბჭოთა ადამიანში“. თავისუფლების, როგორც ცნების ფილოსოფიური ანალიზი საკმარისი არ იყო ახალი თაობებისთვის, რადგან უშუალოდ სწორი აღზრდიდან, როგორც ფენომენი ისე იბადება! ამიტომ ჭეშმარიტ იდეათა რეაბილიტაცია ვიდაცებს უნდა ეტვირთათ. არჩილ ბერიძე

სწორედ ამ სპეციფიკური მიმართულებით იყო გამორჩეული. ამიტომაც თავის წიგნში ბევრ დამკვირდებულ სისტემას კითვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მკითხველს დამოუკიდებელი დასკვნების გამოტანის შანსს უტოვებს. ერთგვარად სიმართლეზე ლაგამამოდებული ეპოქიდან სინათლის დასანახად აუცილებელი იყო აღზრდის საწყის ეტაპშივე ჩადებულ ყოფილიყო ისეთი სისტემური მიდგომები თავისუფლების მუხტის გაგებისა და ნებსით თუ უნებლიეთ მისი შეცნობისა, რომლის საფუძველზეც თაობა ფერისცვალებას და თავისუფალ გარემოში აზროვნებას შესძლებდა.

2009 წელს ილია თურმანიძის ინიციატივითა და ორგანიზაციით გამოიცა არჩილ ბერიძის ვრცელი ნაშრომი, მონოგრაფია— „აღზრდის საძირკველი“, რის შემდეგაც არჩილ ბერიძეს მიენიჭა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათ აკადემიური დოქტორის წოდება. „ნაშრომი შესრულებულია სამი მეცნიერების ფსიქოლოგიის, პედაგოგიისა და ფიზიოლოგიის მონაპოვართა საფუძველზე. ავტორი იკვლევს ურთულეს პერიოდს ფეხის ადგამდე და ენის ამოდგამდე ასაკის ბავშვის აღზრდის პრობლემებს. ეს ჭეშმარიტად ურთულესი პერიოდია. ფეხის ადგამდე და ენის ამოდგამდე ასაკის ბავშვთა აღზრდის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა ქართულ ენაზე ადრე არ არსებობდა. არჩილ ბერიძემ პირველმა სცადა ამ სამუშაოს შესრულება.“ აღნიშნავს იური ბიბლიეიშვილი(ბსუ.გაზ2010.3)

„ნეტავი ერთი წიგნი დამეწერა და ბატონი არჩილის „აღზრდის საძირკველი“-თანაო“, ამბობს პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ბასილაძე. (ბსუ.გაზ2010.3)

ა.ბერიძე განსაკუთრებით მაღლიერებით მოიხსენიებს თავის წიგნში აკადემიკოს შალვა ამონაშვილს.ის აღნიშნავს: „მისი შემართებული და შეურიგებელი მოღვაწეობა წარმოადგენდა ჩემთვის პედაგოგიური აზროვნების შუქურას“ („აღ. საძ.“ 2009.7). ასევე მაღლიერებით მოიხსენიებს აჭარის განათლების მაშინდელ მინისტრს, ვახტანგ წულუკიძეს.

„ნაშრომი შეიცავს 413 გვერდსა და 33 თავს. ამ სქელტანიან ნაშრომში დაწვრილებით, მეცნიერული კეთისინდისიერე-



არჩილ ბერიძე და მისი მეუღლე შუშანა ბერიძე

ბით არის გაშუქებული ენის ამოდგამდე და ფეხის ადგამდე ასაკის ბავშვში სოციალურად დადებითი თვისებების შექმნაების საკითხი, რომელიც დღემდე პრობლემად იყო ქცეული. ავტორს საკვლევი პრობლემა გაშუქებული აქვს ისტორიულ ასპექტში ანტიკური ეპოქიდან (დემოკრიტე, პლუტარქე, პლატონი, არისტოტელე, კვინტილიანე) დღემდე და კლასიკოსი პედაგოგების გამოცდილებებზე დაყრდნობით მოცემული აქვს პრობლემის გადაჭრისათვის გარკვეული რეკომენდაციები და დასკვნები“ (ბსუ.გაზ2010.3)

„ვფიქრობთ, ა.ბერიძის მონოგრაფიის სახით მშობლებსა და აღმზრდელებს ექნებათ დაბადებიდან ენის ამოდგამდე პერიოდში ბავშვის აღზრდის (მასში სოციალურად დადებითი თვისებების შექმნაების) საიმედო, ამასთან უაღრესად ორიგინალური მრჩეველი და დამრიგებელი“ აღნიშნავს სრული პროფესორი ნოდარ ბარამიძე (ბსუ. გაზ 2010.3)

„არის წიგნები, რომელთა გამოსვლისთანავე ივრძნობა, რომ ახალი, ორიგინალური მოსაზრებები მოდის მეცნიერებაში. არჩილ ბერიძის „აღზრდის საძირკველი“



არჩილ ბერიძის შვილები: დავითი, თამარი და ზეინაბი

იმდენ მეცნიერულ სიახლეს შეიცავს, რომ არ შეეცდებით, თუ მას ასეთი წიგნების რიცხვს მივაკუთვნებთ.


ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმდენად ორიგინალურია, რომ მკითხველს შეიძლება ის საეჭვოდაც კი მოეჩვენოს, რადგან არ შეესაბამება აღზრდის ამჟამინდელ პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტრადიციულ შეხედულებებს. მაგრამ ეს ეჭვი მაშინვე მოიხსნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ წარმოდგენილი დასკვნები და მოსაზრებები ავტორის ხანგრძლივი, უაღრესად ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგია და ისეთი წყაროების გულმოდგინე ანალიზის საფუძველზეა მიღებული, რომელთგანაც ბევრი მეცნიერების ოქროს ფონდშია შესული, რაც ისედაც ორიგინალური ნაშრომებისათვის საერთოდ დამახასიათებელია” (ბსუ.გაზ2010.3)

არჩილ ბერიძის მიერ ადრე შესრულებული კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგები დანერგულია უცხოეთში რამდენიმე ქვეყნის სკოლაში.

„ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ის მეცნიერული კეთილსინდისიერებით ეკიდება მეცნიერებაში ავტორიტეტების მოსაზრებებს მაშინაც, როცა მათ არ ეთანხმება“, ამბობს იური ბიბილეიშვილი. (ბსუ.გაზ2010.3)

ა. ბერიძის წიგნის პარაგრაფის „აღზრდის მეცნიერულ სათავეებთან“ იწყებს ჯონ ლოკისა (1632-1704) და ჯან-ჟაკ რუსოს (1712-1778) შეხედულებებით, რის გამოც გაკვირვებას გამოთქვამს იური ბიბილეიშვილი. მისი აზრით „აღზრდის მეცნიერულ სათავეებთან დგას სწორედ იან ამოს კომენსკი (1592-1670)“ (ბსუ. გაზ2010.3) მახსენდება მსოფლიო გენიის ალბერტ აინშტაინის მოსაზრება, როცა აღნიშნავს: „დოსტოევსკი უფრო მეტს მძღვეს, ვიდრე რომელიმე მოაზროვნე, ვიდრე გაუსი!“ (აინშ. 1966.99). შეიძლება აქედან გამოიკვეთოს დასკვნა, რომ შთაგონების წყარო ყველასთვის ინდივიდუალურია და როცა დასკვნები საყოველთოდ მიღებულის საფუძველზე კეთდება, მაშინ დასკვნა მოკლებულია ინდივიდუალობას და თავისუფლებას. სწორედ გავლენებისგან თავისდაღწევაა პროგრესისა და შესაბამისად სიცოცხლის ნიშანი.

იური ბიბილეიშვილს აბერიძის მიერ იან ამოს კომენსკის კრიტიკულ შეფასებისათვის მოჰყავს ციტატა, როცა აბერიძე წერს: „მიუხედავად კაცობრიობისადმი ეჩვენებინა ადამიანთა მანკიერი თვისებებისადმი თავის დაღწევის საიმელო გზები, იგი ვერ მივიდა ადამიანებს შორის დაპირისპირებისა და ერთმანეთის მიმართ შუღლისა



არჩილ ბერიძე

და სიძულვილის, ერთმანეთს შორის კონფლიქტის აღმძვრელი საწყისი ფაქტორის ძიებამდე“ (ბსუ. გაზ 2010.3)

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ბასილაძეს მოჰყავს არჩილ ბერიძის ციტირება, რომ „მე-19 საუკუნის მეორე ნახევარიდან, როცა ფსიქოლოგია გამოეყო ფილოსოფიას და დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა, მოზარდის აღზრდის საქმე პედაგოგიური ფსიქოლოგიის ღვიძლ საქმედ იქცა“. (ბსუ. გაზ 2010.3) არჩილ ბერიძეს მოჰყავს რუსოს გამონათქვამები რომან ტრაქტატიდან „ემილი ანუ, აღზრდის შესახებ“ – „თუ როგორი იქნება მცენარე, მოვლახეა დამოკიდებული. თუ როგორი იქნება ადამიანი, აღზრდაზე დამოკიდებული“ და დასძენს: „ადამიანის აღზრდა მის დაბადებისთანავე იწყება“ (ბსუ. გაზ 2010.3)

არჩილ ბერიძეს ადამიანები, ვისაც მასთან თუნდაც მცირედი ურთიერთობა ჰქონიათ მოიხსენიებენ ადამიანურობის, თავმდაბლობის და უანგარობის ეტალონად. საზოგადოების რაღაც ნაწილი გრძნობდა მასში ადამიანურობის უმაღლეს მახასიათებლებს, მაგრამ ძნელი იყო იმის დანახვა, რომ მომავალ მეცნიერს უკვე დიდი ხნით გასწრებული ჰქონდა არსებულ ცნობიერებაზე.

„უპირველეს ყოვლისა, ჩვენ საკუთრ თავთან გვაქვს საქმე, რომ თვითონა ვართ ტოტალიტარიზმის სუბიექტები, მისი ჩვევე-

ბით დამძიმებულნი - მის მიერ დანგრეული აზროვნებით ვაზროვნებთ, მის მიერ დანგრეული ცნობიერებით ვაცნობიერებთ ყველაფერს. (მ.მამარდ. 1992.10)

იმ დროში საქართველოში მისი ნაშრომები იბლოკებოდა და იდევენებოდა, ისე როგორც მსოფლიო დონის ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის ნაშრომები.

ალბათ ამიტომაც პროგრესულ, ნიჭიერ და რჩეულ მამულიშვილთათვის არჩილ ბერიძე აღმზრდელად, მეცნიერად და სულში სინათლის ძიება დამკვიდრების შთოცნებად ითვლება.

როცა მის პიროვნულ ხასიათს ვუსადავებთ მისი შემოქმედების მწვერვალს, ჩვენთვის ნაცნობ მონოგრაფიას „აღზრდის საძირკველს“, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის იყო თავისუფლების მოძღვრალი და სინამდვილეში უარყოფდა ადამიანის განვითარების ყველა იმ გზას, რომელიც ძალადობით და ე.ი სულიერი დაცლილობით შემოიფარგლებოდა და შეიძლება ითქვას, დეგრადირების მიზეზადაც მიაჩნდა. როცა ვკითხვლობთ აღზრდის საძირკველს, შეიძლება დავინახოთ მკაფიო საერთო ხაზი ქრისტიანული აღზრდის იდეოლოგიასთან.

„ცალკე უნდა აღინიშნოს რელიგიური აღზრდისადმი ავტორის დამოკიდებულების შესახებ. როგორც წესი, მეცნიერული მონოგრაფიების ავტორები ნაკლებად, ან სრულად არ უთმობენ ადგილს თვიანთ ნაშრომებში რელიგიური აღზრდის ტრადიციებს. ამ ცალმხვრიობას არ იმეორებს ბატონი არჩილ ბერიძე და ნაშრომის შესავალ ნაწილში მიუთითებს, რომ „პირველი, რომელმაც თავის უმთავრეს და უზენაეს მიზნად ადამიანებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას, მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთსიყვარულის უზრუნველყოფა და ბოროტი საწყისისაგან ადამიანის განთავისუფლება დაისახა, იყო და არის რელიგიური მოძღვრება“. ამ მომენტზე ყურადღების გამახვილებით ავტორი აფართოებს მკითხველის თვალსაწიერს აღზრდის პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობაზე“ (ბსუ.გაზ 2010.3). წიგნში ციტირებულ ლიტერატურაში იკვეთება „ახალი აღქმა და ფსალმუნები“

2010 წლის 2 ნოემბერს, რუსთველის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტბელ აბსერიდის აუდიტორიაში, სოციალურ მეცნიერებათ დეპარტამენტის ორგანიზებით გამართულ უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ აბერიდის მონოგრაფიის „აღზრდის საძირკველი“ და პროფესორ გურამ ჩაგანავას ექპერიმენტული ნაშრომის პრეზენტაცია-განხილვაზე „აღზრდის საძირკველში“ განხილულ მეცნიერულ სიახლეებიდან სოციალურ მეცნიერებათ დეპარტამენტის ხელმძღვანელი სრული პროფესორი ნოდარ ბარამიძე აღნიშნავს, რომ „კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების შესაბამისად შემუშავებულია და ნაშრომში წარმოდგენილია აღმზრდელის მოქმედების სათანადოდ დასაბუთებული წესები და რეკომენდაციები, ბოროტი საწყისისაგან ადამიანის განთავისუფლების ორიგინალური ტექნოლოგია“ (ბსუ. გაზ2010.3)

ერთგვარად ყველამ ვიცით, თავისუფალი ადამიანი ვერ იქნება ურწმუნო ადამიანი თავისუფლების ფუნდამენტური გაგებით. მისი მრავალწლიანი მუხლმუხურელი შრომაც დასტურია მსოფლიო სააღმზრდელი სისიტემის დრომოჭმული ბურუსიდან გამოსვლისა. მან მიაგნო საფუძველს: ბავშვობიდან, მუცლადყოფნიდან დაეწყო ადამიანის განვითარებაზე ხელშეწყობა პირვერიგში: **ხელშეუშლელი-ბით!**

როცა ვაკვირდებით მასთან ფიზიკური ურთიერთობიდან შემორჩენილ ასოციაციებს, ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ის შინაგანი განწყობით ჩვენთვის უცნობ სიმაღლეზე იდგა და შესაბამისად გარდა მისი ძალიან ადამიანური გამოვლინებებისა (უაღრესად თავმდაბალი, კეთილშობილი, მშვიდი) საზოგადოებას მისი არ ესმოდა. „აღზრდის საძირკვილიდან“ დაწყებული მისეული სისტემა რაც მეტად გაცხადდება, მით მეტად შეიქმნება მისი პრაქტიკაში აქტიური დანერგვის საჭიროება.

ძნელია მიახლოებით მაინც ილაპარაკო იმაზე, თუ რამდენად დაუღლავი, მძიმე შრომის ხარჯზე მოხდა იმ დასკვნების გამოტანა, რომლებსაც საფუძველად უდევს გულდასმით შესწავლილი მსოფლიო სააღმზრდელი სისიტემების ყველა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურა.



არჩილ ბერიძე მეგობრებთან ერთად

„მისმა დაუღალავმა შრომამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ მისცა შთაგონება საღი თვალთ გადაეხედა კაცობრიობის ისტორიაში არსებულ მოსაზრებებს აღნიშნული საკითხების ირგვლივ და სრუფასოვნად შეავსო ის საიდუმლოება (ბავშვის ჩანასახიდან სასკოლო ასაკამდის) რომელიც შემდგომ პერიოდში მკვეთრად ან მალულად იჩენს თავს, რისი კაცობრიობის განვითარების, სააღმზრდელი სისიტემების ჩამოყალიბების და მათი მოქმედების უშედეგობის, მეთოდთა არასაკამრისობის ისტორიულად არა ერთი მაგალითი გვაქვს.“

წიგნში „აღზრდის საძირკველი“, ციტირებულ ლიტერატურაში ამოიკითხავთ არამარტო ფსიქოლოგიაში ცნობილ უამრავ სამეცნიერო ლიტერატურას როგორც ქართულს, ასევე ქართულ ენაზე თარგმნილს, ასევე რუსულ ლიტერატურას, რაშიც ცხადია მას დაეხმარა რუსული ენის (ასევე ფლობდა გერმანულს) უბადლო ცოდნა.

საბჭოთა იდეოლოგიის პერიოდში პედაგოგიური მეცნიერება გარკვეულწილად ბურუსში იყო. მეცნიერება და რელიგია თითქმის სრულიად იყო გათიშული. შე-

საბამისად სისტემა ადამიანებში (იგულისხმება საბჭოთა ადამიანი) ნაწილობრივ ვერ უზრუნველყოფდა ღრმად ქართულისთვის, ეროვნული მსოფხედველობის შესაბამისი სტიმულის მიცემას. ორიგინალურად მიიჩნევს სტიმულის აბერიდისეულ განმარტებას ი.ბიბლეიშვილი: „სტიმული ეს არის ზემოქმედება, რომელსაც გარკვეული მოთხოვნილებების მქონე სუბიექტის მიერ შემთხვევით განხორციელებული იმ ქცევის განმტკიცება შეუძლია, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს“ (ბსუ. გაზ. 2010.3)

ასეთი პატარა კუთხისთვის, როგორც აჭარაა, მსგავსი ადამიანის დაბადება წარმოუდგენლად დიდი საჩუქარია. ბუნებრივია, რომ გამოითქვა მოსაზრება, სადაც თვითონ დაიბადა, ყველა ახალი თაობა, ვინც ადამიანურობითა და გონებრივი მონაცემებით გამოირჩევა, არჩილ ბერიძის შთომავალია.

მეცნიერულად ღრმად გააზრებულად აქვს ჩამოყალიბებული სააღმზრდელო სისტემის სულ სხვა საწყისებზე დაფუძნების აუცილებლობა და ხედვა იმისა რომ ტექნიკური და ფსიქოლოგიური რევოლუციის პირობებში იმდენად ძლიერია და აუცილებელი მის მიერ შენიშნული და მეცნიერულად აღმოჩენილი გზების გათვალისწინება და სისტემაში მოყვანა სახელმწიფოებრივ დონეზე და იმდენად დიდია მისი საჭიროება, როგორც ცოცხალი ორგანიზმისთვის ჟანგბადი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მან მოგვცა მზამზარეულო რეცეპტები, ჩვენ ისლა დაგვრჩენია პირველრიგში არ დავარღვიოთ ისინი, ისე როგორც მედიცინის მუშაკთა უპირველესი ამოცანაა, პირველრიგში არ ავნოს პაციენტს!

ადამიანები სისუსტის გამო ველოდებით შექებას იმათგან ვისაც ჩვენ სიმაღლეზე მაღლად ვთვლით და ასევე იმათგან, ვისზეც თავს მაღლა ვაყენებთ. ეს ბუნებრივი, ეგოდან მოდის და ამბიცია ღირსების სურვილიდან გამომდინარეობს. საოცარი ისაა, რომ ამ უდიდესი მეცნიერისა და კაცის შინაგანი გამოხატულება ამისგან უკვე თავისუფალი იყო. თავისუფალი იყო იმისაგან, რომ მისთვის გაეგოთ და ის მაღლა დაეყენებინათ. ამიტომაც მუდმივად დამალული იყო

საკუთარი ბუმბერაზობის ქვეშ, რათა სხვას ეს არ დაენახა. როცა ვაკვირდებით მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, დაწყებული ოჯახიდან, საზოგადოების მისდამი მოკრძალებიდან, იკვეთება, რომ მას საკუთრი თავის დამარცხების სურვილი იმდენად ადრეულ ასაკში გასჩენია, ბავშვობიდანვე დაუწყია ცხოვრების მართალი წიგნის წერა.

მოვიყვან ნაწყვეტს არჩილ ბერიძის მონოგრაფიიდან – „აღძრდის საძირკველი“.

**„შვილს მტრულად მოექცა-მოყვრად გამოვადგებაო“?!**

ჩვენში არსებობს ანდაზა: „შვილს მტრულად მოექცა, მოყვრად გამოვადგებაო“. რა თქმა უნდა ეს ანდაზა, პირველ რიგში, დედებსა და მამებს ეხება. იგი შვილის დამრიგებელი და გამაფრთხილებელია. მშობლები მასში სრულ სიმართლეს ხედავენ და ენის ამოდგმისა და ფეხის ადგმის შემდეგ, სწორედ, ხშირად ამ ანდაზის შესაბამისად ექცევიან ბავშვებს. მაგრამ ეს ანდაზა მხოლოდ ნაწილობრივ შეიცავს სიმართლეს, ვიმეორებთ-მხოლოდ ნაწილობრივ! („აღ.საძ“. 2009.320).

აბერიძის აღზრდის კონცეფციაში ისე როგორც მის ნაშრომებში, მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში-დამოკიდებულება სტუდენტებთან, მოსწავლეებთან, შვილებთან და ზოგადად საზოგადოებასთან, იკვეთება მათში თავისუფალი ნების გაღვიძების შეუღრეკელი პრინციპები.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ეპისტოლეში (1986 წლის „საშობაო ეპისტოლე“) ბრძანებს: „ღვთის მსგავსების მიღწევა თავისუფალი ნებით ხდება“.

ადვილად იმზირება აბერიძის შთაგონების მიზანი და მისი მოქმედების ნებისმიერი სახით გამოვლენა, **ადამიანებში თავისუფალი ნების გაცოცხლების ინტენსიური მცდელობა.**

პოსტკომუნისტური იდეოლოგიის 70 წლიანი და საქართველოს სახელმწიფოებრიობის არქონის 200 წლიან პერიოდში ქართველ კაცს თავისუფალი ნება წაერთვა. ზუსტად ამ ნების დაბრუნებას შეაღია თავისი შეგნებული ცხოვრება არჩილ ბერიძემ.. საკუთარი თავისთვის არა და არ მოიცალა!

ღვთის განგებულებამ და თავისუფალი



ნების გაცოცხლებამ დაბადა ნათლისმცემლის სახალხო ნათლობა და ჟურნალ „ლაკლაკეთი“-ს დაბადება. დაბადება იქ, სადაც დაბადა და გაიზარდა არჩილ ბერიძე. ამიტომაც იქნა აღიარებული ყველა ნიჭიერი, შემოქმედი და თავისუფალი ადამიანის მასწავლებლად და მოძღვრად არჩილ ბერიძე.

ბუნებრივი კანონზომიერებიდან გამომდინარე ბრძენთა ნამოქმედარს ფართო მასებისთვის სიცოცხლე, მისი ფიზიკური არარსებობის შემდეგ ეწყება. ამიტომაც შეიძლება მცირედიც მაინც დავინახოთ, რომ რაც მეტი დრო გავა, მით მეტად გაცხადდება „აღზრდის საძირკველი“.

ფაქტიურად არჩილ ბერიძემ გარდატეხა შეიქანა კომუნისტური იდეოლოგიით თავისუფლებაშეზღუდულ სირვცის გარღვევაში.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ბრძნებს: „ჩვენ კი ხშირად ეგოისტური მოთხოვნებიების, შურის, სიცრუის, ამპარტავნობის და სხვათა ცოდვათა მონები ვართ“. და როცა არჩილ ბერიძეზე ვფიქრობთ, მისი პიროვნული გამოვლინება ეგოიზმის, შურის, სიცრუის, და ამპარტავნობისგან ძალიან შორს იყო. ამიტომ ისმება კითხვა, სინამდვილეში ვინ იყო პროფესორი არჩილ ბერიძე? საიდან დაიწყო მისი ფერიცვალება? **მას შინაგან სამყაროში ჰქონდა ღვთის სიყვარული და ახალ ადამიანად დაბადების უნარი!**

მძიმე, საუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის არარსებობამ მძიმე დალი დასვა ქვეყანას და ქვეყნის მოქალაქის შინაგან თავისუფლებას. ალბათ არ ვიქნები უსამართლო, თუ ვიტყვი, ქართველი კაცის სული დაიბინდა ან გაიყო! ამ საშინელ „სამსჯავროდან“ თავის დაღწევისათვის პირადი მეს გადადება იყო საჭირო. ეს იტვირთა პიროვნებამ არჩილ ბერიძემ. „შინაგანი თავისუფლება უნდა მოიპოვო“, ბრძანებს პა-

ტრიაქი. „ჩვენ გვჭირდება განთავისუფლება არა მხოლოდ იმპერიისაგან, არამედ ჩვენივე ცხოვრების გარკვეული, შინაგანი პრინციპებისაგან. (მ.მამარდ. 1992.18)

ბუნებრივია თავისუფლების მოპოვება შინაგანი ბრძოლით, მეს დავიწყებთ იწყება. და თუ მეს დავიწყებ, თავს აღწევ ამპარტავნობას, და თუ ამპარტავნობას თავს აღწევ, თავს სხვაზე დაბლად აღიქვამ. ამის შემდეგ შენში სიხარული შემოდის. სწორედ ამ სიხარულის ფლობის შემდეგ იბადება ჭეშმარიტების შთაგონების უნარი, რაც არჩილ ბერიძის ცხოვრებას და მის გენიალურობას ცოცხალ ხაზად გაჰყვება.

„თუ სიცოცხლეში შეასრულე შენი მისია, მაშინ სიკვდილი უკვდავების დასაწყისია“ - უთქვამს ბრძენს. (გაზ. აჭ 2013.21)

და სინამდვილეში ვინ იყო არჩილ ბერიძე? მან გამოისყიდა იქამდე არსებული გაჩერებული სააღმზრდელო სისტემის ცოდვები, როგორც აღნიშნავს მერაბ მამარდაშვილი იესო ქრისტეს სიმბოლოსა და მისი მსხვერპლის შესახებ „თავისუფალნი ვართ საამისოდ, რომ საკუთარ განცდას გავყვეთ, **ჩვენ არ უნდა გავშემდეგოთ, გაჩერდეთ**, რაკი მან უკვე გამოისყიდა ჩვენი ცოდვა“ (მ.მამარ.1992.28)

არჩილ ბერიძე სინამდვილეში იყო იმ სისტემის რეფორმატორი, რომელმაც სისტემაში უნდა შეცვალოს ადამიანებში ჩაბუდებული შეუცვლელი ბოროტი სურვილი. მისი მონოგრაფია შესაბამისად გასაგებია როგორც მარტივი მკითხველისათვის, ასევე დაუსრულებელ სიღრმის მოყვარულთათვის.

მისი იდეოლოგია ჰუმანურობის მწვერვალისაკენ სწრაფვია. მისი საზღვრები შეუზღუდავია და მისი ცნობიერება ადამიანებში დაფარული გონის საზრდოა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩილ ბერიძე, აღზრდის საძირკველი, ბათუმი 2009;
2. რუსთველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი 3, ნოემბერი, 2010;
3. მერაბ მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, თბილისი 1992;
4. გაზეთი აჭარა. 23-25 თებერვალი, 2013;
5. გამოჩენილ ადამიანთ ცხოვრება, აინშტაინი თბილისი 1966.

### რაინდული სულის ადამიანი

საღვთო სიბრძნე გვასწავლის ამ ქვეყნად ჩვენ მგზავრები და სტუმრები ვართ. ქართველი ერის მთელი ცხოვრება არის ფილოსოფია. ქართველი კაცის წუთისოფელში არ-



მალხაზ ბერიძე

სეობა — მოღვაწეობას ერთმანეთს შეერწყა პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ქართველი ერის ცხოვრების საზრისი ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვას ეძღვნება. ყოველ ეპოქაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ზნეობრივი ცხოვრების გვირგვინად ითვლებოდნენ. ეთიკური ნორმების დაცვა მათი მთავარი ამოცანა იყო. სამართლიანობითვის ბრძოლა, მშობელი ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვას მათ სააზროვნო სივრცეში მთავარი ადგილი ეკავა.

ამ ღირებულ ფასეულობათა პრინციპულ და ჭეშმარიტ დამცველთა ღირსეულ განსახიერებას წარმოადგენდა ბატონი მალხაზ ბერიძე, რომელიც სულ ახლო ხანია გამოემშვიდობა წუთისოფელს.

მალხაზ ბერიძე მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით, დიდი ოჯახით, ურთიერთობით ადამიანებთან, დამოკიდებულებით საზოგადოებასთან, ქვეყნის, კუთხის პრობლემატიკურ საკითხებთან დაკავშირებით, მშობელი ხალხის ინტერესების დაცვის საქმეში, მათი სოციალურ-ეკონომიური ვითარების მოგვარების მცდელობით, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით გამორჩეული და მისაბაძი კაცი იყო ქართულ საზოგადოებაში, მთელს ჩვენს მხარეში.

მალხაზ ბერიძე დაიბადა 1937 წელს ხულოს (იმჟამად) რაიონის სოფელ წაბლანაში, დიდი კულტურისა და ტრადიციების მქონე ოჯახში. ისინი წარმოშობით გურული რამიშვილები არიან, ჩოხატაურის რაიონის სურების ხეობიდან. მათი დიდი წინაპარი შუა საუკუნეებში საცხოვრებლად გადმოსულა მთიან აჭარაში. იგი დასახლებულა უჩამბის ხეობაში -სოფელ სამოლეთის საცხოვრებელ უბან ბირგველაში. ამ საცხოვრებელ უბნიდან მუსტაფა ბარახტარი (რამიშვილი) მალხაზის უახლოესი წინაპარი აღიოდა ნათლისმცემელზე, ბაირაღს აღმართავდა და ნათლისმცემლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ბარტყავლებში მიწას ამუშავებდა. ამჟამად წაბლანაში მცხოვრები მალხაზ ბერიძის უახლოესი ნათესავბიძაშვილები წარმომავლობით რამიშვილის გვარიდან არიან. ოსმალეთის ბატონობისა და შემდეგ ბოლშევიკურ რუსეთის უკუღმართი ქმედებების გამო რამიშვილების გვა-



მალხაზ ბერიძე და მისი მეუღლე ეთერი ველიაძე

რის შთამომავლობამ გვარად ბერიძე დაიწერა. მიზეზი სხვადასხვა გარემოთაგან ერთ-ერთი იყო ბოლშევიკური ხელისუფლება – რამიშვილებს რეპრესიებით უსწორდებოდა.

მალხაზ ბერიძის ბაბუა - სულეიმან ბერიძე პირველი უმაღლეს განათლებული იყო სოფელ წაბლანაში. მას სასულიერო განათლება მიღებული ჰქონდა სტამბოლში. მისი განათლების დიპლომზე შვიდი ბეჭედი დასმული, ერთ-ერთი ქუთაისის გუბერნიის - გუბერნატორის. როცა აჭარაში 1890-იანი წლებიდა მუაჯირობა მძვინვარებდა მალხაზის ბაბუა - სულეიმან ბერიძე ქუთაისის გუბერნატორმა მუაჯირობის შესაჩერებლად ქობულეთის მაზრის (რაიონის) უძველეს და მოსახლეობით მრავალრიცხოვან სოფელ ხუცუბანში მიავლინა. სულეიმან ბერიძის ეროვნულ-მაშულიშვილურმა მოღვაწეობამ ამ სოფლის მოსახლეობაში შედეგი გამოიღო. მრავალი ხუცუბნელი დარჩა მშობლიურ მიწა-წყალზე. ხელისუფლებამ სულეიმან ბერიძე ხუცუბნიდან გადაიყვანა აჭყვისთავში იგივე მისიის შესასრულებლად. მან ღირსეულად აღასრულა საშვილიშვილოდ დაკისრებული საქმე (ხუცუბანში, აჭყვისთავში და მის მიმდებარე სოფლებში) და იმდროინდელი მთავრობისაგან მაღლობაც დაიმსახურა.

მალხაზ ბერიძის წინაპრების დიდი ოჯახი ეკონომიურად გამართული ცხოვრობდა. ჰქონდა დიდი მიწა-წყალი. აღსანიშნავია ის, რომ მალხაზის ბაბუამ გააშე-

ნა ხილის ბაღი, მისი ხელით დარგო 100 ძირი კაკლის ნერგი. სოფელ სამოლეთში (უჩამბის ცენტრში) ჰქონდა ჩაის სახლი და სასტუმრო. ძალიან რთულ და გაჭირვებულ პერიოდში 1900-იანი წლის პირველ ოცწლეულში სულეიმან ბერიძის ოჯახში აღზარდეს 9 ობოლი ბავშვი. სხვა უამრავი კეთილი და კარგი საქმის აღმსრულებელი იყო მალხაზ ბერიძის წინაპრების ოჯახი.

ასეთი ძირძველი ოჯახის შთამომავალს მალხაზ ბერიძეს ყმაწვილკაცობიდანვე გათავისებული ჰქონდა ის მისია, რასაც წინაპრების სული და დიდი ოჯახისა გვარიშვილობა აკისრებდა. მალხაზ ბერიძე ახალგაზრდობიდანვე ჩართული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა უჩამბის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაინიშნა სოფელ წაბლანის სასოფლო კლუბში - ბიბლიოთეკარად. მან აქ მუშაობის მცირე პერიოდში აჭარის ა.რ. მთავრობის თავჯდომარის ყურადღება და მაღლობა დაიმსახურა.

მალხაზ ბერიძე 1962 წელს წარჩინებით ამთავრებს ქალაქ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტს ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით და იმავე წელს ინიშნება შუახევის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში - ეკონომისტად, შემდეგ სამმართველოს უფროსად. სახელისუფლო წრეებში მალხაზ ბერიძემ ენერგიული და დაუღალავი მოღვაწეობით იმთავითვე მოიხვეჭა დიდი ავტორიტეტი და პროფესიონალი სახელმწიფო მოხელის სახელი. იგი პირველთაგანი იყო მთიან აჭარაში როგორც კვალიფიციური ეკონომისტ-ფინანსისტი. მან პირველმა იმდროინდელ მთავრობაში დასვა საკითხი მშრომელი ხალხის (გლეხობისთვის) არსებული გადასახადების მინიმუმამდე შემცირების თაობაზე. ბატონმა მალხაზ ბერიძემ აქტიურად დაიწყო ახალი მიმართულებების დამუშავება და წარდგინება სამთავრობო სხდომებზე რაიონში და ზოგადად მთიან აჭარაში არსებული სოციალ-ეკონომიური და კულტურული პრობლემატიკის მო-



საგვარებლად. მას ამ საქმის წამოწყების გამო მხარდაჭერებიც ჰყავდა და მოწინააღმდეგეც. მისი თანამედროვეთაგან გადმოცემული ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ

მალხაზ ბერიძე გამორჩეული იყო მშრომელი ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლის საქმეში. მისი დამუშავებული თეზისები და გეგმები ხშირად რესპუბლიკის მთავრობის დონეზე იხილებოდა. მალხაზ ბერიძეს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან - მათ შორის ჯუმბერ პატიაშვილთან. განსაკუთრებით ხელისუფლების მაღალ ემელონებში აღიარებდნენ მალხაზ ბერიძის მიერ შუახვევის რაიონზე დამუშავებულ პოლიტიკურ, სოციალ ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გეგმა - პროექტებს. მალხაზ ბერიძე ყოველთვის და ყოველ ვითარებაში გამოირჩეოდა საქმისადმი პრინციპული და პროფესიული დამოკიდებულებით. მისი მთავარი ინტერესი იყო მშობელი ხალხის ღუხჭირი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის მუშაბა და ბრძოლა.

მალხაზ ბერიძე წლების განმავლობაში მუშაობდა შუახვევის სახალხო ბანკის მმართველად. მისი ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს შუახვევის რაიონისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. მანვე მოახერხა შუახვევში სახალხო ბანკის ახალი შენობის აგება. მასთან ხშირად მიდიოდნენ ადამიანები კონსულტაციებისთვის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, როგორც რიგითი ადამიანები, ასევე სახელისუფლებო წრეებიდან. ბატონი მალხაზ ბერიძე გახლდა უანგარო და უზადო მრჩეველ-დამრიგებელი. დიდი ადამიანური მამულები მქონე გახლდათ მალხაზ ბერიძე. ფართო საზოგადოებრივი დიაპაზონისა

და ჭეშმარიტი მამულიშვილური ღირსების მატარებელი. კეთილგონიერი, ერუდირებული, პროგრესულად მოაზროვნე, კარგი მეგობარი, ბოლომდე სანდო ადამიანი იყო ბატონი მალხაზ ბერიძე. იგი იმ დონის საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე გახდათ, რომლის წინაშე მრავალი პიროვნება თავდაჭერილობას იჩენდა და იძულებულიც იყვნენ ქელიც მოეხარათ მის დამსახურებისა და ავტორიტეტის წინაშე. ერთეულები ცდილობდნენ „ემშაკურად ჩამოეცილებინათ“ იგი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმისაგან. მაგრამ მალხაზ ბერიძემ თავისი დიდსულოვნებით, დიდბუნებოვნებითა და ხასიათის სიმტკიცით ბოლომდე შესძლო ემსახურა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მალხაზ ბერიძეს მიღებული ჰქონდა მრავალი სამთავრობო, როგორც საქართველოს რესპუბლიკის, საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის, ასევე



აჭარის ა. რ. ჯილდოები და საპატიო სიგელები მაღალი აკადემიური, პროფესიული საქმიანობისა და ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის.

რაინდული სულის ადამიანი გახლდათ მალხაზ ბერიძე. მის ადამიანურ სამყაროში დაგროვილი იყო ზღვა სულიერ-გონებრივი წყარო ყოველი ეპოქისა და ნებისმიერი ვითარებაში ქვეყნისთვის, კუთხისთვის, ხეობისთვის, სოფლისთვის პრობლემურ საკითხ-საგანთა გამოსავალ-გადაწყვეტისთვის. მალხაზ ბერიძე გახლდათ ჩვენი ძვირფასი მეგობარი და მასწავლებელი. იგი ახალგაზრდობის სათნო დამრიგებელი, ეროვნულ-კულტურული



ნათლისმცემლის გორაზე შერეული ტყით დაბურულ იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარზე და უხუცესებისგან გადმოცემული ამბავი მოგვიყვას. ჩვენ სიცოცხლის ბოლომდე მადლიერი ვართ ამ ღირსეული და ჭეშმარიტად ნაღდი ქართველობისა, ძირძველი ტრადიციების ერთგულებისთვის. მალხაზ ბერიძე ჩვენი ჟურნალ „ლაკლაკეთი“-ს რედაქციის ერთგული წევრი გახლდათ. სხვადასხვა თემაზე ნამუშევარი მრავალი ხელნაწერი დარჩა, რომელიც იმსახურებს მზის სინათლეზე გამოტანას.

მალხაზ ბერიძეს უყვარდა ადამიანები, გულწრფელი ურთერთობები, ურთიერთპა-



ფენომენის წინ წამომწევი იყო. სამშობლოსა და მოყვასის მოყვარული, დიდი მოჭირნახულე, ისტორიის კარგი მცოდნე, დამფასებელ-შემფასებელი, დიდად კულტურული და ენაწყლიანი გახლდათ მალხაზ ბერიძე. თავისი კაცურ-კაცობით, ლამაზი ოჯახით, მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით სიცოცხლეშივე უკვდავო მისი განუმეორებლობა და ღირსეულად დაიდგა უკვდავების გვირგვინი.

მალხაზ ბერიძე აქტიურად იყო ჩართული ყველა საზოგადოებრივ სასარგებლო საქმის წამოწყებაში. იგი წაბლანის ნათლისმცემლის ნაეკლესიარზე საველე არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებიდან ბოლომდე მესვეურობდა არქეოლოგებთან და იქ მომუშავე პერსონალთან. ჩვენ დიდად მადლიერი ვართ მალხაზ ბერიძის გვარისშვილებისა. მისმა უფროსმა ძმამ (აწ განსვენებულმა) ჭიჭიკო ბერიძემ 1990-იანი წლების დასაწყისში მიგვიყვანა

ტივისცემაზე აგებული სიცოცხლისა და სიკეთის საზოგადოებრივ სივრცეს ჰქმნიდა მისი ადამიანური ადამიანობით. დაულალავი საქმის კეთებაში, უპრეტენზიო ურთიერთობებში. ბოლომდე ამუწურავად დახარჯული ქვეყნის, კუთხის, ხეობის, სოფლის, მეგობრების, ადამიანების, ოჯახის სიყვარულში. მალხაზ ბერიძის სახიერება ღირებული მაგალითია ადამიანისა მის მიერ შემოსაზღვრულ ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში. ზეციურ საქართველოში გარდასახულმა წუთისოფელში დატოვა ზეგაბრწყინებული სახელი კაცისა, ოჯახის მოჭირნახულე მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

ტკბილი მოგონებები გვასაზრდოებს ამ სვებედნიერი, ნათელი გონებისა და კეთილი კაცის მარადიული ხსოვნის თვალსაწიერში. ღმერთის სიყვარულით შთენილი, ღმერთის სიყვარულით ვსაზრდობთ.

## „კომუნისმი“ ეპოქაში გაზრდილ შვილთა ნიჭიერი შეურიგებლობა

2015 წლის თებერვლის N 4 ჟურნალ „ლაკლაკეთი“-ს გვერდებზე ნახავთ ფასდაუდებელ, ერთ დროს სასტიკად გასაიდუმლოებულ და დღესაც მიუწვდომელ სტატისტიკურ მასალას რეპრესირებულიების შესახებ. მისი ავტორია ბატონი მალხაზ ბერიძე.

ამ დიდი ადამიანის მიერ ჟურნალ ლაკლაკეთში გამოქვეყნებული მასალები, მასთან ურთიერთობაში მყოფებთან წამოყენებული საკითხები და მუდმივი ძებნის მისწრაფება ცხადყოფს, რომ ამ ადამიანს ტკიოდა სისტემის განვითარების არასასურველი და საშიში შედეგები. რომ არა მისი ღრმა აზროვნება და სამსახურებრივი საქმის უბადლო ცოდნა, ვერ შეძლებდა მრავალ წლებით რაიონისათვის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო და მაღლი თანამდებობის შენარჩუნებას.

დამოკიდებულებებში მისი მოკრძალება ადამიანურობიდან მოდიოდა, მაგრამ სიმშვიდე მისი სიღრმიდან, სიბრძნისმოყვარეობიდან და კეთილშობილებიდან გამოსჭვიოდა. მის მიერ დაყენებულ საკითხს ერთი რამ ყოველთვის თან დაჰყვებოდა: საკითხი ცალკე პიროვნებისგან გამიჯნულად განიხილებოდა, შესაბამისად პიროვნება არც შეურაცხოფილი რჩებოდა და არც ამპარტავნობას უწყობდა ხელს. ამით ის უკვე უნებურ შთაგონებას იწვევდა მსმენელისათვის.

სწორედ მისი პიროვნული ხასიათიდან გამომდინარე ხაზგასმით და ღრმა პატივისცემით სარგებლობდა იმ ადამიანებზე, ვინც მსხვერპლი გაიღეს, ვინც შემოქმედებითად უდგებოდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, ვისაც პასუხისმგებლობა

ჰქონდა არებული მომამვლისათვის. ბუნებრივია, ასეთი ადამიანები ვერ ჩაიძირნენ ამპარტავნობასა და საზოგადოებისათვის დამღუპველ, დროსტარების ლაბირინთებში.

სოციალისტური მშენებლობის პერიოდი იმ დროისთვის გაუცნობიერებელი სიმძიმის ეპოქად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად იმ დროისადმი პროტესტის განცდა ვისაც ჰქონდათ, მინიმუმ რაღაც დოზით იღვევებოდნენ. განსხვავებულად ინტელექტუალებს კი მათი პროფესიონალიზმის საჭიროების გამო უნარჩუნებდნენ სამსახურს, მაგრამ მუდმივ ზეწოლაში ჰყავდათ. ზუსტად შესაბამის მდგომარეობაში იმყოფებოდა ბატონი მალხაზი, მისი საქმეში პროფესიონალიზმით და დროის ჩარხისადმი კრიტიკულობით გამოირჩეოდა უმრავლესობისგან. ერთეულები არიან ადამიანები, ვინც კომუნისტურ ეპოქაში იმ დროისთვის გასაიდუმლოებულ ინფორმაციები აგროვებ, ჩაინიშნა და გაამზადა თაობაზე გადასაცემად, რადგან არ უნდოდათ ურწმუნო ეპოქას შეძლებოდა ფასეულობათა ჩაყლაპვა. ამის ნიშანია მ.ბერიძის მიერ შეგროვილი, ფურცელზე გადატანილი ისეთი ინფორმაციები, რაც ალბათ მაშინდელი უშიშროებისთვის თუ იქნებოდა მისაწვდომი. ნათლად ჩანს, რომ იმ ეპოქაში მოღვაწეთა პირადი ცხოვრება ვერაფრით ვერ აღიოდა მატერიული ფუფუნების მაღალ დონეზე, რისი საფუძველიც ის მსხვერპლი იყო რაც მათ გასწიეს თაობებზე იმდროისთვის მიუღებელი შემეცნების გადასაცემად.

მანსენდება ბატომ მალხაზისთან გატარებული წუთები და მისი ხელშეწყობა თავისუფალი აზროვნებისაკენ. იძლეოდა კამათის მოტივაციას, რათა მოსაუბრეში

ახლებური აზროვნებით პოზიციების მტკიცებულების მოტივაცია გაეზარდა.

დაშტამპული აზროვნების ლაბირინთებიდან გამოსვლა, მხოლოდ შინაგანი პროტესტით შეიძლება, თორემ მხოლოდ დანახული, ვერაფრის მაქნისი ვერაა. ამიტომაც შეიძლება ითქვას, მას ამ სიმძიმეებმა, ეპოქის ტვირთის ვილაცებთან ერთად ზიდვის უცილობელმა ამბიციამ შესძინა ის სიბრძნე და შესაბამისად სიმშვიდე, რითაც გამოირჩეოდა მის სამოქმედო გარემოში.

იმ ეპოქამ შექმნა ადამიანები, ვისაც პროტესტის განცდამ მარტოობა აგრძობინა, როგორც ა.ი.გერცენის „ნამყო და ნააზრევშია“ „ცხოვრება ...სიცოცხლენი, ხალხები, რევოლუციები, საყვარელი პიროვნებანი ჩნდებოდნენ, იცვლებოდნენ და ჰქრებოდნენ“. ადვილად დასანახია, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი, რომლებსაც პროტესტის განცდა ჰქონდათ, შესაბამისად პროტესტის ობიექტისადმი ანტი განწყობითაც შემოიფარგლებოდნენ. ეს კი ქრისტიანულ მორალს მტრის სიყვარულისადმი და შესაბამისად უნივერსალურ შთგონებას ზნეობრიობისადმი ეწინააღმდეგება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბატონი მალხაზისადმი არ არსებობდა საძულველი, განსასჯელი ობიექტები (ადამიანები და შესაბამისად ასოციაციები). ის გაგებით ეკიდებოდა ყველას, მაგრამ მუშობდა, ფიქრობდა და იღწვოდა გარემოსი და სოციალურ-ფსიქოლოგიური სივრცის შესაცვლელად. ამის პრაქტიკული დასტურია ეკონომიკურ სივრცეში ცვლილებების აუცილებლობის ჩამოყალიბება და ზემდგომებთან გაბედული შეთვალვა. მიუხედავად იმდროის მონური ფსიქიკისა (რაც დღესაც მკაფიოდ შეინიშნება), მაღალ ემულონებისთვის მალხაზის იდეა და გეგმა თეორიულად მისდები იყო, მაგრამ პრაქტიკულად სისტემის მორჩილი ძალაუფლების ინტენსიური გარემოსთვის განუხორციელებლად რჩებოდა. ამიტომ როგორც საუკეთესო სპეციალისტის პროტესტი მისი ადამიანური მახასიათებლების გამო

მტერთათვისაც გასაგები, გაცხადებული და მიღებული იყო.

ზნეობრიობის ამბიციას და სიყვარულის ფენომენს თუ ახლავს სხვათა ინტენსიური განსჯა და შესაბამისად მთლიანობაში ინდივიდის გაუტანლობა, ის უკვე ზნეობრიობის ნიღბით მოქმედ სიყვარულის ნიღბის მატარებელია. „ჩემს ირგვლივ ახლობელ ადამიანთა რიცხვი კლებულობს, და რაკი ჩვენ საერთო გზა აღარ გვაქვს, მე თანდათან მარტო ვრჩები“. მალხაზი კი მუდმივად იყო სხვათა ახლობელი და ახლობელთა რიცხვის მუდმივი ზრდის უშუალო შემომქმედი, რითაც ის ხელს უწყობდა მტრობით ნაშენები სინამდვილის შეცვლის აუცილებლობის განცდას.

პრინციპში იქნებ ამოსავალი წერტილი მბერიძის აზროვნებისა არის აღქმულ მოვლენათა, საგანთა საპირისპიროს შეცნობა, არჩევანის გაკეთება და შესაბამისად თავისუფლების გაგება. ეს მოვლენა ცნობიერებაში და შესაბამისად პრაქტიკაში გამოხატულია სიტყვით „შემოქმედება“. ამიტომაც ვასკვნი, რომ მბერიძის აზროვნება იყო შემოქმედებითი. ფრიდრიხ ნიცეს აზრით როგორც სიცოცხლეს განსაზღვრავს საპირისპირო სქესთა ერთობა, ისე შემოქმედებას განსაზღვრავს ორი დაპირისპირებული საწყისის არსებობა. და როცა ორ დაპირისპირებულ საწყისს (აზრს, მოქმედებას, ასოციაციის და განცდას) ადამიანი ინტენსიურად დაემებს, შესაბამისად გარემოებას თავისუფალი არჩევანის საშუალებას უტოვებს.

ხშირად ისმის კითხვა: იმ ეპოქაში, მარქსისტული ფილოსოფიის, თუ ცნობიერების მამუხრუჭებელი ეპოქის პერიოდში როგორ გაჩნდნენ განსხვავებული ადამიანები, ან როგორ გაჩნდა მათში ეს, სრულიად განსხვავებული ფენომენი სურვილი თავისუფლებისა. ამის ძირი ალბათ ადამიანში ჩადებულ ღვთიურ კოდში-სურვილი ღვთისადმი მსგავსების შეცობისაში მოიხსნება.

ერთს კი ვგონებ, საოცარი ნიშანი მსგავსი ადამიანების მსოფხედველობისა არის

ზნეობრივი ფილოსოფია. ანუ ფილოსოფია ზნეობის სიღრმეებისკენ მიმართული, რაც ღვთის განგებულობის ადამიანის ცნობიერ ნაწილში განივთებას მიანიშნებს. ეს უკვე შეგნებული არჩევანია ღვთისაკენ! აქ იმალება მეცნიერებისა და რელიგიის ჩვენთვის აქამდე დაუნახავი უცილობელი კავშიარი.

გავიხსენებ მალხაზ ბერიძის მონაწილეობას ნათლისმცემლის ნაეკლესიარის გათხრებში და მისი გულწრფელი დაინტერესების მოტივაციას. ეს იყო და დღესაც არ მინავლულა ადამიანებში, არის სურვილი ღვთის განგებულობაზე მინდობისა, რასაც ქრისტიანული სარწმუნოება, მართლმადიდებლობა ეკლესია ღვთისმსახურებით აღწევდა. მისი გონებრივი და ფიზიკური შრომითი მონაწილეობა ნაეკლესიარის საძირკვლის გათხრებში სწორდ ამის გამოხატულება იყო.

ადვილად შეინიშნება, რომ მისი აზროვნების ხასიათი გვარისა და შტოს ნიჭიერების, მათემატიკური აზროვნების სივრციდან მოდიოდა. შესაბამისად დანათლებულ პასუხისმგებლობას ღირსეულად მსახურობდა.

მსახურობდა! ემსახურო, ესაა ძნელი. იმსახურო კი უმარტივესია. ამიტომაც ადამიანები, ვინც რთულს ირჩევენ, ე.ი. სწორი გზის დანახვის შანსიც ეძლევათ.

როცა წაბლანის, როგორც სოფლის და ქვეყნის ნაწილის პასუხისმგებლობას ვაკვირდებით, შევნიშნავთ რომ ადამიანთა გარკვეული ნაწილია, ვინც სიყვარულით შეკრეს წრე, სამკუთხედი და ერთგვარად ჯაჭვი ეპოქათა უშუალო სიმძიმის ზიარებით ტარებისა. დასტურად შეიძლება მოვიყვანო არჩილი, გიორგი და მალხაზ ბერიძეების ერთიანი, მოკრძალებული დამოკიდებულებით თაობათა შთაგონებისათვის შეკრული ურთიერთკომფორტული ჯაჭვი, რომლის პირველი რგოლი ისტორიულ წარსულში იმალება.

ამ ხილზე დაფუძნებით შეიძლება ამოვიკითხოთ მეგობრული ხიდი თაო-

ბათა შორის. ალბათ ხიდჩატეხილობის იდეაც შორსგამიზნული შთგონების წყაროა ამ ხიდის სინამდვილეში არარსებობის შეცნობის სამზადისისათვის. სწორედ წარსულში სწორადდაყენებული პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მამისადმი პატივისცემის ფენომენიდან ამოვარდნილი საზოგადოების, ანუ ურწმუნოებაში ჩაძირული თაობების ბურუსიდან გამოსვლა იწინასწარმეტყველოს. ეს როგორც მართმადიდებლური ფენომენი მამაშვილობისა, ამ როგორც განსხვავებული, თავისუფალი ხორცადშესხმული ურთიერთობის გამოხატულება იყო მალხაზის ოჯახში შვილებისადმი და ზოგადად შვილებისადმი დამოკიდებულება. ადამიანები ზოგჯერ გაუცნობიერებლად „ჩავდივართ“ ზნეობრივ და ე.ი. ღვთისადმი მოსაწონს, რისი საფუძველიც ჩვენთან სულიწმინდის მადლით გადმოსული სურვილია. ამ სურვილის უფლება ჩვენ შესაძლებელია მოგვეცა უკვე გაღებული მსხვერპლის სანაცვლოდ. ამიტომ არ ვიქნები უსამართლო, თუ ვიტყვი, რომ მალხაზ ბერიძემ იცოცხლა სრულიად საკმარისი, რომ მისი სიცოცხლე ჩვენთვის მეტად და მეტად დასაფიქრებელი დარჩენილიყო. ამა სოფლის ავკარგიანობიდან გამომდინარე, ჩვენ „შინაურ მღვდელს“ მუდმივად ჩავჩინებთ, რომ ვერ წარმოვიდგენია მის მოქმედების მოტივაციად, ჩვენვე ცნობიერების, სულის და მატერიალური კეთილდღეობის სარგებელნი.

მასხენდება ბრძენთა შთაგონება კითხვების დასმით სიბძნის მოპოვების სიყვარულისა. ანუ ჩვენ გვესაჭროება კაცნი, ვინც დაგვისვამენ კითხვებს, რომლებიც ჩვენში ღრმა ცნობიერების გაღვიძების ხელისშემწყობნი იქნებიან. ამიტომაც ჭეშმარიტებად უმეტესწილად მაინც დუმილი, სწორად დასმული კითხვები და მოსმენა ითვლება, რასაც ეს ადამიანი გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, გენიალურად ასრულებდა.

მადლობა ამ ადამიანს, კაცს და მშობელს, ფარული და თვალსაჩინო ღვაწლისთვის.



## ნური ეფენდი ბერიძე

მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადო მოღვაწეთა შორის ნური ეფენდი ბერიძეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

იგი 1851 წელს დაიბადა ზემო აჭარის ისტორიულ სოფელ ფურტიოში.



ნურის მამა **ახმედი** დაახლოებით 1795-1880 წლებში ცხოვრობდა. იგი ზემო აჭარის მოსამართლე (ყადი) ყოფილა, რაც შემდგომში მის მემკვიდრეს ნურის გადაეცა. მის მოსაქმეობას ზედწოდებდნენ ახ-

ლავს ინჯა, რაც წმინდას, ხოლო ინჯა-ყადი წმინდა მოსამართლეს ნიშნავს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ნურის მამა ახმედი თავისი დროის ჭკუა-გონებით შემკული, ბრძენი და სპეტაკი პიროვნება ყოფილა.

ასეთი კაცის ოჯახში აღზრდილმა ნურიმ კარგი შინაური განთლება მიიღო. იგი შესანიშნავად ფლობდა მშობლიურ ენას, კითხულობდა იმ დროს ზემო აჭარაში შემთხვევით შეღწეულ ქართულ წიგნებს და გაზეთებს. მოგვიანებით კარგად დაეუფლა თურქულ, არაბულ და რუსულ ენებს.

უმაღლესი სასულიერო და იურიდიული განათლება ნურიმ მიიღო სტამბულის უნივერსიტეტში, სადაც იგი საფუძვლიანად დაეუფლა აგრეთვე ბუნებისმეტყველებას, გეოგრაფიას, ნიადაგმცოდნეობას, ასტრონომიას, მათემატიკას და სამხედრო მეცნიერებას.

სამშობლოში დაბრუნებისთანვე ნური ბერიძე ახლანდელი მარეთის ხევის მოსამართლედ დაუნიშნავთ, ხოლო მომდევნო პერიოდში მამის გარდაცვალების შემდეგ, 1880 წელს გახდა მთელი ზემო აჭარის მოსამართლე (ყადი), რომელსაც ადგილსამყოფელი ხულოში ჰქონდა.

ნური ბერიძემ იმთავითვე მიიქცია საზოგადოებრიობის ყურადღება, როგორც თავისი მიწა-წყლის მოყვარულმა ერისკაცმა და ჭეშმარიტმა მამულიშვილმა. ის ყოველმხრივ, აშკარად და შეფარულად ებრძოდა როგორც ოსმალეთის, ასევე ცარიზმის გაბატონებას თავის მხარეში. მან მრავალი თავგზააბნეული აჭარელი გადაარჩინა მუჰაჯირობის მძიმე ხვედრისგან და ხელი შეუწყო მათ, რათა მამაპაპისეულ მიწა-წყალზე დარჩენილიყვნენ.

ნური ეფენდი ბერიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან: **ზაქარია ჭიჭინაძესთან, თედო სახოკიასთან, სტეფანე ქემსაძესთან, აპოლონ წულაძესთან** და სხვებთან, რომლებმაც მის შესახებ საყურადღებო ჩანაწერები დაგვიტოვეს.

ზაქარია ჭიჭინაძის თქმით: „ნური ეფენდი ბერიძე ჭკვიანი, მახვილგონიერი ხოჯა არის და მასთან ყადიც დაბა ხულოს მეჯლისის. ამასთან, თავისი წინაპარივით (ახმედ ეფენდი ბერიძესავით) დიდი შრომა მიუძღვის გადასახლების (მუჰაჯირობის) წინაშე. ზეგნის სოფლებიდან რომ თითო-ოროლა კომლი მიდიოდნენ (ე. ი. ბევრი რომ არ წავიდა, რ. ს.) ეს სულ ამ ხოჯის და ასეთების საქმე იყო.“ (**ზ. ჭიჭინაძე**, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი – ემიგრაცია, თბლისი, 1914, გვ. 185-191).

ნური ბერიძის განსწავლულობასა და ეროვნულ გათვითცნობიერებაზე ისიც მეტყველებს, რომ 1892 წელს, **ზაქარია ჭიჭინაძის** აჭარაში მოგზაურობის დროს, ის სტუმარს მუდამ თან ახლდა და მისთვის საინტერესო ცნობებს აწვდიდა. ზეგნის, ე.ი. ზემო აჭარის სოფლების „ანუსხვისათვის დიდს ხელმძღვანელობას მიწევდა **ნური ეფენდი ბერიძე**, პატივცემული ხოჯა მთელ ზეგანში. მასთან დაბა ხულოს მეჯლისის ყადი და ყველა ამბებთა დიდათ გონიერი და პატივცემული პირი, რომელიც თანაც კი დამდედა“ (მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1913, გვ. 166) როგორც ჩანს, აჭარის სოფლების სახელები და კომლთა რიცხვი ზ. ჭიჭინაძემ სწორედ ნური ეფენდი ბერიძის მონათხრობით ჩაიწერა (იქვე, გვ. 178).

ხულოში ერთგან ნური-ეფენდი ბერიძემ **ზ. ჭიჭინაძეს** აჩვენა ხიმშიაშვილთა საგვარეულო სასაფლაო, ეკლესიის ნანგრევები, აგრეთვე „ძველისძველი ციხე მეფეების დროს გაკეთებული. შემდეგ ეს ციხე ახმედ ფაშამ დააქცევინა და სასახლედ გააკეთებინა. ეს სახლი დაქცეულ-დანგრეულია. ამ სახლის აბანოში ერთი მეტად ძველი, ზორბა ზარბაზანიც გვია. ხალხმა ამ ზარბაზანის არაფერი იცის, თუ როდის და ვის მოუტანია“ (იქვე, გვ. 184). ჩვენი აზრით, აქ ზ. ჭიჭინაძე ცდება. სასახლის დაზიანება და არა დაქცევა რუსეთის ავანტიურისტ გენერალ ოსტენ-საკენს ეკუთვნის, ხოლო ზარბაზანი აქ დარჩა იმიტომ, რომ ახმედ-ფაშის მეუღლემ დუდი-ხანუმმა ოსტენ-საკენის შემოსევის დროს მისი წაღება ვერ მოასწრო და როგორც ჩანს, აბანოში გადამალეს. ციხე და სასახლე რომ არ იყო დანგრეული, ადასტურებს ნური ბერიძის **ნაამბობი, რომ ამ ციხეში 1844 წ. ქორ-ხუსეინ ბეგ ხიმშიაშვილი** აწარმოებდა ანტიოსმალურ ბრძოლებს, რაც ერთხანს მისი წარმატებებით მიმდინარეობდა. მაგრამ 3000 აჭარელს სძლია 10000-მა ოსმალომ. ქორ-ხუსეინი შეიპყრეს და სტამბულში წაიყვანეს.

ნური ეფენდი ბერიძე სტუმარს ღორჯომის ხეობაშიც ახლდა და მიუთითა დიდ

გორის ტყეზე, საციხურისკენ, სადაც თლილი ქვის დიდი ეკლესიის ნანგრევი არისო (გვ. 185).

ნური ბერიძე 1897 წელს ფურტიოში **თელო სახოკიასაც** მასპინძლობდა. მოგზაური დაწვრილებით გვიყვება მასპინძელზე და მის სტუმართმოყვარე ოჯახზე: „მასპინძლად გვყავდა ყადი ეფენდი ბერიძე, წვერი ხულოს მეჯლისისა, მფელ სოფელში ცნობილი თავის შეძლებითა, რასაც, რა თქმა უნდა მისი თანამდებობაც უწყობს ხელს. სახლში თვითონ ბერიძე დაგვხვდა და წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობით გაგვიმასპინძლდა. ბერიძე აქეთკენ ნასწავლ კაცად ითვლება, რის გამო ეფენდის ტიტული აქვს. ქართულად წმინდად ლაპარაკობს. თბილისელ ქართველებში დაახლოებით (ახლოს, რ.ს.) იცნობს აჭარაში ქართული წიგნების შემოტანის პიონერს ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს, მეტის ქებითაც იხსენებს ჩვენს დაუღალავ მოღვაწეს.

ჩვენი ყადი შეძლებულ მოსახლედ ითვლება. ფურტიოში ორი სახლი უდგას გამოჩინებულ ადგილას: ერთში სახლობთ თვითონ ცხოვრობს, ხოლო მეორე უფრო ახალი, სტუმრების მისაღებად აქვს. სასტუმროში რამდენიმე თვალია ნოხებ და ქეჩებ-გადაფენილ ტახტებიანი. მისვლისთანავე სასტუმროში, ანუ, როგორც აქ ეძახიან კონალში შეგვიყვანა და თვითონ დატრიალდა, რომ შინაურებს საჭმელი დაემზადებინათ. მოკლე ხანში სუფრას გვიმშვენებდა ტაბაკად შემწვარი დედალი, სიმინდის მჭადი, ბროლივით წყალი... და მასპინძლის მდიდარი გული. ქართველურ ბოდიშს დასასრული აღარ ჰქონდა: ნუ დაგვძრახავთ, თქვენი საკადრისად ვერ დაგიხვდით“-ო. (**თელო სახოკია**, მოგზაურობანი. თბილისი, 1950, გვ. 205-206).

გულუხვი მასპინძლობის შემდეგ ნური ეფენდიმ თ. სახოკიას როგორც ჩანს, ჩააწერინა ცნობილი თქმულება აბაზას და ფარნას ქიშპზე.

ნური ბერიძის განსწავლულობასა და პოპულარობაზე ცნობას გვაწვდის აგრეთვე **აპოლონ წულაძე**: „ნური ეფენდი ზეგნელი, პატივცემული მოხუცია, ოცდათორმეტი წელიწადი ყადათ იყო. კაი ხანია შეგნებუ-

ლი აქვს, რომ ქართველია და ქართველობა სირცხვილი არ არის. ამ ხოვამ გავლენით დიდად შეუშალა ხელი აჭარელთა ოსმალეთში გადასახლებას. დიდი მომხრე და მქადაგებელია ქართველ ქრისტიანებთან ერთობის. აჭარლებისა და მის მეზობლების ისტორია კარგად იცის. როგორც ყადი სახელგანთქმულია თავისი მიუდგომელი სამართლიანობით“ (ა. წულაძე. ძმური სიტყვა. ბათუმი, 1991 წ. გვ. 23).

ნური ბერიძეს ცოლად ჰყავდა ცნობილი თეოლოგის, თავისი მასწავლებლის **ლომან ეფენდი ქარცივადის** ქალიშვილი ასიე, რომელთანაც ორი ვაჟი ლომანი და ნუსრედინი და ექვსი ქალი: ჰურიე, ესმა, ასიე, ლევიზე, ხატიჯე და აიშე შეეძინა.

1907 წელს ნური ბერიძე ფურტიოდან ცოლეურს, ოლადაურში გადასახლდა და დასაბამი მისცა ბერიძეთა უძველესი გვარის ოლადაურის შტოს, გახდა ამ განშტოების მამამთავარი.

ზემო აჭარაში რუსული პოლიტიკის გასატარებლად ცარიზმის მოხელეები ცდილობდნენ გავლენიანი პირების გადაბირებას. ერთ-ერთი მათგანი იყო ნური ეფენდი ბერიძე: «Нури Эфенди руководитель духовных дел всего Верхне-Аджарского участка, человек пользующийся большим почетом населения, очень умный и хитрый» (საქართველოს ევრონული მოძრაობის ისტორიული მუზეუმის არქივი 3-4, საქ. 46, ფურ. 40).

როგორც ვხედავთ, რუსი ჩინოვნიკები აღიარებენ ნური ბერიძის სიბრძნეს და გონიერებას. მაგრამ რაკი მათს ჭკუაზე ვერ მოიყოლეს, მის „ხიტრობასაც“ ამცნობენ ერთიმეორეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნური ბერიძე იმთავითვე ქართულ ეროვნულ ორიენტაციას ადგა და ებრძოდა მომხდურთა პოლიტიკურ ავანტურას. ჯერ კიდევ 1910-12 წლებში, როცა ოსმალეთმა საქართველოს განაპირა მხარეებში, მათ შორის აჭარაშიც, გააქტიურა პროვოკაციები, შემოგზავნა ჯაშუშები, რომლებიც ანტიქართულ პროპაგანდას ეწეოდნენ, ნური ბერიძე მათ წინ აღუდგა და ხალხიც დარაზმა მათ წი-

ნააღმდეგ. ნური ბერიძის ასეთი ქმედება „ონხრანკას“ არ გამოპარვია.

სტეფანე ქემხაძეს აღნიშნული აქვს ფაქტი, როცა ნური ბერიძე შემთხვევით შეხვდა ოსმალეთიდან შემოგზავნილ აგენტებს. ვითომც ხელოსნებს, რომლებმაც სასულიერო ტანსაცმლით შემოსილ ხოვას გულლიად გააცნეს მათი ზრახვა, გამჭრიახმა ნურიმ ისინი ტყბილი საუბრით კანცელარიამდე მიაცილა, სადაც „ხელოსნები“ დააპატიმრეს.

აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნების პირველ წლებიდანვე აქაურმა წარჩინებული ოჯახების მეთაურებმა რუსეთის ხელისუფლებისგან მოითხოვეს მათი თავადაზნაურული ტიტულის დაბრუნება. ცარიზმის მოხელეები 30 წლის მანძილზე აჭიანურებდნენ ამ კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაგრამ რევოლუციებით და მასობრივი აჯანყებებით დაშინებული ხელისუფლება იძულებული გახდა 1911 წელს შეექმნა საგანგებო კომისია, რომელიც დაადგინდა ყველა გვარის ტიტულს, რომელიც მათ მიენიჭათ ქართველი მეფეების მიერ.

კომისიაში შევიდნენ იმ დროისათვის ბათუმის ოლქში მცხოვრები ყველაზე ცნობილი, სანდო და პირუთვნელი მოღვაწეები. მათ შორის **ნური-ეფენდი ბერიძე, თუფან ბეგ შერვაშიძე, თემურ ბეგ ხიმშიაშვილი, ხუსეინ ბეგ ბიბინიეშვილი, ყემბერ ალა ხარაზი** და სხვ. (რამაზ სურმანიძე. თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში. თბილისი. 2007 წ. გვ. 51).

1913 წელს ნური ეფენდი ბერიძე შეიყვანეს ბათუმის ოლქის 18-კაციან დელეგაციაში, რომელიც მონაწილეობდა რომანოვების დინასტიის მოღვაწეობის 300 წლის იუბილეზე თბილისში (გადაღებულია სამახსოვრო ფოტო, რომელიც შეცდომით ზოგჯერ 1916 წლის 20 კაციან დელეგაციად არის მიჩნეული).

1915 წლის გახმაურებულ „აჭარლების ღალატში“ რუსეთის ხელისუფლებამ ნური ბერიძეც გარია. მას მკაცრი სასჯელი ელოდა, მაგრამ კანონების ჩინებულად მცოდნეს ბრალდება ვერ დაუდასტურეს. ამას დაერთო **სტეფანე ქემხაძის** მიერ აჭარელთა გამა-

მართლებელი საბუთის წარდგენა, რის შემდეგ ნური ბერიძე სხვა 192 პირთან ერთად გაათავისუფლეს. (გაზ. „საქართველო“, № 102, 27 სექტემბერი, 1915 წ. გვ. 3).

„... ჩემი ზეგანში ყოფნის დროს (იგულისხმება **ზ. ჭიჭინაძის** ხულოში ყოფნა), ერთმა ქართველ-მაჰმადიანთ ხოჯამ მეჯლისში იჩივლა, რომ ჩემს მრევლში ამა და ამ კაცმა ქართველი მიწოდა და ამიტომ მე ვთხოვ, მეჯლისმა იგი დასაჯოსო. ნური ეფენდი ამაზე გაუწყრა ხოჯას და მისცა შეკითხვები: „ხოჯა, თქვენს სახლში ქალ-ბაღანა რა ენაზე ლაპარაკობსო?!“ ხოჯას პასუხი იყო, რომ გურჯისაზეო. სიტყვა ქართული არ ახსენა. ნური ეფენდიმ ასე აუხსნა: გურჯი ოსმალური სიტყვა არის და ჩვენებურ ენაზე იგი ნიშნავს ქართველს, შენი ქალ-ბაღანა თუ კი ამ ენაზე ლაპარაკობს, მაშინ იმას სწორად უთქვამს, შენ-ზეო.“ (გაზეთი „საქართველო“, 1915 წლის № 101, ციტირებულია **ხ. ახვლედიანის** წიგნიდან „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, ბათუმი, 1956 წ. გვ. 239-240).

ნური ბერიძე მრავალი სიახლის, კულტურული წინსვლის ინიციატორი იყო. ეროვნული გათვითცნობიერების სათავეში მდგომსა და ამ საქმისთვის მებრძოლს დიდი წვლილი მიუძღვის ზემო აჭარაში მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების აღდგენისა და წერა-კითხვის გავრცელების საქმეში მის ასეთ მისწრაფებას და აშკარა ქართულ ორიენტაციას აღნიშნავდა ყველა ქართველი მოღვაწე, ვინც ნური ბერიძეს და მის საქმიანობას იცნობდა.

ნური ბერიძე იყო ერთ-ერთი ინიციატორი 1916 წლის დასაწყისში სოფელ ოლადაურში დაწყებითი სკოლის გახსნისა და არა მარტო ინიციატორი, მან საცხოვრებლად შექმნილი ახალი სახლი სკოლას დაუთმო და თვითონვე უზრუნველყო სკოლა სასწავლო სახელმძღვანელოებით და სასკოლო ინვენტარით, მანვე ჩამოიყვანა სკოლის პირველი მასწავლებელი ილიკო ნაცვალაძე და თავისსავე ოჯახში დააბინავა. ნური ბერიძე საღვთო სჯულს ქართულ ენაზე ასწავლიდა, რაც მუს-

ლიმანი სასულიერო პირისგან იყო უდიდესი გაბედულება. აშკარად ჩანს, რომ ამ პატრიოტში სარწმუნოებრივ დოგმებს ეროვნულმა გრძნობებმა და მამულიშვილობამ სძლია.

სხვათაშორის, ზემო აჭარაში, სკოლების გახსნა სრულიად სამართლიანად ისტორიულ მოვლენად მიიჩნიეს და მას გაზეთ „საქართველოში“ (1916 წლის 22 აპრილი, № 89, გვ. 4) **აპოლონ წულაძე** გამოეხმაურა. იგი დიდ სიხარულს გამოთქვამს თხილვანაში, ოლადაურში, ფაჩხაში და ადაძებში სკოლების გახსნის გამო. ს. ოლადაურის სკოლაზე წერს: „... სკოლა დაარსებულია ქრისტეშობისთვიდან (7 იანვარი). სწავლობს 20 ვაჟი. მასწავლებლად არის ახალგაზრდა **ილ. ნაცვალაძე**... სჯულის მასწავლებლად არის მთელ აჭარაში კარგად ცნობილი ხოჯა **ნური ეფენდი ბერიძე**, რომელიც სკოლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს. სკოლაში მისი ვაჟიც სწავლობს და გადაწყვეტილი აქვს შეიღოს სწავლა გიმნაზიაში გააგრძელოს. ნური ეფენდი ყველას ეჩივინება: შეიღებო სკოლაში აღზარდეთ და ქართველობასთან დაახლოებას ეცადეთო.“

ათეული წლების მანძილზე ოლადაურის სკოლის დირექტორი, აწ განსვენებული **ვაჟა მაკარაძე** თავის წიგნში მოგვითხრობს: „ნური ბერიძეს საცხოვრებლად შექმნილი სახლი დროებით ახალგაზრდული სკოლისათვის დაუთმია, თვითონვე უკისრია სასკოლო ინვენტარის დამზადების ორგანიზაცია. სასწავლო სახელმძღვანელოები ხულოს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის **ი. მელიქიშვილის** დახმარებით მიუღია და სოფელში ჩამოუტანა“ (**ვაჟა მაკარაძე**, „ჩემო სკოლაჲ, მაღალ მთაზე ტაძარივით დადგმული.“ ბათუმი, 2003 წ. გვ. 45,46).

ნური ბერიძე გარდაიცვალა 1919 წ. დასაფლავებულია სოფელ ოლადაურში.

ვფიქრობთ, ოლადაურის ინტელიგენცია იზრუნებს ნური ბერიძის, ღვაწლმოსილი პიროვნების, აღმზრდელის, მიუკერძოებელი მოსამართლისა და ქართველი პატრიოტის სახელი მიენიჭოს ოლადაურის გამორჩეულ და დიდი ტრადიციების მქონე საშუალო სკოლას.

29 ივნისი, 2015 წ.

## აჭარისთვის თავდადებული მამულიშვილი – ჰაჯია ველიამი

შუახვევის მუნიციპალიტეტის უჩამბის თემის სოფელი წაბლანა (გეოგრაფიულად) შავშეთის ქედის ჩრდილოეთის მიმართულების, წინაველას თხემის აღმოსავლეთის მხარის კალთებზეა გაშენებული, ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე. სოფელში 70-მდე ოჯახი ცხოვრობს. ამ სოფელში დაიბადა და გაიზარდა ჰაჯია ველიამი, იგი დაბადებულია 1868 წელს ხუსეინ და აიშე ველიამების ოჯახში. მისი დაბადების ადგილსამყოფელს (საცხოვრებელ უბანს) საქორია ჰქვია. ჰაჯიას მშობლები სოფლის მეურნე, მიწათმოქმედი იყვნენ. ჰაჯიას ჰყავდა უფროსი ძმა-დურსუნი, დებისირმა (გათხოვილი იყო სოფელ წაბლანაში), როხსეთი და ფატი (გათხოვილი იყვნენ ხულოს რაიონის სოფელ ალმეში).

ჰაჯიამ ბავშვობა გაატარა სოფელ წაბლანაში, თავისი ტოლი ახალგაზრდები იყვნენ მისი ბიძაშვილები: სულა, მემედი, უსუფი, დურსუნი, ჰავა, თოთოშა, იეთარი, ნურიჯანი. აგრეთვე თანასოფელეებიდან სულეიმან ბერიძე, ოსმან თურმანიძე და სხვები. ჰაჯიას დროს ახლო-მახლო ქართული სასწავლებელი არ იყო, მას ლოცვანი ოჯახში უსწავლია. ჰაჯიას მშობლები იყვნენ ჯანმრთელი, ფიზიკურად ძლიერნი, ბუნებით ლამაზი, კეთილი, მეზობლების მოსიყვარულე, იუმორისტულ-მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულნი, წაბლანის საცხოვრებელ უბან – საქორიაში ცხოვრობდნენ, ჰქონდათ საკმაო რაოდენობის ნოყიერი მაძული. ჰაჯიას დადებით პიროვნებად ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში ავტორიტეტის მოპოვებას მისი თბილი, ჰარმონიული, მოსიყვარულე ოჯახის დამსახურებაა.

ველიამები ერთ-ერთი უძველესი პირველთაგანი მცხოვრებია სოფელ წაბლანაში სხვა გვარებთან ერთად: აბუსელიძე, ბერიძე, თურმანიძე, ზოიძე, კეჭერაძე, მუთიძე, ბაკურიძე, მხეიძე. ველიამები ცნობის მოყვარებით, განსაკუთრებული ნიჭიერებით, სამართლიანობის ერთგულებით, ქველმოქმედების და სხვა საუკეთესო მოქალაქობრივი თვისებებით ხასიათდებოდნენ.

ასეთ საგვარეულო გარემოში აღზრდილი ჰაჯია სოფლის გარეთ, მეზობელ სოფლებში და უფრო მოშორებით ქართულ კუთხეებსა და რეგიონებში სავაჭროდ თუ სხვა მიზნებისთვის მოხვედრილი ახალგაზრდა ნდობასა და სიყვარულს იმსახურებდა. საზოგადოებრივ ორომტრიალში მყოფი ჰაჯია გარე სამყაროს ადრე ახალგაზრდობაში ეზიარა. სოფელთან ახლოს სავაჭრო გზამძლე დაახლოვა მეზობელ მხარეებში: შავშეთში, არდაგანში, ლახისტანში, მაჭახელში. ხალხთან ერთად მგზავრობდა და ოჯახის საჭიროებისათვის საჭირო საქონელიც შემოჰქონდა. ოჯახიდან გარეთ გასულ ჰაჯიას გაეზარდა სურვილი და მოთხოვნილება კარგად შეესწავლა თავისი სამშობლო საქართველო, რისთვისაც მოინახულა გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა, სამხრეთ აღმოსავლეთით მესხეთი და ჯავახეთი.

საქართველოს მხარეების და კუთხეების მონახულებამ ჰაჯიას აზროვნება, გონება და ხედვა მთლიანად ცვლის მის ხასიათს, მის ბუნებას და მის სურვილს სამშობლოში სამართლიანობის დამყარებისათვის. მან ადრეულ ასაკში დაინახა ის უბედურება რასაც თურქეთის ბატონობა აყენებდა მის ქვეყანას, მის კუთხე აჭარას.

დაინახა ის უბედურებაც რასაც მეფის რუსეთი აყენებდა სამშობლო საქართველოს. თვალთ ნახა გახლჩილი სამშობლო, თვალთ ნახა გახლჩილი სარწმუნოება, გული აღევსო სინანულით, ამასთან განიმსჭვალა ბრძოლის ჟინით რათა სამშობლოს საკეთილდღეოდ მასაც დაეღვა ერთი აგური, მასაც დაეღვარა ოფლი და თუნდაც საჭიროების დროს სიცოცხლეც შეეწირა.

აჭარის ძნელბედობის ჟამს 1878-1879 წლებში როცა მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთს შორის ომი მაშინ ჰაჯია 10-11 წლის იყო. ამ დროს აჭარის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ აჭარის თავდადებული პატრიოტები, პროგრესიულად მოაზროვნე თავადები (ბეგები) ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა აჭარა ერთხელ და სამუდამოდ გამოეხსნათ თურქ-ოსმალთა ტყვეობიდან, ამ მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი იყო ქედის რაიონის სოფელ ახოში მცხოვრები თავდგირიძეები. მათი სახელი და მიზანი მათი ზემო აჭარის მოსახლეობისათვის კარგად იყო ცნობილი.

ბავშვობაში მოსმენილი აჭარელთა სატკივარი მომავალში ჰაჯიას მისწრაფების მიზანს აყალიბებს. დაახლოებოდა მამულიშვილური ღირსების მქონე ადამიანებს და ჩამდგარიყო ეროვნულ - გამანთავისუფლებელ მებრძოლთა რიგებში. ჰაჯია იმდენად დაუანლოვდა თავდგირიძეების ოჯახს და მისი გონება მახვილობით, მომხიბლველობით შექმნა ისეთი ატმოსფერო, რომ თავდგირიძეების შთამომავალი როხსეთი ცოლად შეირთო. უხუცესთაგან გვსმენი, რომ ჰაჯიას განსაკუთრებული ფსიქოლოგიური თვისებები გააჩნდა. ნებისმიერ მოსაუბრესთან შეხვედრისას ყოველთვის მის სასარგებლოდ ახდენდა აზრის განვითარებას. ჰაჯიას ეს ბუნებრივი თვისება შეუმჩნეველი არ დარჩენილა მაშინდელი საზოგადოებისთვის.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში თურქ-ოსმალთა 253-წლიანი ბატონობიდან ფაქტობრივად განთავისუფლებული და მეფის რუსეთის მიერ აჭარის მიმართ არაგულისხმიერი და სუსტი დამოკიდებულების

შედეგად დამკვიდრებული ბუნდოვანი ვითარების გამო, შექმნილიყო ქაოსი. თურქ-ოსმალთა მომხრეები აჭარის მოსახლეობას აშინებდნენ სარწმუნოების წართმევით, მოუწოდებდნენ დაეტოვებინათ სამშობლო და წასულიყვნენ თურქეთში საცხოვრებლად. გზას აცდენილი, გაუთვითცნობიერებელი აჭარელი მოსახლეობის დიდი ნაწილი წავიდა თურქეთში. ამ დამღუპველი მოვლენის შესაჩერებლად ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტებმა დაიწყეს მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ სარწმუნოებას არვინ წაართმევდა, რომ ისინი უფრო დიდ ცოდვას ჩადიან საკუთარი ცოლშვილისა და სამშობლოს მიტოვებით, მიდიან თავიანთ სახლ-კარიდან უცხო ქვეყანაში უსახლკაროდ, ისინი დიდ გაჭირვებაში ჩაივლებენ თავიანთ თავს, არც უსაფრთხოებით იქნებოდნენ დაცულნი. ამ საქმეში დიდი სამუშაო ჩაატარა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტებმა, რომელშიც მონაწილეობდა ჰაჯია ველიაძე. დარწმუნების პოლიტიკამ შედეგი გამოიღო. მუჰაჯირობა შეჩერდა.

თურქ-ოსმალთა მოთარეშე ერთ-მა უცნობმა სამხედრო პირმა „იუზბაშმა“ (ასის მეთაურმა), რომელსაც თვალში არ მოუდიოდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტები, რიგში დააყენა, დაიწყო მათი დაშინება. რიგში პირველი იყო მაღალმთიანი აჭარის სოფელ ღორჯომის წარმომადგენელი. მას პირველს შეეკითხა მოთარეშე თურქი: ვის მხარეს იყო - თურქეთის თუ რუსეთის. გულადმა ღორჯომელმა უშიშრად უპასუხა, რომ რუსეთის მომხრეა. ამ პასუხისათვის ესროლა ტყვია და მოკლა ადგილზე. რიგში მეორე კაცი ჰაჯია ველიაძე იდგა. თურქი „იუზბაშის“ იგივე შეკითხვაზე ჰაჯიამ თავის გადარჩენის მიზნით წინასწარ მოიფიქრა პასუხი და უთხრა: („ააღმედიან ბარაბე“) - რასაც ხალხი გადაწყვეტს - იმის მომხრე ვარ. პასუხის დასრულებისთანავე ჰაჯიასთვის უსვრია ტყვია სახეში (ყბაში). ნასროლი ტყვია ერთი მხრიდან მეორე მხარეს გასულა და ჰაჯია დავარდნილა მიწაზე. რიგში მესამე იყო ქობულეთელი

და მის წინ მომხდარი ფაქტის დამსწრემ დროულად მიიღო სწრაფი გადაწყვეტილება. თურქს კითხვის დასრულებამდე დაასწრო და მოკლა თავგასული თურქი. ქობულეთელმა გულადმა კაცმა იხსნა დანარჩენი შემადგენლობა უეცარი სიკვდილისგან.

მოთარეშე თურქის ტყვიით მძიმედ დაჭრილი ჰაჯია განიკურნა და მის შემდეგ 50 წელი იცოცხლა.

ჰაჯია მშვიდ ცხოვრებას აგრძელებს სოფელ წაბლანაში, ამასთან კავშირი არ გაუწყვეტია ეროვნულ-გამანთავისეფლებელ მოძრაობის ლიდერებთან. წაბლანაში შეეძინა ხუთი შვილი - სამი ვაჟი: ხუსეინი, ომერი, რეჯები და ორი ქალიშვილი: ზეინები და ზაიდა. მისი სიმდიდრე ოჯახის, მეუღლის და შვილების სიყვარული იყო. ოჯახის დარბაისელი ქალბატონი როხსეთ თავდგირიძე მეუღლისა და შვილების მოყვარული იმ დროითვის გამორჩეული ქალბატონი გახლდათ. ჰაჯიას და როხსეთის ოჯახი უჩამბის ხეობაში თვალსაჩინო იყო.

ჰაჯიასთვის ქველმოქმედება შინაგანი მოთხოვნილება იყო. მეზობლებს მძიმე ფიზიკური სამუშაოების შესრულებისთვის უანგაროდ ეხმარებოდა, სხვებსაც მოუწოდებდა ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება ჰქონოდათ. მეზობლებზე დახმარება უანგაროდ უნდა ყოფილიყო. ჰაჯია საყვედურობდა იმ ადამიანებს, ვინც დახმარებას თავს არიდებდა.

- თავდაბლობამ, თავაზიანობამ, მოხერხებულ და მისაღებ აზროვნებამ ავტორიტეტი აუმაღლა არა მარტო ეროვნულ-გამანთავისეფლებელ მოძრაობაში, არამედ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებთანაც. ენერგიით სავსე ახალგაზრდამ ეროვნულ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად შეისწავლა ქართული წერა და კითხვა. ამ საქმეშიც მისმა შრომისმოყვარეობამ, პრინციპულობამ და მონღოებამ გადალახა მისი ცხოვრების გზაზე წარსულის დადღასმული ტკივილი. ისწავლა ქართული წერა-კითხვა, რამაც ხელი შეუწყო მისი ავტორიტეტისა და მისდამი ნდობის ამაღლებას.

სოფლის გარეთ სახელმძღვანელო და ავტორიტეტიანი ჰაჯია თავისი ასაკის

ტოლი ადამიანებთან ერთად ჩართულიყო თავისი სოფლის ცხოვრების აკარგებლობაში. იმ დროინდელი თავკაცების ერთად მართავდნენ საჭირბოროტო საკითხებს. ახლოს იყვნენ სოფლის ყველა ოჯახთან, კარგად იცოდნენ სოფლის მცხოვრებთა ხასიათი და თვისებები. გასაგებად, რომ ითქვას იცოდნენ ვინ რისი მოქმედი და რანაირი იყო, სოფელმაც იცოდა ჰაჯიას სამართლიანობა, პირუთვნელობა, პრინციპულობა. ამიტომაც სოფლის მოსახლეობაში დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და დიდი რიდით ეპყრობოდა. მაშინდელ სოფლის თავკაცს, თვით სოფელი ირჩევდა, სოფელს არ ჰქონდა რაიმე ორგანიზებული და სოფლის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტები. მის საკანონმდებლო აქტს შეადგენდა დამკვიდრებული ტრადიციები და ტრადიციების გათვალისწინებით მიუკერძოებელი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებათა უთუოდ შესრულება. სოფლის თავკაცი დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად ნაჩქარევად არ მიიღებდა გადაწყვეტილებას. თავკაცს მის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა სამართლიანი, ავტორიტეტისანი მეზობლები. მათ რიცხვში შედიოდა ჰაჯია ველიაძე. მისი მონაწილეობით სოფლის არა ერთი მტკივნეული საკითხი სამართლიანად და დადებითად მოგვარებულა.

მთა ღომას გარშემო უჩამბასა და მერისის შორის უთანხმოება წარმოშობილა შავშეთის ქედის წინაველას თხემის დროებითი საძოვრების ტერიტორიის საკუთრების შესახებ. დასახელებული წინაველა მერისა და უჩამბას შორის შუაგამყოფი ქედია. მერისელები ამტკიცებდნენ, რომ წინაველას ფართობები უჩამბის მხარესაც მათ ეკუთვნოდათ. უჩამბის მოსახლეობა არ ეთანხმებოდა და პირიქით მერისის მხარის მდებარე საძოვრებიც უჩამბებს ეკუთვნითო. მთის საძოვრების გარშემო წამოჭრილი უთანხმოება უფრო გამწვავდა. მიუხედავად იმისა რომ მერისა და უჩამბებს შორის კარგი ურთიერთობა იყო. ერთმანეთთან ყავდათ ახლო ნათესაეები, ბიძიები, მამიდები, მეუღლეები და მოყვრობასთან დაკავშირებული სხვა მრავალი ურთიერთობანი.

უჩამბის არგუმენტი იყო წინაველას თხემის ერთ-ერთ მონაკვეთზე სახელდობრ ჯვარზე ჰქონდათ უძველესი დროის ქვის დროებითი თავშესაფარი ნაგებობები, რომლის ნაკვალევი ახლაც კარგად ემჩნევა. უჩამბაში დღესაც არის შემორჩენილი მომხდარი არასასურველი შემთხვევის - ყაჩაღების „თავდასხმის“ ამბავი. ამ მიზეზით იქიდან გადასულან ახალ სამოსახლო ადგილზე, აუშენებიათ ხის დროებითი ორსართულიანი, არასასურველი პირებისთვის შეუღწევადი სახლები. მერისლების არგუმენტს წარმოადგენდა წინაველას თხემის გორას უკან კერძოდ „ლაშეზე“ მოგვიანებით აშენებული დროებითი ხის სახლები. მანამდე იყვნენ მერიახევის სათავის მარჯვენა მხარეს „საკაჟიაზე“.

წამოჭრილ უთანხმოებას ზოგიერთი ავის მქნელი პირები ორივე მხარეს აქეზებდნენ, მერისლებსა და უჩამბლებს შორის შუღლს აღრმავებდნენ.

ხეობის გონიერმა მმართველებმა საქმეში მაშინდელი სახელმწიფო მოხელეები ჩარიეს.

წამოჭრილი დავის კეთილად მოგვარებისათვის ჰაჯიამ დიდი შრომა გასწია. ეძებდა გზებს ამ ორი კუთხის მოსახლეობისთვის კეთილგონიერი გადაწყვეტილების მისაღებად. ამ მიზნით ჰაჯია ეწვია ქუთაისის გუბერნიის უფროსობას. დაწვრილებით გააცნო შექმნილი ვითარება, ამასთან გაუზიარა მისი მოსაზრება და წინადადება საქმის კეთილად დასრულების შესახებ. მან მდგომარეობის სრულყოფილად ახსნითა და დარწმუნებით შეძლო ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელი ჩამოეყვანა, ადგილზე შეესწავლა ვითარება, შეხვედროდა მოდავეთა ორივე მხარეს და გაეგო მათი მოთხოვნები, ასეც მოხდა. ადგილის (ტერიტორიის) დათვალიერებით, სახელდობრ ჯვარის მინდორზე ორივე მხარესთან შეხვედრით და მათთან შეთანხმებით გუბერნიის წარმომადგენლობამ შესთავაზა ასეთი მოსაზრება: რომელი მხარიდანაც ცხელი საჭმელი ავიდოდა ჯვარის მინდორზე მთაც მისი იქნებოდა. ცხელი საჭმლის სოფლიდან ჯვარის მინდორზე მიტანით ისაზღვრებოდა

მანძილი, თუ რომელი მხარე იყო ახლოს სადაო ტერიტორიასთან.

ორივე მხარის მიმართულებით წავიდნენ საჭმლის (კერძის) დასამზადებლად და დანიშნულ ადგილზე მისატანად. უჩამბლებმა წაბლანელი სულიემან ბერიძის გამოცდილება და რჩევა გაიზიარეს, ქვაბით გააკეთეს ღომი, მისაყოლებელი ყველიც გაამზადეს და ჩქარი ნაბიჯით გასწიეს ჯვარი მინდორისაკენ. მიტანილი ღომი წარმომადგენელმა გასინჯა თითოთ, ღომს იმდენად სიციხე შეენარჩუნებინა რომ სტუმარს თითი მოწვა.

მერისლებმა მოიფიქრეს ერბო-კვერცხით გაეცსოთ ქვაბი მათი აზრით დამწვარი კარაქი უფრო დიდხანს შეინარჩუნებდა სიციხეს. მათი აზრი არ გამართლდა, მათ მიერ მიტანილი ერბო კვერცხი გაცილებით უფრო გრილი იყო ვიდრე წაბლანელების მიერ მიტანილი ღომის ფაფა. ამ ამბის შემდეგ წინაველის თხემის აღმოსავლეთის ტერიტორიას დაერქვა მთა ღომა.

სადავო საკითხთან დაკავშირებით ქუთაისიდან ჩამოსულმა სტუმარმა ასე გადაუწყვიტა: აქ სადავო არაფერი ყოფილა, წინაველას თხემის უჩამბლების მხარეს - უჩამბლები ისარგებლებენ, ხოლო მერიას ხევის მხარეს - მერისლები.

წავიდა იმ დროინდელი თაობა, მოვიდა ახალი თაობა. ისევ გრძელდება მოყვრობა, მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა.

მთის პირობებში მყოფი მოსახლეობა გალალბული არ იყო ცხოვრების ფუფუნებით. არც ბუნება წყალობდა დიდი სიუხვით. მკაცრი და ხანგრძლივი ნ-თვიანი, უნვთოვლიანი ზამთარი, ოჯახის შენახვისთვის მოითხოვდა სურსათით სათანადოდ და სამყოფი მარაგის შექმნას. ჰაჯიას შეიდსულიანი ოჯახი ასეთ პირობებში მეზობლების თანაბრად და მეზობლების გვერდით ცხოვრებას ახერხებდა. ჰაჯია ოჯახს მზრუნველობას არ აკლებდა ამისათვისაც პოულობდა დროს. ყველაფერს რა თქმა უნდა დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა თუ არა, შრომის მოყვარე, ჯანმბაგარი, იდეალი, გვერდით მდგომი, ერთგული და შვილების მოსიყვარულე მეუღლის - ქალბატონი



როსსეთის გარეშე. როსსეთსაც უყვარდა სამშობლო, ჰქონდა სურვილი და იმედი ამ მხარის დედა სამშობლოსთან ერთად აღმშენებლობის – აყვავების. ბელნიერი მომავლის იმედით ხელაგდა გაჭირვებიდან და სიღუბნიდან გამოსავალს.

ჰაჯიას ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობას ზურგს უმაგრებს მისი ერთგული ძმა – დურსუნი. ჰაჯიას ოჯახიდან გასვლა დიდი ხნით უხდებოდა. დურსუნი ოჯახს ეხმარებოდა ყოველნაირად.

მაშინდელი სამსახურის, ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო მოხელეებთან ავტორიტეტის მოხვეჭამ გარკვეული დახმარება გაუწია წაბლანელებს. ჰაჯია პირველი პოლიციელი იყო სოფელ წაბლანიდან ქუთაისის გუბერნიაში. წაბლანელი მეკლუდ თურმანიძე, ახმედ კეჟერაძე, ხასან ბერიძე, მუხამედ ბერიძე, მოფრინეთში მცხოვრები მურად ბერიძე და სხვები ქუთაისის პოლიციაში სამუშაოდ იყვნენ წასული. მთის პირობებში გაზრდილი ალაღ-მართალი, ფიზიკურად ძლიერი პირები ესაჭიროებოდა პოლიციას ქალაქ ქუთაისში - სამსახურისათვის.

ჰაჯიას რეკომენდაციით ქუთაისის პოლიციაში სამუშაოდ ჩაყვანილი წაბლანელები გულმოდგინდრდ ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას. მათი მოწოდება იყო ჰაჯიასთვის ჩრდილი არ მიეყენებინათ. იმდენად კარგად ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას ქუთაისის პოლიციაში, რომ თუ პირველ ხანებში ჰაჯია სთხოვდა ხელისუფლებას მისი მეზობლების სამუშაოზე მიღებას, შემდეგ ხელისუფლება აძლევდა შეკვეთას ჰაჯიას სამუშაოდ ჩაეყვანა ახალი ნაკადი, ჰაჯიას სახელით მოფრინეთიდანაც ჩასულან ქუთაისის პოლიციაში სამუშაოდ. ოჯახური პირობების გამო წაბლანელებს ქუთაისის პოლიციაში სამსახური დიდხანს ვერ გაუგრძელებიათ. პოლიციაში სამსახურის დროს გაციებით დაავადებული წაბლანელი ხასან ბერიძე ოჯახში მომავალი აჭარისწყლის დასახლებაში გარდაიცვალა. დიდი ზამთრის გამო იქვე სკოლის შენობასთან

დაუკრძალავთ. მოფრინეთელი მურად ბერიძე, ჰაჯიას ძმის დურსუნის სიმამრი, გაციების შედეგად სახსრების ანთებით ისე მძიმედ დაავადდა, რომ ყავარჯენის გარეშე გადაადგილება არ შეეძლო. სიცოცხლის ბოლომდე ხეიბარი დარჩა ფეხებით და ხელის მტყენით.

ჰაჯიამ მისდამი ადამიანის დაახლოებისა და ყურადღების მიქცევის ბუნებრივი ნიჭის უნარით განსაკუთრებული ურთიერთობის ატმოსფერო შექმნა მის გვერდით მომუშავე ქართველებში. დაინტერესებული იყვნენ მასთან კარგი ურთიერთობით, მეგობრული ფესვით მშობლიურ კუთხესთან მოწყვეტილი თანასოფლელების მიმართ ძმობის დადასტურებისათვის. ამისი გამომავალი იყო მისი უფრო მაღალი გასამრჯელოს და საპასუხისმგებლო სამსახურზე გადაყვანა. ჰაჯია ინიშნება რაჭის სახელმწიფო ტყის უფროსად, სახელმწიფოს ხარჯზე.

ამ რეგიონში მუშაობით გაფართოვდა ჰაჯიას გარე სამყარო, ის ახერხებდა სამსახურებრივ მოვალეობის კარგი შესრულებით ხელისუფლების სიყვარულს და მისი კეთილი ჰუმანური თვისებით მოსახლეობის ფართო ფენების სიყვარულის მოპოვებას.

ქუთაისის პოლიციაში და რაჭა ლეჩხუმის სახელმწიფო ტყის მცველის თანამდებობაზე ხუთი წელი დაჰყო 1907 წლიდან 1912 წლამდე. ამ დროის მონაკვეთში ჰაჯიას მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სპეცტანსაცმელ-ფეხსაცმელის სახელმწიფო ხარჯებით უზრუნველყოფამ, დაზოგა მისი აუცილებელი საჭიროების დანახარჯი. როცა მატერიალური უზრუნველყოფა გაიუმჯობესა ამას მოყვა მისი ხელგაშლილობა ხელმოკლე და გაჭირვებულ ოჯახების მიმართ ქველმოქმედება.

ჰაჯია დაუახლოვდა ამბროლაურის რეგიონის ჭრებალოს უბნის სოფელი ბაჯიში მცხოვრებ მრავალწევრიან გერმანე სვანიძის ოჯახს. ამ ოჯახთან დაახლოებული იყვნენ ე. წ. იატაკქვეშა მოძრაობის ხელმძღვანელები-ბოლშევიკები, რომლებიც ებრ-

ძოდნენ მეფის რუსეთის თვითმპყრობელურ ხელისუფლებას. ამ ბრძოლაში ჩართული იყო სვანიძეების წარმომადგენელი ალიოშა სვანიძე - შემდგომში იოსებ ჯულაშვილის მეუღლის ძმა. ალიოშა სვანიძესთან კარგი ურთიერთობის დამყარებით ჰაჯია გაეცნო მაშინდელი კონსპირაციული მოძრაობის ლიდერებს იოსებ ჯულაშვილს და სხვებს. ჰაჯია ველიაძე გერმანე სვანიძის ოჯახს დიდ დახმარებას სურსათით უწევდა. გერმანეს შვილის ვალერიანის გადმოცემით ჰაჯია რომ გამოჩნდებოდა მათ ოჯახში ბავშვები ცეკვას იწყებდნენ. გერმანე სვანიძის ოჯახში 1910 წლისათვის 10 სულისაგან შესდგებოდა: თვითონ გერმანე, მისი მეუღლე - სოფიკო ექვთიმეს ასული მასხარაშვილი. მათი შვილები - 6 ქალიშვილი: ნინა, პელაგია, ცაბო, ნადია, მარო-გოგილა, სონია და 2 ვაჟიშვილი: ალიკო და ვალერიანი.

ჰაჯია იმდენად დაუახლოვდა სვანიძეების ოჯახს, რომ მათი ოჯახის მეოთხე ქალიშვილი ნადია სვანიძე შეუყვარდა. ჰაჯიასი და ნადიას სიყვარული არ ყოფილა იდუმალებით მოცული. ნადიასი და ჰაჯიას ქორწინება ჩატარდა ნადიას სოფელ ბაჯში. ნადიას ძმის ვალერიან სვანიძის გადმოცემით ჰაჯია ქორწინებამდე მოინათლა ქრისტიანულად 1914 წლის ზაფხულში მისი ნათლობის პროცედურას შორიდან უყურებდა და განსაკუთრებით დაამახსოვრდა ფიზიკურად დიდი და ჭარმაგი ასაკის კაცის ნათლობა: მოიტანეს ზის დიდი კასრი გაავსეს წყლით, მღვდელმა ქრისტიანულად მონათლანა. მღვდლის მითითებით სამჯერ ჩაეშვა ცივ წყალში. მისი ნათლობის სახელი - ალექსანდრე ცნობილი იყო ბაჯში და რაჭის სოფლებში. ნათლობის დასრულების შემდეგ გადაწყდა ნადიასი და ალექსანდრეს ჯვრის წერის ცერემონია. ამ პროცეს უამრავი ახლობელი, ნათესავი, სვანიძეებისა და სოფლის მცხოვრებლები ესწრებოდნენ. ნადიასი და ალექსანდრეს ჯვრის წერა ქართული ტრადიციით - ხანჯლების ქვეშ გატარებით დასრულდა.

ჰაჯია ველიაძესა და ნადია სვანიძეს ბაჯში შეეძინათ ვაჟიშვილი, რომელსაც სახელი - შოთა დაარქვეს.

ჰაჯიას აჭარაში თავის ოჯახში დაბრუნების შეფერხებამ, მეუღლე, როხსეთს უამრავი ეჭვი გაუჩინა ქმარის მდგომარეობის შესახებ. შიშობდა რაიმე გასაჭირში ხომ არ იყო ჩავარდნილი. ქმრის ერთგულმა როხსეთმა ეახლა ჰაჯიას მიერ ქუთაისში სამუშაოდ ნამყოფ მეზობლებს მეკლუდ თურმანიძეს, გადასცა ამ საქმისათვის გაყიდული ორი ძროხის ფული და სთხოვა მოეძებნათ ჰაჯია, გაეგოთ რა გასაჭირი ქონდა და დაებრუნებინათ თავის შვილებთან. ამასთან დაუბარა, რომ თუ ჰაჯიას ჰყავდა ცოლი და შვილები თან წამოეყვანათ. ხელმოცარული არ უნდა დაბრუნებულიყვნენ, დანაბარები უნდა შეესრულებინათ.

როხსეთის წარგზავნილებმა ადვილად მიაგნეს ჰაჯია, რადგანაც ჰქონდა ინფორმაცია ჰაჯიას რაჭის ტყის დაცვის უფროსად დანიშვნის შესახებ. წარგზავნილებმა გერმანე სვანიძეს ოჯახს გულახდილად აცნობა ჰაჯიას ოჯახური მდგომარეობა. ამასთან გაუჭირდათ მაგრამ მაინც დაარწმუნეს გერმანე სვანიძე, რომ ნადიასაც წაიყვანდნენ აჭარაში, მას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ნადიასი და ჰაჯიას სიყვარული ისე მტკიცე იყო, რომ ნადიას თანხმობა ჰაჯიასთან ერთად ყოფნისა სხვისი ჩარევების გარეშეც გადაწყვეტილი ჰქონდა. შვილის სიყვარულის ერთგულმა გერმანე სვანიძემ გამოიჩინა დიდსულოვნება, დაძლია ემოციები და თანახმა გახდა იმაზე თუ რას გადაწყვეტდა ნადია.

ამ მოვლენების მაშინდელმა თვითმხილველმა ვალერიან სვანიძემ გადმოგვცა რომ ყველაზე მეტად შეწუხდა ნადიას დედა - სოფიკო მასხარაშვილი. ნადიასი და ჰაჯიას სიყვარულმა, თავისი ახალგაზრდული დრო მოაგონა, სიყვარულ-გამოცდილ დედამ სოფიკომ გამოიჩინა სულგრძელობა მაღალი ადამიანური თვისებები და წინააღმდეგობა აღარ გაუწია თავის შვილს. იმ დროისათვის ნადიას ერთი წლის შვილი - შოთა ყავდა ჩირაღდნად, არ უნდოდა შოთა უმამოდ გაზრდილიყო. არც ჰაჯია იყო სიტყვა მწყვრალი მისცა მტკიცე პირობა ნადიას მშობლებს, რომ ნადიას ბედნიერებისათვის ყველაფერს გააკეთებდა, მუდამ იქნებოდა მისი ერთგული.

გადაწყდა ჰაჯია მისი მეუღლე ნადია ერთი წლის ბავშვით წაბლანიდან ჩასულ პირებთან ერთად უნდა გამოეზავრებულიყვნენ რაჭის სოფელ ბაჯიდან აჭარის მთიან სოფელ წაბლანაში. გერმანე სვანიძემ გზა დაულოცა თავის შვილს ნადიას და თან უანდერდა: წმინდად ეტარებინა ქართველი ქალის ღირსეული სახელი, არ შეერცხვინა სვანიძეთა გვარი და დაემშვიდობა. მაშინდელ ღუბჯინის ცხოვრების პირობებში ტრანსპორტირების ერთად-ერთი საშუალება ურემი იყო. მოკლე მონაკვეთებზე საჭაპანო ტრანსპორტით მგზავრობა რაოდენ ძნელი და მომაბეზრებელია, ისიც ბავშვიანი დედა ქალისთვის.

სამი-ოთხი დღის მგზავრობით ჩამოაღწიეს შუახევამდე. შემორჩენილია ახლობელთა მეხსიერებაში მგზავრობის დროს ნადიას შეკითხვა ჰაჯიაზე: - „სად მიგყავს ჩემი თავიო“

ჰაჯია უპასუხებდა თურმე: - „გუდნის შეერეშიო“.

- როგორია „გუდნის შეერეო“,

- „ისეთი კარგია, ისეთი ლამაზი ქალაქია მივალთ და ვნახავთო“.

ამ კითხვა-საუბრით მოაღწიეს სოფელ წაბლანაში. ნადია სვანიძე ადვილად შეეჩვია წაბლანის სამეზობლო სამყაროს, განსაკუთრებით თავისი სქესის წარმომადგენლებს.

რაჭის მთაგორიან ბუნებაში გაზრდილ ქალბატონ ნადიას არ გაჭირვებია აჭარის მთის სოფლის წაბლანის ბუნებაზე შეგუება. წაბლანის რელიეფი ისეთივე ნაოჭაა, როგორიც ბაჯის. მსგავსებაა ბუნების წიაღის, ჰაერის, წელიწადის პერიოდების: ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომისა. სამეურნეო საქმიანობაც დიდად არ განსხვავდება რაჭული ცხოვრების სამეურნეო საქმიანობისაგან.

მისი ერთად ერთი გაჭირვება იყო მისი ახლობლებისაგან და ძმებისაგან შორს ყოფნა. მაშინდელი ძნელი და რთული პირობების გამო, ვერ ხერხდებოდა, არ იყო მგზავრობა ადვილი. მას რაჭიდან წაბლანამდე მგზავრობის დროს გზაზე გაუცივდა პირველი შვილი შოთა, რომელიც ანთებით გარდაიცვალა.

ამ სულიერმა ტრავმამ ერთგვარად ჩააგდო უიმედობასა და გულგატეხილობაში, მაგრამ მის გარეშე მყოფმა ადამიანებმა არ დაუკარგეს მომავლის რწმენა, კეთილი დარიგებებით ადვილად გადაატანინეს შვილის დაღუპვით მიყენებული ტკივილი. განგების ძალით და რწმენით მალე შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც სახელად აშო დაარქვა. ეს იყო მისი გულის ხელახალი განარება, და ბედნიერების ვარსკვლავის ამობრწყინება. მას შეემატა კიდევ ქალიშვილი ლეზეთი და ჰურმიზი; ვაჟიშვილი: ენვერი და სელიმი (სანდრო).

მიუხედავად ოჯახური დატვირთვისა და აჭარის მთის პერიფერიაში ცხოვრებისა ჰაჯიას აჭარის ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობის ცენტრთან კავშირი არ გაუწყვეტია. პირველი მეუღლის ახლობლებს - თავდგირიძეებს ჰაჯიას მიერ მეორე ცოლის შერთვასთან დაკავშირებით უკმაყოფილება არ გამოუხატავთ. პირიქით, ჰაჯიას საქართველოს იმერეთის კუთხესთან დამოყვრებით დაინახეს დიდი მხარდამჭერი ძალა.

ჰაჯიას უფროსი ქვისლი თბილისში მცხოვრები ხეთაგიშვილები, მეორე ქვისლი აფხაზეთში მცხოვრები ხაინდრაუები, მესამე ქვისლი იმერეთში მცხოვრები ნემსიწვერიძეები მეოთხე ქვისლი - ლალანიძე, მეხუთე ქვისლი - ჭელიძე. ჰაჯიას სიდედრის მხარის შთამომავალი მასხარაშვილები, სიმამრის მხარე სვანიძეები და სხვები, რომლებიც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ მთელს საქართველოში აჭარის, ძველი ქართული კუთხისადმი სიყვარულის აღდგენაში. პროგრესულად მოაზროვნე და აჭარის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ავტორიტეტული წარმომადგენლები მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჰაჯიას ავტორიტეტს, ჰაჯიას მჭერმეტყველურ - და მიმზიდველ აზროვნებას. ამიტომაც ჰაჯია 1913-1918 წლებში აჭარის ეროვნულ გამანთავისუფლებელი მოძრაობის ბირთვის შემადგენლობაში ითვლებოდა.

1914 წელს აჭარაში ცნობილი გახდა თურქეთის დივერსიის მოსალოდნელობა, ამ დივერსიის თურქი „ჩეთნიკები“-ს შე-

მოსევის წინააღმდეგ თავის დროზე აღსდგა აჭარის პატრიოტები. შეიქმნა „ჩეთნიკებთან“ ბრძოლის ბირთვი, მათ პატაკით მოახსენეს (მეფის რუსეთის) კავკასიის მთავრობას ზომების დროზე მიღებისათვის. ამასთან აღუთქვეს აჭარელთაგან სათანადო დახმარება. ეს გაფრთხილება კავკასიის მთავრობამ უყურადღებოდ დატოვა. იმ ხანად თურქეთმა თავისი ქნეს „ჩეთნიკებით“ დაიწყო აჭარაში თარეში. პატრიოტი აჭარლები „ჩეთნიკების“ ხელისშემწყობად მონათლეს. მეფის დამსჯელმა რაზმმა პოლკოვნიკ გუბსკის მეთაურობით პატრიოტთა ჩამოხრჩობა განიზრახა. პატრიოტთაგან ორი, თოფან-ბეგ თავდგირიძე და შახველედ აბდიოლი-დიასამიძე ხიჭაურში ჩამოხრჩეს. 192 პატრიოტი განწირული იყო ჩამოსახრჩობად. 192 პატრიოტის ჩამოხრჩობა იხსნა მთავრობის სამსახურში მყოფმა პატრიოტმა სტეფანე ქემხაძემ, რომელსაც ბედად გადარჩენილ პატრიოტთა გამაფრთხილებელი პატაკი შეენახა.

1914 წლის დეკემბერი იყო თურქ ოსმალეთმა ფარული და აშკარა დივერსიები წამოიწყო აჭარაში, რითაც მოსვენებას არ აძლევდა რუსეთს. მეფის რუსეთის მოხელეები ბრალს აჭარლებს დებდენ, ფარულ ღალატს და თურქებისადმი ხელშეწყობას აბრალდებდენ. ხელისუფლებამ გადაწყვიტა მეამბოხე და მოღალატე აჭარლების გასახლება. ამჯერად აჭარელებს შინაური „მტრისაგან“ შეექმნათ საფრთხე. ამ საშიშროებიდან აჭარლების გადარჩენის მიზნით 1915 წელს თბილისში კავკასიის მთავარ მმართველთან 18 კაციანი დეპუტაცია ჩავიდა. ამ დეპუტაციის ჩასვლით და მაშინდელი კავკასიის საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის დახმარებით გადაურჩა აჭარა „მოღალატე“ აჭარლების სამუდამო გასახლებას.

მწერალ ემენ დავითაძის მიერ 1992 წელს გამოცემულ წიგნში „სოფლის აღმასწავლებელი“ მოცემულია 18 კაციანი დეპუტაციის ფოტო ასლი. აქვე მითითებულია დეპუტაციაში მონაწილეთა ამოცნობილი პირების ვინაობა, რვა კაცის ვინაობა ამოცნობილი არ არის. დავინტერესდით აღნიშნული სურათი ვაჩვენეთ ჰაჯიას ძმის შვი-

ლის მეუღლეს 85 წელს გადაცილებულ ეხსან ველიაძეს. მისთვის წინასწარ არ გვითქვამს ვისი სურათი იყო, მას ვთხოვეთ კარგად დაკვირვებოდა და თუ ვინმეს ნაცნობს აღმოაჩენდა ნაჩვენებ სურათზე. კარგი დაკვირვების შემდეგ სურათის მესამე რიგის (მარჯვნიდან) მეორე პირის სახეს ხელი დაადო და თქვა ამისთანა უღვაში და შავი თვალწარბი, მოგრძო სახე მის მამამთილს ჰქონდა, კაცი კაცს გავს და ზუსტად როგორ ვთქვაო. კვლავ მოითხოვა აგვეხსნა რაში იყო საქმე და რატომ ვაჩვენეთ, ისიც დაამტკიცა, რომ მცდით რას ვიტყვი, თუ რაშია საქმეო. ვუთხარით ჰაჯიას შესახებ რაიმე თუ გახსოვს. გვიპასუხა: ჰაჯიას ერთსართულიანი სახლი ჰქონდა, ყავდა პირველ მეუღლიდან ხუთი შვილი, მეორე მეუღლე ნადიდან ექვსი შვილი, ერთი ადრე გარდაიცვალა, მეუღლე ნადია 1938 წელში გარდაიცვალა, მერე სახლი დაეწვა და ძალიან განიცდიდა, რომ მას ჰქონდა რაღაც საბუთები და მთლიანად დაეწვა. რა საბუთები იყო უცნობად დარჩა. 1943 წელში ჰაჯია(დაახ. 80 წლის ასაკში) გარდაიცვალა. ამ საუბარმა გაგვიჩინა ინტერესი ჰაჯიას შესახებ დაწვრილებით ინფორმაცია მოგვეპოვებინა.

ამის შემდეგ გაჩნდა რამდენიმე კითხვა ჰაჯიას ვინაობის დადგენისათვის.

1. ჰაჯია აჭარის ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობაში ახალგაზრდობიდანვე ჩართული, მისი ამ მოძრაობაში მოხვედრა ახოელ თავდგირიძეთა დამსახურებაა. მათთან მოყვრობით და მათთან გვერდში ყოფნით მოხდა პარტიული მოძრაობის ადამიანებთან, რომლებიც აჭარისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების ერთგულნი იყვნენ. ჰაჯია მათთან აღიზარდა, ამ საზოგადოების მეთაურ პირების მიერ მათთვის ჰაჯია უაღრესად ცნობილი იყო, როგორც მტკიცე ნებისყოფის პრინციპული და შემტვევი დაუზარელი ადამიანი. სავარაუდოა ასეთი პიროვნება მოექმნათ დეპუტაციის შემადგენლობაში ჩასართავად.

2. მაშინდელი დროისათვის ჰაჯია მატერიალურად მდიდარი არ იყო, მაგრამ ჰაჯიას საზოგადოებაში მოწესრიგებულად



აჭარელთა 1915 წლის დეპუტაცია კავკასიის მთავარმართებელთან  
მესამე რიგში მარჯვნიდან მეორე ჰაჯია ველიაძე

ყოფნაში ბადალი არ ყავდა. საზოგადოებაში ქცევის წესებისა და ნორმების შესრულების უშენიშვნო პიროვნება იყო. ესეც ერთ-ერთი ფაქტორია მისი დეპუტაციის შემადგენლობაში მიწვევისა.

3. ჰაჯიას სვანიძეების გვართან დამოყვრებით საქართველოში გაუჩნდა ნაცნობთა და მეგობართა ფართო წრე თბილისში, აფხაზეთში, იმერეთში და თავისთავად რაჭა-ლეჩხუმში. ეს იყო ერთ-ერთი მხარდამჭერი ძალა აჭარის დედა საქართველოსთან დაახლოების საქმეში.

4. ჰაჯიას დამოკიდებულებამ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროსთან, მისი ავტორიტეტის ამაღლება დიდად განაპირობა 40-45 წლის ასაკში მისი ქრისტიანულად მონათვლამ, აჭარელი შუახნის კაცის ალექსანდრედ მონათვლის ამბავი გაცილდა ვიწრო წრეს... ამ ნიშნითაც დეპუტაციაში ჰაჯიას ჩართვა სასარგებლო იქნებოდა.

5. დეპუტაციის შემადგენლობის შერჩევას წინ გარკვეული სამზადისი ჰქონდა დეპუტაციის შემადგენლობა ნაჩქარევად, რომ

იტყვიან: ხელისერთი მოსმით არ მომხდარა. დეპუტაციის თბილისში ჩასვლის, შეხვედრის პირობები და დრო წინასწარ იყო განსაზღვრული, არ არის გამორიცხული მეფის ნაცვალს კავკასიაში წინასწარ არ ცოდნოდა დეპუტაციის მიზანი. ამდენად დეპუტაციაში შემთხვევითი პირები არ არიან მოხვედრილი.

6. და ბოლოს ჰაჯიას ბიონურ-ფსიქოლოგიურ ჰიპნოზური მონაცემები, ადამიანებთან დაახლოების, სასურველ აზროვნებაზე გადაყვანის, მოხიბლვის ჩვეული ოსტატი იყო.

დეპუტაციის მთავარ მმართველთან წასვლა დეპუტაციის შემადგენლობისათვის რისკის ფაქტორიც იყო. ცრუ ინფორმაციით გაჯერებულ მეფის ნაცვალს, რომელსაც გათვალისწინებული ქონდა „მოღალატე“ აჭარლების გასახლება არ იყო გამორიცხული დეპუტაციის მშვიდობიანად დაბრუნება არ მომხდარიყო და იქვე დაეკავებინათ, ან დაესაჯათ.

ამიერკავკასიის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩხენკელის დახმარებით

დეპუტაციამ მიზანს მიაღწია, დაარწმუნა მეფის ნაცვალს, იმაში, რომ „მოლაღატედ“ მონათლულ აჭარლებზე ინფორმაცია არ იყო სწორი, მათი გასახლება უფრო დიდ და რთულ პრობლემებს შეუქმნიდა მთავრობას და მტერი ასეთ ნაჩქარევ რეპრესიას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. ამ დეპუტაციამ შეძლო მეფის ნაცვლის დარწმუნება და გადაარჩინა „მოლაღატედ“ მონათლული აჭარლები გასახლებას. კმაყოფილი დეპუტაცია მშვიდობიანად უკან დაბრუნდა.

1915-1917 წლებში აჭარის პოლიტიკური ცხოვრება დულდა. ყველა დიდი სახელმწიფოს მცდელობა იყო აჭარა საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია: ესენია: გერმანია, ინგლისი, თურქეთი და თავისთავად რუსეთი. აჭარის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესს შეიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება. ასეთ ვითარებაში სწორი ორიენტაცია გმირობის ტოლფასია. აჭარის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში მოვიდნენ ძმები მემედ-ბეგ აბაშიძე და ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, მათი აქტიურობით შეიქმნა სამუსლიმანო საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი კომიტეტი. 1918 წლის დასაწყისში ბათუმი დაიკავეს თურქებმა მაგრამ 1918 წლის 1 აპრილს რუსეთის საოკუპაციო ჯარმა ბათუმი დაიკავა 1918 წლის 26 მაისიდან საქართველო მარტოდ მარტო დარჩა მტრის ხროვასთან. დასავლეთიდან უტყვედენ თურქი ოსმალები და გერმანელები; ჩრდილოეთიდან - ბოლშევიკები და დენიკინელები, აღმოსავლეთიდან მუსავატელები სამხრეთიდან დაშნაკები. 1918 წლის დეკემბერში ინგლისელები ბათუმში შემოვიდნენ.




1918 წლის 26 მაისს ხელისუფლებაში მენშევიკები სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ. საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ ქვეყნად... სამი წლის არსებობის შემდეგ ქვეყანა დაიპყრო ბოლშევიკურმა რუსეთმა.

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და ჩამოაგდო თავისუფალი საქართველოს მენშევიკური მთავრობა. აჭარა-

ში შეიქმნა ბოლშევიკური მმართველობის კომიტეტები, აჭარას მიეცა არა „სამუსლიმანო“ საქართველოს სახელწოდება, არამედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ჰაჯია მთიანი აჭარის ხულოს ბოლშევიკური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს, საქართველოს რევოლუციონერ ბოლშევიკების ალიომა სვანიძის და სოსო ჯულაშვილის (სტალინის პირველი ცოლი იყო სვანიძეებიდან - ალიომა სვანიძის და სტალინი ველიაძის ქვისლად ჩაითვალა) პირადი ნაცნობობით და კონსპირაციულად პარტიული წევრობის გათვალისწინებით.

პირველ ხანებში მთიანი აჭარის ხულოს კომუნისტური კომიტეტის მთავარი ამოცანა იყო სოფლად კომუნისტური პარტიის წევრების მომრავლება და ფეხმოკიდება ფართო საზოგადოებაში. პარტიას ყველა რეგიონში ესაჭიროებოდა თავისი დასაყრდენი ავტორიტეტიანი ჯგუფები. რადგანაც მთიანი აჭარის მოსახლეობა მოიცავდა 74 სოფელს და დასახლებული უბნებით უფრო მეტს. კომუნისტების მიერ შემუშავებული გზით, ქვეყნის ცენტრიდანული მართვის ფორმის დამკვიდრებისათვის საჭირო იყო ადგილებზე მხარდამჭერთა და ძალდატანებით შემსრულებელთა მასის მობილიზება. კომუნისტური პარტია მაშინ იწოდებოდა „ბოლშევიკურ“ პარტიად და ვინც ამ პარტიის მხარდამჭერი იყო, ნებით თუ უნებლიედ ითვლებოდა უპარტიო „ბოლშევიკად“ ასეთები რეგიონებში და სოფლებში საკმაოდ მომრავლებული ჰყავდათ.

1926 წელს სოფელ წაბლანაში ჯამის დერეფანში მოხდა „უბედური“ შემთხვევა. უჩამბის თემის თავკაცის ... ცეცხლსასროლი იარაღით სასაზღვრო საგუშაგოს უფროსის მიერ გასროლით დაიღუპა ჰაჯიას ძმისშვილი მუსხამედ ველიაძე, (მას ტყვია მოჰხვდა კეფაში). იგი მეტად მოხერხებული, ჯან-ლონით სავსე, საზოგადოებისთვის თვალსაჩინო პიროვნება გახლდათ, სიტყვით გამოვიდა 1924 წელს ბათუმში ეროვნულ ყრილობაზე. მიღებული ჰქონდა სასულიერო განათლება. იცოდა ქართული, ლათინური, არაბული, რუსული ენები. ჰქონდა გამომგონებლის ნიჭი, დაამზადა



ჰაჯია ველიაძის ვაჟიშვილები პირველი მეუღლიდან (როსსეთ თავდგირიდიდან) ზუსეინი, რეჯები და ომერი

მონეტის საჭრელი დაზვა. ახალ ხელისუფლებას ასეთი პირები არ მოსწონდა და მისი მოშორებისთვის ფარული სამსახური სხვადასხვა ხერხს იყენებდა. განზრახ ქმედებათა გამო შეშინებული მესაზღვრეთა მეთაური სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. იქვე მყოფმა ჰაჯიამ გულმოსულმა და აღელვებულმა დაეწია გზაზე დამნაშავეს და დაუწყო ცემა, რომ არ ყოფილიყვნენ მეზობლები ალბათ ცუდი შედეგით დასრულდებოდა ჰაჯიას გაცხარება. ამ ფაქტის გამო ინფორმაციის გავრცელების შედეგად ჰაჯია არ დაუსჯიათ, მაგრამ ათვალისწინებული იქნა .... ფარული სამსახურის მიერ. ჰაჯია მიუხვედრელი პიროვნება არ იყო, რომ ვერ დაენახა მის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება. მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად უარყოფითი სევდამორეულმა ერთი პერიოდი ჩამოცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას. არჩია გონება დამშვიდებული თავის ცოლშვილთან ცხოვრება და ოჯახისადმი ზრუნვა. ამასთან ნადიასაგან შეეძინა ხუთი შვილი, სამი ქალიშვილი ორი ვაჟი, ხოლო პირველი მეუღლის ქართველი დედის ღირსებით შთაგონებულ როსსეთს ძალასა და ენერჯიას მატებდა შვილების სიყვარული, ბედნიერებით იყო მისი სული გაბრწყინებული, უხაროდა რომ განგებამ აჩუქა სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი, დედის პირველი შვილი ქალბატონი ზეინები უაღრესად გამჭრიახი გონების და მამის უნარიანი მაგიური ძალის გამგრძელებელია. ის

მისი დედის როსსეთის მარჯვენა ხელი იყო, წვრილი შვილების დაფრთიანების საქმეში. ზეინებმა დედისაგან აითვისა ვაჟკაცური უნარი, ხასიათი, გაბედულება და რისკიანობა. ახალგაზრდა ქალიშვილი ადრეულ ასაკში ითვისებს ბებია ქალობის პროფესიას, ზეინებმა წაბლანელ ქალბატონებს შორის პირველმა მოიძრო და მოიშორა თავიდან მუსლიმანური ჩადრი 1929 წელს. ზეინები იყო სახალხო მკურნალი, იცოდა არტერიული ჭარბი სისხლის გამოშვება. სამკურნალო ბალახებიდან ამზადებდა სამკურნალო საშუალებებს, მის მიერ მაგიური ძალის თვისებით შელოცვილ წყალს იყენებდნენ შეთვალვის სამკურნალოდ, იცოდა ლოცვები ქართული წარმართული პერიოდისა ბატონების, სნეულებათა განკურნების, შებოჭილის, შეთვალულის, შაკიკის, წელის ტკივილის და სხვა, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სოფლის მოსახლეობა. ზეინები ნადში, ლხინში, ქალბატონების შეკრების ადგილებში არც სიმღერას და არც გასართობ კომპლიმენტებს თაკილობდა.

ზეინებ ველიაძემ ღურსუნ ბერიძესთან შექმნა იდეალური ოჯახი, ჰყავდათ ორი ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილი. 1951 წლის რეპრესიებით გასახლებულიყო შუაზიაში. ნაბოლარა არჩილ ბერიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში იყო დოქტორი, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სპეციალიზაციით,

შექმნა ფუნდამენტალური ნაშრომი ახალ-გაზრდობის აღზრდის საკითხებზე („აღზრდის საძირკველი“ გამოცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი - 2009).

ჰაჯიას ვაჟიშვილი ხუსეინი, რომელმაც ფადიმე ბერიძესთან ერთად შექმნა ბენიერი ოჯახი იყო პატიოსნების განსახიერება. ალალმართალი ადამიანის მოსიყვარულე, ფრთხილი და ჩამოყალიბებული კაცურკაცად. მისი გატაცება იყო ხელოსნობა. ჰაჯიას მიერ მეორე ცოლის შერთვამ მზრუნველობა მოკლებულად დარჩენილ პირველი მეუღლის შვილებს ნაადრევ ასაკში დამოუკიდებლად ცხოვრება აიძულა. აიშენა საკუთარი საცხოვრებელი სახლი შექმნა ტკბილი მოსიყვარულე ოჯახი. შეეძინა ორი ქალიშვილი გულიზარი და სირმო, ორი ვაჟი შახმურადი და რევაზი. რადგან ხუსეინი ოჯახის პირველი ვაჟიშვილი იყო ოჯახის მთელი სამეურნეო საქმიანობა მას დააწვა, მითუმეტეს ნაადრევ ასაკში, რამაც მის ჯანმრთელობაზე მოახდინა გავლენა... რევაზი 1971 წლის 11 თებერვალის თოვლის ზვავში მოყოლილი ბედად გადაურჩა უბედურებას. ის აგრძელებს მამის ტრადიციებს. ჰაჯიას შვილთა შვილი ზვიადი ველიაძე წაბლანის საჯარო სკოლის დირექტორია.

ჰაჯიას მესამე შვილი ომერი, რომელმაც ხენიფე კეჟერაძის მხარდამხარ გაიარა ცხოვრების რთული გზა ის მამის გენის თვისებების მატარებელი აღმოჩნდა. ფიზიკურად არ იყო ძლიერი, გადატანილი ქონდა ძლიერი ავადმყოფობაც, მაგრამ მას აღმოაჩნდა საღი აზროვნება, მოხერხებულება და რაც მთავარია გაბედულება, მაღალი რისკი. 20 წლისაც არ იყო, რომ სავაჭროდ ხალხს დაჰყვებოდა შავშეთ-არდაგანში, მაჭახელში და სხვა მიმართულებით. მამისაგან მზრუნველობა მოკლებულ ოჯახს უზრუნველყოფდა ტანსაცმელ ფეხსაცმლით.

ომერი რამდენჯერმე მალულად ყოფილა თურქეთში კონდრაბანდისტულ ჯგუფებთან ერთად. თავისი ოჯახის საჭიროებისათ-

ვის გადმოჰქონდა ქსოვილი. მისი დაკავება კომუნისტურ ხელისუფლებამ არაერთხელ სცადა მაგრამ ომერი ისეთი „ემპაკი“ იყო რომ ყოველთვის ახერხებდა „გაძვრომას“ და ხელმოცარულს ტოვებდა მის მოშურნებს. 1929 წლის გამოსვლების მონაწილე ნაკადს გაუთვითცნობიერებლად გაჰყვა თურქეთში მაგრამ 48 საათის განმავლობაში გაანალიზა მისი შეცდომა და წაბლანელებთან ერთად დაბრუნდა ოჯახში. კონდრაბანდისტად „ჩაშვებით“ სოფლის სასახლერო საგუშაგოს უფროსმა მესაზღვრეებს საკუთარ სახლში დააკავებინა და საგუშაგოზე მიიყვანეს, მოუწყვეს დაკითხვა, მათთვის სასარგებლო, რომ ვერაფერი ათქმევინეს იქვე თივის საესე ორ სართულიან შენობაში დაამწყვდიეს, მიუჩინეს დაცვა რუსი ჯარისკაცი. ომერმა მთელი ღამის განმავლობაში თივაში გააკეთა ზვრელი მიწამდე, გამოიღო საძირკველის ქვები და გამოთენისას მოახერხა გაქცევა. შემდეგში ეს გაქცევა შერიგებით დასრულდა. 1950-იანი წლებიდან ომერი საცხოვრებლად გადავიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში. მან დაძებნა მამის მეორე ცოლიდან მცხოვრები ნათესავები, დაამყარა მათთან კარგი ურთიერთობა, რაც ახლაც გრძელდება. 1976 წელს შუახევის კომუნისტებმა სცადეს ომერის დაკავება, როგორც „კომუნისტი“ ნათესავებს შეკვეთით მიუტანდა ლეფციტურ საქონელს: ამისათვის სდევნიდენ. ომერს სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი ყავდა. ომერის უფროსი შვილი ზურაბს წაბლანაში ცხოვრების პერიოდში 1971 წლის 11 თებერვალს მომხდარი თოვლის ზვავმა დაუშალა სახლი, დაელუპა ცოლშვილი. საცხოვრებლად გადავიდა სოფელ გონიოში. იქვე ცხოვრობს მისი ძმა თემურ ველიაძე, მესამე შვილი სოსო ველიაძე ცხოვრობდა ტყვარჩელში. ავად სახსენებელი რუსეთ-საქართველოს ომის დროს გახდა ლტოლვილი, ამ სახელით ცხოვრობდა ქ. ბათუმში, რომელიც 2012 წლის ზაფხულში გარდაიცვალა.





## შუახვევის ყველა ანსამბლი ორიგინალურია და თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი სახე აქვს

პერიფერიებში, მთებსა და სოფლებში ჯერ კიდევ ანთია შინაგანი და საშემსრულებლო ხელოვნების კულტურული ცენტრი. არ ვიცი ვის, როგორ და სად ით-



შუახვევის ფოლკლორის ცენტრში

ბობს სულს, მაგრამ მე ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან განგებამ მომცა საშუალება ჩემი შესაძლებლობები მოვახმარო ჩემი წინაპრების სიყვარულს, მათ დანატოვარის (ფოლკლორული მარგალიტების) ერთ კრიალოსნად ასხმას და მომავალ თაობისთვის გადაცემას. დღევანდლობა ადამიანის ბედნიერების და მწუხარების, კეთილისა და ბოროტის ტატამი და უკეთესი ხვალისდელი დღისთვის აქ უნდა გამოვლინდე, აქ უნდა აჯობო საკუთარ თავს, აქ უნდა გიყვარდეს...

შინაგანმა სიმტკიცემ, მინდობილი საქმისადმი პროფესიულმა დამოკიდებულებამ შემადლებინა ჩემს ხელთ არსებული რესურსი, კონტაქტები და გამოცდილება გააზრებულად გამომეყენებინა ჩემი მშო-

ბელი ხალხისთვის, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. მე ავირჩიე რთული და უაღრესად საინტერესო გზა. ჩვენ შუახვევის კულტურის ცენტრში 2015 წლის დასაწყისში ჩამოვყალიბეთ ფოლკლორის განყოფილება, რომელიც აერთიანებს: ცენტრის არქივს, სადაც კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების ისტორია, სარაიონო კულტურის სახლის ჩამოყალიბებიდან დღემდე ჩატარებული ყველა ღონისძიების ფოტო, ვიდეო და ინფორმაციული მასალაა დაცული; აგრეთვე, ცხრა ფოლკლორულ ანსამბლს, ესენია: „შუახვევი“ (1967), „ფესვები“ (2007), „უჩამბა“ (2008), „იმედი“ (2008), „მარეთი“ (2015), „ზე-კართან“ (2015), „ჭვანა“ (2015), ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ხინწკალა“ (2015), ქალთა ფოლკლორული ანსამბლი (2015). 2014 წლის ჩათვლით ცენტრში მხოლოდ ორი მოქმედი ანსამბლი ფუნქციონირებდა - „შუახვევი“, და „ფესვები“. ბუნებრივია, ორი ანსამბლი ვერ შეძლებდა მუნიციპალიტეტ-



ანსამბლი ფესვები თურქეთში



გარაყანიძის ფესტივალი

ში არსებული ფოლკლორული ნიმუშების სრულად აღდგენას და მომავალ თაობებში მათ პოპულარიზაციას. ასევე წლების განმავლობაში არ არსებობდა ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლი. ჩვენს მიერ განხორციელებული გადაწყვეტილების შემდეგ აღმავალი გზით წავიდა შუახევში კულტურული ცხოვრება. კულტურის ცენტრის მთავარი პრიორიტეტია აღვადგინოთ ჩვენი რაიონისთვის დამახასიათებელი, ზოგადად აჭარული ფოლკლორული ნიმუშები და თაობებს შორის ტრადიციული ნიმუშების შემსრულებელთა დამაკავშირებელი რგოლი ვიყოთ. მიმდინარე წელს მოვახერხეთ და შეძლებისდაგვარად განვაახლეთ რეპერტუარი, მივიღეთ რამდენიმე ფესტივალში მონაწილეობა, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის საზღვრებს მიღმაც (ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზე-კართან“, ბულგარეთში მეთერთმეტე საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე და ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“ თურქეთში ლაზური კერძების ფესტივალზე). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის ნებისმიერი კონცერტი ერთნაირად მნიშვნელოვანია, თუმცა რამდენიმეს მაინც გამოვყოფ:

7 მაისი - საქართველოს ფოლკლორის ცენტრში აჭარის ტრადიციული კულტურის დღეებზე ანსამბლ „შუახევის“ კონცერტი;

21-22 ოქტომბერი - საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალი;

2 ნოემბერი - გიორგი გარაყანიძის სახელობის სასულე და ფოლკლორული მუსიკის ფესტივალი.“

5 ნოემბერს- შუახევის კულტურის ცენტრის ინიციატივით, გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე ანსამბლებისა და მეცნიერებისთვის შუახევში ფოლკლორული ტური მოეწყო. სტუმრები გაეცნენ ადგილობრივ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიას.

საფრანგეთის, ლატვიის, უკრაინის ანსამბლების, დიდი ბრიტანეთისა და კანადის წარმომადგენლების წინაშე ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლებმა („შუახევი“, „ფესვები“, „მარეთი“, „უჩამბა“, „იმედი“, „ჭვანა“, „ზე-კართან“, ქალთა ანსამბლი) აჭარული ტრადიციული სიმღერები და ცეკვები შეასრულეს. კონცერტზე ადგილობრივი მაყურებლის წინაშე საკუთარი შემოქმედება ფრანგმა, ლატვიელმა და უკრაინელმა მომღერლებმაც წარმოაჩინეს. კონცერტის პარალელურად შუახევის კულტურის ცენტრის ფოიეში მარინა დავითაძის ხელნაკეთი ნივთების გამოფენა მოეწყო. ფოლკლორული ტურის ფარგლებში სტუმ-



კონცერტი ქუთაისში

რებმა ფურტიოს თაღოვანი ხიდი მონახულეს და ტრადიციული აჭარული კერძები დააგემოვნეს.

ასევე კულტურის ცენტრის ისტორიაში პირველად შევძელით აჭარის განათლებისა და კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით „აჭარის ტრადიციული კულტურის დღეების“ ჩატარება ქუთაისის ლადო მესხიშვილისა და თბილისის ილიაუნის თეატრებში.



ფოლკლორული ანსამბლი ზე-კართან ბულგარეთში

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის თემებში, სოფლებსა და დაბაში გაგმართეთ 30-მდე კონცერტი 15-ჯერ ვმონაწილეობდით ქვეყნის მაშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა ფოლკლორულ კონცერტში. ცხადია, ეს არ არის საკმარისი და წინ კიდევ უფრო დიდი გამოწვევები გველოდება.

აღებულ კურსს არ გადავუხვევთ და ფოლკლორული ნიმუშების აღდგენა-პოპულარიზაციას სამომავლოდაც გავაგრძელებთ. ასევე აქტიურად ვმუშაობთ მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად თემებში ბიბლიოთეკების აღდგენაზე, მუზეუმებისათვის სამუზეუმო ინფრასტრუქტურის შექმნაზე. ცხადია, ყველა ამ პრობლემის ერთდროულად მოგვარება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული და დროს მოითხოვს, თუმცა დარწმუნებული ვარ ცენტრის განვითარების ჩემუელი განვითარების სტრატეგიას თუ მივყვებით და ყველა ამოცანის მიმართ ვიქნებით თანმიმდევრულები, ჩვენი ცენტრი რეგიონში გამორჩეული იქნება თავისი შინაარსითა და მრავალფეროვნებით... ჩვენი ფოლკლორული ანსამბლების წარმატებებზე მრავალი ითქვა და დაიწერა, მინდა ერთ-ერთი მათგანის შეფასება შემოგთავაზოთ:

**ქეთევან ბაიაშვილი** – ამთავითვე უნდა ითქვას, რომ შუახვევის ყველა ანსამბლი ორიგინალურია და თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი სახე აქვს. საოცარია, და იქნებ დაუჯერებელიც, მაგრამ დღევანდელ დღეს, ზემო აჭარაში არსებობს ანსამბლები, რომელთაც შემონახული აქვთ ძველ-

ბური საშემსრულებლო სასიმღერო და ცეკვის წესები, ავთენტური მანერა, არტიკულაცია. მათ შემხედვარეს მინდა ვიკითხო: ეს ანსამბლები რამდენადაა ანსამბლები, თუ ისინი ავთენტურ შემსრულებლებად უნდა ჩაითვალოს? ალბათ ჩვენს პირობებში, როცა სიმღერასა და ცეკვას დაკარგული აქვს სოციალური ფუნქცია და მათი შესრულების ადგილი სცენა ან სუფრაა, ასეთი მომღერალ-მოცეკვავეები ყველაზე უფრო ავთენტურ შემსრულებლებად უნდა ჩაითვალოს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ძნელი გამოსარკვევია, უფრო მომღერლები არიან ჭვანელები და მარეთელები თუ უფრო მოცეკვავეები. ისინი სწორედაც სინკრეტულად ასრულებენ სიმღერა-ცეკვებს, ანუ ყველა იმ წესის დაცვითა და შეგნებით, რომელიც ავთენტური შესრულების ყველაზე დიდი მახასიათებელია.



ლატვიელები შუახვევში



ფრანგები შუახვევში



**უკრაინელები შუახევში**

„გლობალიზაციის პროცესში როგორ უნდა შევინარჩუნოთ სიბრძნით და შინაარსით გაჯერებული ჩვენი კულტურა, მაშინ როცა ყველა დიდი სახელმწიფო ცდილობს გადააგვაროს და დაახიანოს ის ფრესკა, რომელზეც მკვიდრად არის გამოკვეთილი ჩვენი კულტურულ-ტრადიციული პორტრეტი... პირველ რიგში უნდა ვისწავლოთ და გვევლინოს საკუთარი შესაძლებლობის დავაფასოთ საკუთარი ხელოვანები, რაოდენ



**ლიტერატურული ფესტივალი ზე-კართან**

პატარებადაც არ უნდა გვეჩვენებოდნენ ისინი. გავათბოთ, ხელი შევეწყოთ და „გავამდიდროთ“ და არა პირიქით -სამწუხარო ტენდენციაცაა უცხოურით „გადაფარვა“... ჩვენი ახლანდელი ყოფა ბრინჯით გავსებულ პოლიეთილენის პარკს გავს, რომლის ერთი ნაწილი გახეულია და ნელა-ნელა ცვივა და იფანტება მსოფლის სხვადასხვა ქვეყნებში ქართული გენი (მერე იქ ვილაც

შინაგანად ინარჩუნებს ეროვნულ ტკივილს). თუმცა ეს გამორიცხულია და ჩვენ კი სოციალური ქსელებით ამაყად ვაზიარებთ მათ ფოტოებს, მიღწევებს... ნუთუ მარტო უშინაარსო სოციალური ქსელის უსახური ფოტოებიღა დავრჩით და დღენიდაღ იმის მოლოდინში ვართ, ვინმემ ჩვენს ნაცოდ-ვილარს ამოარტყას ერთი ლაიქი!!!

ქართული კულტურა ოდითგანვე ხელიდან ხელში, გულიდან გულში გადადიოდა... შემქმნელს, გადამცემს და მიმღებს - ყველას თანაბარი სიამაყით ავსებდა და აძლიერებდა... დღეს როცა გლობალური გადანაწილების პროცესი გაცხოველდა და ყველა დიდი ქვეყანა ცდილობს წაართვას პატარა ქვეყნებს საკუთარი სულიერი საზრდო, ამ დიდ ჯაჭვს, რომელსაც ქართული კულტურა ჰქვია ძლიერად თუ ჩავეჭიდებით, კვლავ გადავრჩებით.

წელს უკვე მესამედ მოგვეცა საშუალება ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ ჩავვეტარებინა. რა შეიძლება ვთქვა?! - პირველ რიგში უდიდესი მადლიერება და პატივისცემა მინდა გამოვხატო ფესტივა-



**ლიტერატურული ფესტივალი ზე-კართან**

ლის თითოეული მონაწილის მიმართ, რომლებიც თავის თავში დიდი და ამუწურავნი არიან... ბევრი საქებარი ითქვა ჩვენს ფესტივალზე ეკატერინე დავითაძეზე, ჩვენს მუნიციპალიტეტზე და გავკადნიერდები და ჩემზეც... მინდა შემოგთავაზოთ ჯემალ ინჯიას ლექსი, რომელიც ნათლად გამოხატავს ფესტივალის არსის რაობასა და კეთილ სურვილებს:

ჯემალ ინჯია

აჭარის დილა  
(ვახტანგ ბერიძეს)

კაცი ვის უნდა აღევსე ასე,  
დღეს რას შეეძლო ასე აღევსე?-  
თუ არა დილის სიცინცხლით სავსე  
ცის შარავანდელს მთელს შუახევზე.  
არ დაიწყეველის გაჩენის საათს  
ვინც კი ამ დილამ გამოაღვიძა.  
შეხედე, ძმაო, როგორი ცაა,  
მეც ხოტბად ამ ცის გამო აღვიძარ.  
მატიანე რომ გიჭირავს ხელთა,  
მეც ხომ ვამაყობ მაგ მატიანით,  
შუახევში დღეს დავლოცოთ ერთად  
ქრისტიანიც და მამაჰდიანიც.

მადლობა უფალს, მადლობა ბატონ  
ტარიელ ებრალიძეს, რომლის უდიდესი მხ-  
არდაჭერით გამოიყო ღონისძიებებისთვის  
აუცილებელი ფინანსები. ასევე მადლობა  
შუახევის კულტურის ცენტრის ასამბლე-  
ლებს, რომლებმაც მაქსიმალურად შეეცადნენ  
სტუმრებისათვის გაეცნოთ ტრადიციული  
აჭარულ კულტურა.

მადლობა! მადლობა! მადლობა!

P.S ამ უდიდეს ადამიანებთან სამდღი-  
ანი ურთიერობისა და ადგილობრივების  
ემოციების ფონზე დაგრწმუნდი, რომ  
გარკვეულ სიკეთეს მართლაც დავუდეთ  
სათავე...კიდევ რამდენის შესაძლებლობას  
მოგვცემს განგება და გამგეობა ეს მომავე-  
ლის საკითხია.



ლიტერატურული ფესტივალი ზე-კართან

## შინაარსი

### შალვა ველიამი

ჩვენი ქვეყნის მომავალი ჩვენს მიერ განხორციელებულ ქმედებებით განისაზღვრება . . . . . 3

### რამაზ სურმაანიძე

სელიმ ხიმშიაშვილი . . . . . 7

### შუშანა ფუტყარაძე,

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“ ...

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მელაათ ხიმშიაშვილი გამოსათხოვარი . . . . . 14

### ბიჭიკო ღიასამიძე

ქრისტიანული საკულტო ძეგლები სხალთა-ხიხანის ხეობაში. . . . . 23

\*\*\*

ინტერვიუ - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორთან - ბატონ ვაჟა ბერიძესთან . . . . . 29

### აკაკი ბერიძე

ხალხური მედიცინა - ერის კულტურის შეფასების კრიტერიუმი . . . . . 32

\*\*\*

გახსოვდეს ეს ჩემგან იყო . . . . . 37

### ოთარ ცინარიძე

„ჯვარობა“ და ნათლობა - ღომას მთაზე . . . . . 39

### ბიორბი ველიჯანაშვილი

საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთობამ უნდა გადაარჩინოს ქვეყანა . . . . . 42

### ოთარ ცინარიძე

„სად ტაძარი ღუმდა, აღარ ღუმდეს, ბედის ბუდეს რწმენა დაუბრუნდეს“ . . . . . 45

### ქეთევან ველიამი

მარიამის ჯვარით ქართულ პოეზიაში - გულიკო გაბაიძე, ქალი - პოეტი, ქალი

- დედა, ქალი - სამშობლოსთვის მზრუნველი და უანგაროდ მოჭირნახულე

(გულიკო გაბაიძის წიგნის „მზემ პირჯვარი დაიწერა“-ს გამო) . . . . . 49

### თემურ თურმანიძე

ლექსები: \*\*\*, დამალოცვინე უფალო, ვეფერები, გაყოფილი სამშობლო,

ეს აჭარის განძია, საკუთარ თავთან ფიქრი ბაასი . . . . . 53

### ზვიად ველიამი

„აღზრდის საძირკველი -კეთილი და ბოროტი საწყისის გენეზისის განსაზღვრა“

(არჩილ ბერიძის წიგნის „აღზრდის საძირკველი“-ს გამო) . . . . . 56

<b>შალვა ველიამე</b>	
რაინდული სულის ადამიანი . . . . .	64
<b>ზვიად ველიამე</b>	
„კომუნიზმის“ ეპოქაში გაზრდილ შვილთა ნიჭიერი შეურიგებლობა . . . . .	68
<b>რამაზ სურმანიძე</b>	
ნური ეფენდი ბერიძე . . . . .	71
<b>მალხაზ ბერიძე</b>	
აჭარისთვის თავდადებული მამულიშვილი - ჰაჯია ველიამე . . . . .	75
<b>ვანტანბ ბერიძე</b>	
შუახვეის ყველა ანსამბლი ორიგინალურია და თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი სახე აქვს . . . . .	87

ISSN-1987-6637

დამკაბადონებელი: ანაიდა ავეტისიანი

ჟურნალი „ლაკლაკეთი“ დაიბეჭდა: ბათუმი, „პოლიგრაფ 2010“  
დეკემბერი, 2015 წელი. ტირაჟი: 150. ფასი შეთანხმებით.

გარეკანის პირველ გვერდზე ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ჭედური ხატი, მეოთხეზე -  
სელიმ ხიმშიაშვილი

დამფუძნებელი: შპს „ლომსიანთა“, ელ. ფოსტა [lomsianta@mail.ru](mailto:lomsianta@mail.ru); მ/ო საჯარო რეესტრი  
რ/ნ 447860609; თარიღი 22. 03. 2013; საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGAE22  
ანგარიშის ნომერი: GE75BG0000000306366200

რედაქციის მისამართი: შუახევის რაიონი, სოფელი წაბლანა.  
ელ. ფოსტა [laklakti2013@mail.ru](mailto:laklakti2013@mail.ru), [shalvaveliadze@gmail.com](mailto:shalvaveliadze@gmail.com),  
ტელ: 591 71 57 70; 790 25 76 20.





სხადლის ეპარქიის ჩიზოსანთა სადროშოს დაფუძნება 2015 წლის 1 ნოემბერი  
სამახსოვრო ფოტო

